# საერთო გაზეთი

№20 (332) ● 3 ივნისი, 2015 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● WWW.SAERTOGAZETI.GE ● ფასი 1 ლარი

## მამუკა არეშიძე:

ივანიშვილის და ღარიბაშვილის ურთიერთობა იმდენად ღრმაა, რომ ქართულ პრესას, რომლის დიდი ნაწილი ყვითელია, არ აქვს იმის შნო, მათ შორის მტრობა გააღვივოს

## ოთხი დღე „ცეცხლოვან ქვეყანაში“, ანუ სან სევირამ, აზერბაიჯან!

## სააკაშვილი იმიტომ დაინიშნა ამ პოსტზე, რომ ოდესა რუსეთს ჩააბაროს?

## Sapitos Sou da poroSenkos `paraSa~

## გიორგი ბურჯანაძე:

როცა უცხოელ მუშას მაღალ ხელფასს უხდი და ადგილობრივ მუშახელს უფასოდ ამუშავებ, ამას კრიმინალი და ქვეყნის აბუჩად აგდება ქვია

## სოდომი

საერთო გაზეთი – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

## სანდრო ბრეგაძე:

# კარგი იქნება, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველმა ბიზნესმენებმა სომეხი ბიზნესმენებისგან ისწავლონ, როგორ უნდა საკუთარი სამშობლოს და ხალხის სიყვარული

**ქართული დიასპორის დღეს, 27 მაისს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პირველი დიასპორული პროფესიული ფორუმი „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. ფორუმს დაესწრნენ საქართველოს პრემიერ მინისტრი, თბილისის მერი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. ფორუმი ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა, რომელმაც ქვეყანაში ორი წლის განმავლობაში განხორციელებულ რეფორმებზე და დიასპორასთან დაკავშირებულ პრობლემატიკაზე ისაუბრა. პრემიერმა ემიგრანტებს შეახსენა, რომ საქართველოში მხოლოდ 3 მილიონ 700 000 ქართველი დარჩა და სამშობლოში დაბრუნებისკენ მოუწოდა. ფორუმის მონაწილეები დალოცა და ემიგრანტებს სამშობლოში მალე დაბრუნება უსურვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.**

**ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რა კონკრეტული შედეგი გამოიღო ფორუმმა, რა გამოცდილება გაგვიზიარეს ჩვენმა ემიგრანტებმა და როგორია ამ მიმართულებით სახელმწიფოს სამომავლო გეგმები და დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილეს სანდრო ბრეგაძეს დავუკავშირდით:**

— მოგეხსენებათ, რომ ფორუმის ძირითადი სლოგანი იყო „გაუზიარე გამოცდილება სამშობლოს“. ფორუმზე ჩამოსულები იყვნენ სამეცნიერო და სოციალური სფეროს წარმომადგენლები, ეკონომისტები, ინჟინრები, ექიმები, პედაგოგები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც წარმატებულად მოღვაწეობენ უცხოეთში და წარმოადგენენ ქართულ დიასპორას ევროპისა თუ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებში. ფორუმი დაყოფილი იყო სხვადასხვა პანელად, სადაც ხდებოდა ერთგვარი გამოცდილების გაზიარება თანამემამულეებისათვის. ძალიან საინტერესო იყო უცხოეთსა და საქართველოში მოღვაწე ჟურნალისტების შეხვედრა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და გამოცდილების გაზიარება. ძირითადად, ეს იყო გაცნობითი ხასიათის შეხვედრა, რომელსაც, დიდი იმედი გვაქვს, რომ უახლოეს ხანებში კონკრეტული შედეგი მოჰყვება და ეს შედეგი იქნება სხვადასხვა სფეროებში მოღვაწე წარმატებული ქართველების აქტიურად ჩაბმა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ვფიქრობთ, რომ ეს საკმაოდ წაადგება ქვეყნის აღმშენებლობის საქმეს. რა თქმა უნდა, სამი დღის განმავლობაში ვერანაირი საკითხი ვერ გადაწყდებოდა, თუმცა, პირველი ნაბიჯები გადადგმულია და, ვფიქრობ, რომ შედეგი აუცილებლად დადგება.

**— როგორ შეხვდნენ ემიგრანტები პრემიერის მოწოდებას სამშობლოში დაბრუნებაზე?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფოს და თითოეული ჩვენგანის სურვილია, რომ უცხოეთში მოღვაწე ქართველები სამშობლოს დაუბრუნდნენ, მაგრამ ამისთვის საჭიროა, რომ მათ ჰქონდეთ ის პირობები, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ნორმალური ცხოვრების გარანტიას მისცემს. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყანას 70 წლის მანძილზე დაკარგული ჰქონდა თავისუფლება და შემდეგი 20 წელი, ფაქტობრივად, ნგრევის პროცესი მიმდინარეობდა. ძნელია, ერთ და ორ დღეში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლებს დაახვედრო ისეთი სიტუაცია, როგორიც აქვთ, მაგალითად, საფრანგეთში, ავსტრიაში, გერმანიაში, ევროპის და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში. ჩვენი სამინისტროს ეგიდით განხორციელებულია რამდენიმე პროექტი, რომელმაც ქვეყანაში ემიგრანტების მცირე, მაგრამ რაღაც რაოდენობა მაინც დააბრუნა. თუ იქნება ამის სურვილი, კონკრეტული პროექტები და შემოთავაზებები, სამინისტრო გახდება ერთგვარი შუამავალი შესაბამის უწყებებთან, იმისათვის, რომ ემიგრანტებს მიეცეთ შეღავათიანი პირობები ბიზნესის სამშობლოში საწარმოებლად. თუ რომელიმე წარმატებულ ექიმს ან ნებისმიერი სხვა სფეროს წარმომადგენელს საქართველოში დაბრუნებისა და მოღვაწეობის სურვილი აქვს, ჩვენ გავუწევთ შუამავლობას შესაბამის უწყებებთან მათი პროფესიონალიზმის გათვალისწინებით.

**— ასეთი შემთხვევები გქონიათ?**

— რამდენიმე შემთხვევა უკვე იყო და მოხარულნი ვიქნებით, თუ მომავალშიც იქნება. პირდაპირ გეტყვით, რომ მაგალითად, ისრაელის სახელმწიფო აშენდა და დღესაც შენდება უცხოეთში მოღვაწე ებრაელების სამშობლოში დაბრუნების შედეგად, იმიტომ რომ, სწორედ მათი დაბრუნებით მოხდა ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. თუნდაც ჩვენი მეზობელი სომხეთის მაგალითი ავიღოთ, რომლის ეკონომიკის უდიდესი ნაწილი მის ემიგრაციაზე მოდის. მთელმა მსოფლიომ იცის, რომ სომხეთი თავისი დიასპორით ცხოვრობს და გრძნობს მის დახმარებას. სამწუხაროდ, ჩვენთან შედარებით განსხვავებული სიტუაციაა. არ არის საუბარი იმ ადამიანებზე, რომლებიც უცხო ქვეყნებში ოჯახის სარჩენად არიან წასული, მაგრამ ცოტა საწყენი და გასაკვირია, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფი მილიონერი და მილიარდერი ქართველები თავიანთ თანამემამულეებს არ ეხმარებიან. ამ თვალსაზრისით, სომხეთი ჩვენთან შედარებით რამდენიმე ათეული ნაბიჯით წინ არის, როცა პროცენტული მაჩვენებლით და სტატისტიკით, მილიონერი და მილიარდერი ქართველების რაოდენობა საზღვარგარეთ სამჯერ და ოთხჯერ აღემატება შეძლებული სომეხი ემიგრანტების რაოდენობას. ქართველები „შავ მუშებად“ მუშაობენ ქვეყნებში, სადაც ათი და თორმეტი ქართველი მილიონერი და მილიარდერი ცხოვრობს და მათგან ვერანაირ დახმარებას ვერ იღებს. ეტყობა, ჩვენ ერთმანეთის თანადგომა გვიჭირს და არ გვაქვს სოლიდარობა, რაც ძალიან ცუდია. ერთი და ორი კაცის ქველმოქმედება კი არაფერს უშველის, თუ ეს მასობრივი არ გახდა. სახელმწიფოს კი არა, იმ ადამიანებს დაეხმარონ, რომლებიც საზღვარგარეთ ლუკმაპურის საშოვნელად არიან წასულები. რა თქმა უნდა, სამინისტრო ვერავის ვერაფერს დააძალებს. ადამიანს უნდა ესმოდეს, რომ თუ სამშობლო უყვარს, მარტო იმისთვის არ უნდა უყვარდეს, რომ ეკლესია ააშენოს და იქ მისი სახელი და გვარი წააწეროს და პიროვნება წარმოაჩინოს. თუ სამშობლო უყვარს, გასაჭირში მყოფი თანამოძმეც უნდა უყვარდეს და ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, რომ ამ მიმართულებით რაღაც გავაკეთოთ. ვფიქრობ, რომ ქართველი ბიზნესმენებისთვის, რომლებიც უცხოეთში მოღვაწეობენ, მისაბაძ მაგალითად უნდა იქცნენ სომეხი ბიზნესმენები. ჩემი დიდი სურვილია, ისწავლონ მათგან თუ როგორ უნდა საკუთარი სამშობლოს და ხალხის სიყვარული.

**ნელი თორდია**
**571 35 36 88**

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ალმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშობლოში“; ტელ.: 599 95 31 90

◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

# შაპიტოს შოუ და პოროშენკოს „პარაშა“

ვახტანგ ხარჩილავა

## სააკაშვილი იმიტომ დაინიშნა ამ პოსტზე, რომ ოდესა რუსეთს ჩააბაროს?

მიხეილ სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნის შემდეგ ცხადი გახდა თუ რატომ დატოვა „ნაცმოძრაობის“ რიგები მისმა ოთხმა წამყვანმა წევრმა.

როგორც ირკვევა, „ნაცმოძრაობის“ ელიტას წინასწარ ჰქონდა დადასტურებული და გადამოწმებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათი ბოსი ოდესის გუბერნატორად ინიშნებოდა.

საქმეში კარგად ჩახედული პირის გადმოცემით, „ნაციონალების“ იმ ჯგუფს, რომელმაც, მოგვიანებით, პარტიის რიგები დატოვა, კატეგორიულად მოუთხოვია სააკაშვილისთვის უარი ეთქვა ამ პოსტზე, რადგან მათი აზრით, სააკაშვილის გუბერნატორობა, ფაქტობრივად, „ნაცმოძრაობის“ სრულ დემორალიზაციას, შემდგომში კი მის დაშლას გამოიწვევდა, თუმცა სააკაშვილს თანაპარტიელების მოთხოვნის შესრულებაზე უარი უთქვამს, რის შემდეგაც განაწყენებულმა ოთხეულმა „ნაცმოძრაობის“ კარები გამოიჯახუნა და წამოვიდა.

იგივე წყაროს ინფორმაციით, ამ ოთხეულს მალე სხვებიც შეემატებიან და ახლო ხანებში „ნაცმოძრაობა“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, აღარ იარსებებს.

გადაგდების დიდოსტატმა სააკაშვილმა, ამჯერად, საკუთარი ორგანიზაცია გადააგდო და ისედაც წაბარბაცებულ პარტიას შუბლში საკონტროლო ტყვია დაახალა, როცა ოდესის გუბერნატორობაზე დასთანხმდა.

ცხადია, ქართული პოლიტიკის საჭადრაკო დაფაზე მალე დიდი გადაჯგუფებები და გადაადგილებები დაიწყება და მთავარ ოპოზიციურ პარტიად დანიშნული „ნაცმოძრაობის“ გამოთავისუფლებული ადგილის დასაკავებლად დიდი ბრძოლები დაიწყება, თუმცა ეს ბრძოლები რა მოსატანია იმ ბრძოლებთან შედარებით, რაც შეიძლება ოდესასთან დაკავშირებით დაიწყოს.

პირველ რიგში, დავიწყოთ იმით, რომ ოდესა განსაკუთრებული მენტალიტეტის ქალაქია, რომელიც ნაკლებად სარწმუნოა, რომ სააკაშვილის ხუშტურებს შეეგუოს და მის ჭკუაზე გაიაროს.

მეორე, რუსების მიერ კონტროლირებად დნესპრისპირეთსა და აწ უკვე რუსეთის კუთვნილ ყირიმს შუა გაკვეხებული ოდესის უკრაინის დროშის ქვეშ არსებობას, ალბათ, ვერც რუსები შეეგუებიან ასე ადვილად და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ოდესამაც ყირიმის და დნესტრისპირეთის ბედი გაიზიაროს, ხოლო იმპულსურმა და გაუწონასწორებელმა სააკაშვილმა შეიძლება ის მაპროვოცირებელი როლი შეასრულოს, რომელიც რუსეთს საბაბს მისცემს გადამწყვეტი დარტყმა განახორციელოს ოდესის ხელში ჩასაგდებად.

უკრაინელ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ერთი ნაწილი დიდი ხანია ეჭვის თვალით უყურებს სააკაშვილსაც და მის მეგობარ პოროშენკოსაც და მათ რუსეთის ინტერესების გამტარებელ აგენტურად თვლის.

სააკაშვილის ოდესის გუბერნატორად დანიშვნას მყისვე მოჰყვა მკაცრი კომენტარები და საგანგაშო განცხადებები, რომელთა საერთო შინაარსი ასეთია: — სააკაშვილი აუცილებლად ჩააბარებს ოდესას რუსეთს. მისი ამ პოსტზე დანიშვნის მიზანი სწორედ ეს არის!

სააკაშვილმა მშობლიური საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტი უფეშქაშა რუსებს და უკრაინელების ოდესას, რა თქმა უნდა, უფრო დიდი ხალისით და ენთუზიაზმით გადასცემს რუსეთს, თუ მანამდე ოდესელებმა არ მიიღეს პრევენციული ზომები.

უკრაინის მარგალიტად წოდებული ინტერნაციონალური ოდესა, არა მარტო თავისი უნიკალური მდებარეობით და უნიჭიერესი ინტელიგენციით არის ცნობილი, არამედ იმითაც, რომ ოდესა კრიმინალური სამყაროს მექად და მედინად ითვლებოდა და ითვლება დღესაც.

ასე რომ, სააკაშვილს შეიძლება ძალიან გაუჭირდეს, თუმცა კანონიერ ქურდებთან და ზოგადად, შავ სამყაროსთან ურთიერთობის და ძმაკაცობის იმხელა გამოცდილება აქვს, რომ არ არის გამორიცხული, ოდესაშიც წარმატებით დაალაგოს „პალაჟენია“.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ოდესის გუბერნატორად ჩამოლაბორატებული სააკაშვილის საქართველოში პოლიტიკურ ფიგურად დაბრუნების ყოველგვარი შანსი ამოიწურა, რაც იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევას და დაშლას ვერაფერი შეაჩერებს.

სულ მალე „ნაცმოძრაობაში“, შეიძლება, მხოლოდ ერთ ზომაზე მოჭრილი ჭიაბერაშვილი და ირმა ნადირაშვილი დარჩნენ, სხვები კი პოლიტიკური თავშესაფრისთვის სხვადასხვა პარტიებს მიადგებიან ალბათ, ან ბოლო-ბოლო ოდესაში წავლენ და გუბერნატორ მიშას დაუგორდებიან ფეხებთან.

„შაპიტოს შოუ“, „სამარცხვინო მასკარადი“, „პოლიტიკური შიზოფრენია“, — ასეთი ეპითეტებით ამკობენ სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნის ფაქტს.

უკრაინის არ იყოს, შოუ და მასკარადი არც საქართველოში გვაკლია.

იქაური და აქაური შოუები (მაგალითად, თინას თავდაცვის მინისტრობა და მიშას გუბერნატორობა) ისე იმეორებენ საერთო შტრიხებს, რომ, შეიძლება, ეჭვი გაგიჩნდეს — ერთ ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში ხომ არ იბადება ასეთი არაორდინარული გადაწყვეტილებები და ერთი პულტიდან ხომ არ იმართება ბედი ქვეყნებისა და ხალხებისა, რომლებიც თავიანთი უბედობით და უბედურებით ძალიან ჰგვანან ერთმანეთს?

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# ხელისუფლებას ვთავაზობთ თანაბრობის პრინციპზე აგებულ საარჩევნო სისტემას, თუ არა და პოლიტიკურ დისკომფორტს უნდა ელოდონ

**საარჩევნო გარემოს შეცვლის საკითხებზე პრეზიდენტმა მარგველაშვილმა კონფერენცია გამართა. საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრეთ „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს ბატონ გიორგი ახვლედიანს.**

**— ბატონო გიორგი, საარჩევნო გარემოს შეცვლასთან დაკავშირებით რა სიახლეებს უნდა ველოდოთ, როგორია პრეზიდენტის აზრი მაჟორიტარული სისტემის გაუქმებასთან დაკავშირებით?**

— საქართველოში უკვე ოცი წელია, რაც არსებობს დღევანდელი საარჩევნო სისტემა, ერთმანდატიანი მაჟორიტარული ოლქებით, ის შეიქმნა 1995 წელს „მოქალაქეთა კავშირის“ მიერ ხათუნა გოგორიშვილისა და მიხეილ მაჭავარიანის პატრონაჟით. პრაქტიკულად ის მოსახერხებელი იყო „მოქალაქეთა კავშირზეც“ და შემდგომში „ნაციონალური მოძრაობისათვის“. სამწუხაროა, რომ ის მომგებიანი აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვისაც“. დღეს 77 დეპუტატი არჩეულია პროპორციული სიით და 73 მაჟორიტარია. ადრე იყო 75-75-ზე, 2008 წლის აგვისტოს ომის მერე ჩვენ ტერიტორიები კოდორი და ახალგორი დავკარგეთ და ამიტომ მაჟორიტარი არის 73 დეპუტატი და პროპორციულ სიას დაემატა ის 2 ადგილი და გახდა 77 ადგილი. ეს არის ისეთი სისტემა, რომელიც ყოველთვის ხელს აძლევს არსებულ ხელისუფლებას მარტივად მოიპოვის საპარლამენტო უმრავლესობაში ადგილები. შეიძლება გქონდეს დაბალი რეიტინგი, მაგრამ არჩევნებში ადგილების უმრავლესობა მოიპოვო, პრაქტიკულად ეს „ნაციონალების“ სისტემაა, რომელიც ხელისუფლებაში მათ არსებობას ახანგრძლივებდა. დასავლეთის რეკომენდაციები ამ მხრივ გვეუბნება, რომ პარტია უნდა იღებდეს იმდენ მანდატს, რამდენ პროცენტსაც მოიპოვებს არჩევნებში. ეს გახლავთ ამომრჩევლის მოტყუება და ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო. ამ სისტემით თუ ვიხელმძღვანელებთ, ბოლო ბოლო ამომრჩეველი აღარ მოვა არჩევნებზე, სულ მოტყუებული ხომ არ იქნება? **ადგილობრივ არჩევნებზე უკვე ვნახეთ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი არ მივიდა საარჩევნო ყუთთან. რატომ? იმიტომ, რომ მათ მოტყუება აღარ უნდა.** ამჟამად ჩვენი მუშაობა სწორედ იმ კუთხით მიმდინარეობს, რომ შევცვალოთ ეს სისტემა. 2012 წლამდე, მე პირადად, „ქართული ოცნების“ კოალიციის წარმომადგენლებთან ერთად ვიბრძოდი ამ სისტემის შესაცვლელად და ისინიც ძალიან აქტიურები იყვნენ ამ მხრივ. დღეს კი, როცა ისინი ხელისუფლებაში არიან უკვე, ამაზე აღარ ლაპარაკობენ, რაც სამწუხაროა. იმასაც კი ამბობენ ზოგიერთები, რომ ეს სისტემა ძალიან კარგია, მაგრამ 2012 წლამდე რატომ იყო ის ცუდი? ბატონ დავით უსუფაშვილს ხელი აქვს მოწერილი იმ მემორანდუმზე, სადაც მაჟორიტარი დეპუტატების გაუქმებაზეა საუბარი და სწორია ეს ხედვა, თუმცა ყველა ასე არ ფიქრობს. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ როგორც კი „ნაციონალები“ ოპოზიციაში აღმოჩნდნენ, ისინიც ეწინააღმდეგებიან დღევანდელ საარჩევნო სისტემას, რაც თავად შექმნეს და იპარპაშეს წლების განმავლობაში. საქმე იმაშია, რომ ოპოზიციური მხრიდან ყველა კარგად ხედავს თუ რამდენად უსასამართლო საარჩევნო სისტემა გვაქვს, მაგრამ „ხელისუფლების „სავარძლიდან“ — ეს ასე არა ჩანს!

**— რამდენი ხანია მუშაობს თქვენი ჯგუფი ამ მიმართულებით და რა გაკეთდა დღემდე?**

— უკვე 6 თვეა მუშაობს ინტერპარტიული ჯგუფი ამ საკითხებზე, ჩვენ შევიმუშავეთ ვარიანტი, რომელიც **საუკეთესოა ჩვენს შემთხვევაში და მას ჰქვია სამხარეო პროპორციული სისტემა,** ის გახლავთ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი და სისტემა, რომლისთვისაც მთელი მსოფლიო რეკომენდაციას გვიწევს და ის საუკეთესოა ჩვენი ქვეყნისთვის. უცხოეთში მას რეგიონალურ ჰქვია, მაგრამ ვინაიდან ჩვენთან სამხარეო მოწყობის სისტემა არსებობს, აქ ერქმევა სამხარეო პროპორციული სისტემა — შინაარსით ერთი და იგივეა. ამ სისტემით დეპუტატთა ნახევარს ავირჩევთ პროპორციული სისტემით, ხოლო მეორე ნახევარს სამხარეო სიებით, ანუ ცალკე თელავი, ან გურჯაანი ან ჭიათურა კი არ აირჩევს ცალკე დეპუტატს, არამედ მთელ მხარეს ეყოლება ერთი დეპუტატი, მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ახლანდელი სისტემით შეიძლება ხუთასმა კაცმა აირჩიოს 1 დეპუტატი და მეორე რაიონში სამი ათას ხუთასმაც ერთი — ეს შეუსაბამობაა და ანტიკონსტიტუციურია. **ყველა დეპუტატი არჩეული უნდა იყოს თანაბარი ამომრჩეველთა ხმის ოდენობით — ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა.** პარტიების მხრივაც ასე იქნება, ვინც ხმების რამდენ პროცენტს მოიპოვებს, იმდენ დეპუტატს შეიყვანს პარლამენტში, ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით გადანაწილდება მანდატები და ეს იქნება თანაბრობა. ამ იდეის გარშემო სრულიად შევთანხმდით მთელი ოპოზიციური სპექტრი, საპარლამენტოც და არასაპარლამენტოც და იქნება ხმები 75-75-ზე სრული თანაბრობით. ამ იდეას მხარს უჭერენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც, ასევე ექსპერტები.

ბატონ მარგველაშვილს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება არა აქვს, მაგრამ ამ იდეას სავსებით ეთანხმება და მხარს გვიჭერს, ამიტომ გვინდოდა მისი ჩართვა ამ საქმეში, რომ პოლიტიკურად გააქტიურდეს ეს თემა და სანამ კიდევ დროა მომავალ არჩევნებამდე, მოვახერხოთ სისტემის შეცვლა. სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლები ამ საკითხე არ გველაპარაკებიან, მხოლოდ კახა ოქრიაშვილმა, დმანისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გამოთქვა აზრი ამის შესახებ, სადაც განმარტა, რომ მას მოსწონს მაჟორიტარი დეპუტატობა და მხარს არ უჭერს ჩვენს ინიციატივას. იმას, რასაც ჩვენ ვთავაზობთ ხელისუფლებას, სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება, რომელსაც ორი სესიის პარლამენტი სჭირდება, საგაზაფხულო და საშემოდგომო ამიტომ დღეს ხელისუფლება უნდა გამოვიდეს და თქვს ის, თუ **რატომ სურდათ 2012 წლამდე საარჩევნო გარემოს შეცვლა და რატომ არ სურთ ახლა? კახა ოქრიაშვილი არის ყოფილი „ნაციონალი“, რომელიც ახლა „ოცნებაში“ გადაბარგდა,** ცხადია, მას არ ენდომება მაჟორიტარობის გაუქმება, ამიტომ მისმა კომენტარმა მხოლოდ ღიმილი გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში და მეტი არაფერი, ამ საკითხებში მას შესაბამისი ცოდნა არც გააჩნია.

ამ კონფერენციის მთავარი არსი იყო ის, რომ შევიმუშავეთ შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, 75-75-ზე და წარვადგენთ პარლამენტში. ამ ეტაპზე ძალიან სერიოზული პოლიტიკური ბერკეტი გვაქვს იმისთვის, რომ ეს საქმე ბოლომე მივიყვანოთ და თანაბრობის პრინციპზე აგებულ სისტემას დათანხმდეს. თუ ამას არ გააკეთებენ, სერიოზულ პოლიტიკურ დისკომფორტს შევუქმნით — ჯერჯერობით, გვაინტერესებს შეხვედრები, მოლაპარაკებები და შეთანხმება.

**ეთერ კასრელიშვილი**
**599 110 200**

## ოდესა საპაშვილს ქუჩაში გამოფენილი ჰალსტუხებით დახვდა

**სამშობლოში სააკაშვილს ციხე ელის, ამერიკაში არავინ ელოდება, ოდესამ კი მიუხედავად სოციალურ ქსელში დაწერილი მიმართვისა-„მე შენ მიყვარხარ, ოდესა“, ძალიან ცივად მიიღო.**

**პოროშენკომ თავად წარადგინა ახალი გუბერნატორი, თუმცა კიევის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მოქალაქეებმა ადმინისტრაციის შენობაში შეჭრა სცადეს, მაგრამ ისინი პოლიციამ შეაჩერა. შემდეგ შენობას პოლიციელებმა ალყა შემოარტყეს და ახლოს არავის უშვებდნენ.**

**ოდესელები მიხეილ სააკაშვილს სატირული აქციით დახვდნენ-ქუჩებში ჰალსტუხები დაკიდეს წარწერით „Äëÿ Ì è ø è“, რითიც 2008 წლის აგვისტოს ომი გაახსენეს.**

**ოდესელები გაანაწყენა კიევის გადაწყვეტილებამ. მათი თქმით არც არავინ შეკითხვიათ, უნდოდათ თუ არა სააკაშვილი გუბერნატორად, გარდა ამისა, მათ არ მოსწონთ პოლიტიკოსის ოდიოზური წარსული. მას შემდეგ, რაც დადასტურდა სააკაშვილის გუბერნატორად დანიშვნა, ოდესელები ინტერნეტშიც და ქუჩებშიც ლეონიდ უტიოსოვის ცნობილ სიმღერას მღერიან, საიტებზე კი წერენ:- „Òû î äåññè ò, Ì è ø ê à?“ (შენ ოდესიდან ხარ, მიშკა?)**

**TB24.ge**

## მამუკა არეშიძე:

# ივანიშვილის და ღარიბაშვილის ურთიერთობა იმდენად ღრმაა, რომ ქართულ პრესას, რომლის დიდი ნაწილი ყვითელია, არ აქვს იმის შნო, მათ შორის მტრობა გააღვივოს

**გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:**

**— ბატონო მამუკა, „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებული განხეთქილება, კვლავ აქტუალურია. როგორ ფიქრობთ, რამდენად წაადგება ეს პროცესი ქართულ პოლიტიკას რა სვლებია მოსალოდნელი ქართულ პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?**

— დავიწყოთ იმით, რომ ახლა, ყველა პარტია თუ პოლიტიკოსი არჩევნებისთვის ემზადება. არჩევნები, როგორც ჩანს, ან სერიოზული ჯახის ფონზე ან ერთი პოლიტიკური ძალის დიდი უპირატესობითა და ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ჩატარდება. ის, რაც „ნაცმოძრაობაში“ მოხდა, ზუსტად, ამ ფორმატში შეგვიძლია განვიხილოთ.

„ნაცმოძრაობაში“ განაწყენებული არიან პროცესებით, რომლებიც მათ პარტიასთან დაკავშირებით მიმდინარეობს. რამოდენიმე ადამიანი საპატიმროშია, პარტია კი მათი ბედით არც ინტერესდება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ მიშა სააკაშვილმა უკრაინაში ახალი პარტიის ჩამოყალიბება დაიწყო თავისი მთელი ატრიბუტით და „ნაციონალური მოძრაობა“ აღარ აინტერესებს, რაც მათთვის სერიოზული დარტყმაა. სხვათა შორის, მიხეილ სააკაშვილმა ეს დღეს გარკვეულწილად, კიდეც დაადასტურა — უკრაინის მოქალაქეობა მიიღო და პრაქტიკულად, უარი თქვა, უახლოეს მომავალში, საქართველოში პოლიტიკურ აქტიურობაზე. ასე, რომ სიტუაცია ძალიან აირია. მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაც სხვამ გადაწყვიტა, რომ ამ საქმეში ხელი მოითბოს. აშკარაა, „ნაციონალური მოძრაობა“ მართლაც დაიყოფა. ვიცით, რომ არსებობს „ივერიელთა“ ჯგუფი, რომლის გარშემოც, გარკვეული ძალა, აუცილებლად შეიკრიბება. გარდა ამისა, ნუ დავივიწყებთ, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებობს ადამიანი, რომელიც ყველაზე უფრო ჭკვიანია, ვგულისხმობ, ბოკერიას. იგი აუცილებლად მოინდომებს ან „ნაციონალური მოძრაობა“ განაახლოს ან ახალი პარტია შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ ბოკერია საზოგადოებაში პოპულარული არაა, იგი ერთადერთი პოლიტიკოსია ვინც ამას შესანიშნავად აცნობიერებს და ამიტომ კულუარებიდან მოქმედებს. არ გამოვრიცხავ, რომ განხეთქილება ნაცებში, გარკვეულწილად, სხვა პოლიტიკური ძალის ზეწოლით, აქტიურობითაც გაღრმავდა. არ მჯერა, რომ ეს ოთხეული პარტიიდან ფინანსური დაინტერესების გარეშე წავიდა. პარტიიდან წასვლის მოტივი, რაზეც ისინი საუბრობენ, სისულელეა. ვხედავ, რომ ფინანსური დაინტერესება არის და იქნება. უნდა ითქვას, რომ განხეთქილების ეს ფორმატი ვიღაცამ საკმაოდ კარგად მოიფიქრა იმიტომ, რომ ერთდროულად ორი კურდღელი მოკლა: ერთი ის, რომ პარტიის აღმასრულებელი მდივანი ოთხეულიდან ერთ-ერთი, შეიძლება, სპეციალურად გადაყოლილი პირია იმისთვის, რომ „ნაციონალებთან“ კულუარული კონტაქტი არ დაიკარგოს. ამას არ გამოვრიცხავ. „ნაციონალების“ ფინანსებს, ისინი, ვერ მიიღებენ იმიტომ, რომ, ამ კუთხით, თვითონ „ნაციონალურ მოძრაობასაც“ უჭირს. მაგრამ არსებობენ სხვა ძალები, რამდენჯერმე გაიჟღერა ოქრიაშვილის და ჩოჩელის გვარებმა, რომლებიც საკმაოდ შეძლებული ადამიანები არიან. ამას დიდი ფილოსოფია. ადამიანებს, ამაშიც კი, იმედი გაუცრუეს. აქ, ელემენტარულად, ლაპარაკია იმაზე, რომ ხალხს წარმოეული მამქანები მაინც დაუბრუნონ. ამის პრეცენდენტის შექმნაც კი არ სურთ. იმიტომ კი არა რომ არ უნდათ, არამედ ეზარებათ, ამას ხომ დრო, ენერგია, ხალხის სიყვარული სჭირდება.

**— ამ ქაოსის, პოლიტიკური დუღილის ფონზე „რესპუბლიკური პარტიის“ დიდი აღზევება ხდება. რას ნიშნავს პარტიის წევრების ხელოვნური დაწინაურებები და რას მოუტანს ეს ქვეყანას?**

— „რესპუბლიკელები“ მიუხედავად თავისი მცირერიცხოვნებისა, საქართველოს უახლეს ისტორიას თუ გავიხსენებთ, ყოველთვის წინა პლანზე იყვნენ. ზვიად გამსახურდიას წასვლის შემდეგ, პირველი სამხედრო საბჭო რომ შეიქმნა, სიას გადავხედე, იქ „რესპუბლიკური პარტიის“ ყველა ლიდერია წარმოდგენილი, მათ შორის, მეორეხარისხოვანი ლიდერებიც კი. ყოველთვის ასე იყო. „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს თვისება, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში იყოს — ან ოპოზიციური ან სახელისუფლებო მდგომარეობით. რა გამოდის? — პარტიას აქვს რესურსი, რომელსაც სწორად იყენებს. სხვა საქმეა ის, რომ ვისაც „რესპუბლიკური პარტია“ არ მოსწონს, მის წინააღმდეგ, ბრძოლას არ აწარმოებს. მარტო გინებით საქმე არ კეთდება. მაშინ შენ უნდა გააკეთო უკეთესად ის საქმე, ვიდრე „რესპუბლიკელები“ აკეთებენ. მარტო ფეის-ბუქზე და სხვა სოციალურ ქსელებში თუ იგინები, ამით „რესპუბლიკელებს“ ერთი ბეწვიც არ ჩამოუვარდებათ. თუ მათი იდეოლოგია არ მოგწონს, სად არის კონტრიდეოლოგია? ასე, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით, „რესპუბლიკური პარტია“, ყოველთვის რეიტინგულია. მოდის არჩევნები. თუ გგონიათ რომ ეს პარტია არჩევნებში მონაწილეობას მარტო მიიღებს, ძალიან სცდებით. ასე არასდროს მოქცეულა და არც ახლა მოიქცევა ასე. ეს, „რესპუბლიკური პარტიის“ კოზირია ანუ, ექსტრემალურ სიტუაციაში მობილიზება და ყოველთვის საჭირო ადგილას ყოფნა.

**— 2016 წლის არჩევნებში ვისთან ერთად მიიღებს მონაწილეობას?**

— ისევ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად. ეჭვი მეპარება, გაიქცეს და ვინმე სხვას შეუერთდეს. ეს ერთადერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს — თუ მათი „მეგობრები“, დასავლეთის მხრიდან, საკითხს ასე დასვამენ. „ქართული ოცნების“ ქუდქვეშ „რესპუბლიკელები“ უაღრესად კომფორტულად არიან, ორი ლიდერი, ცოლ-ქმარი საკვანძო ფიგურებია არიან — პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვის მინისტრი, მეტი რაღა უნდა მოითხოვონ? თუ ძალიან მოინდომეს, გამორიცხული არაა, მათ პრემიერის პოსტიც მიიღონ. აქ იმაზე არაა საუბარი, ეს კარგია თუ ცუდი, იმას ვამბობ, რასაც ვიმსახურებთ. ვიღებთ იმას, რასაც ვიმსახურებთ. „ქართული ოცნების“ ძირითადი ბირთვის ხელმძღვანელობამ ვერ იმუშავა ისე, რომ შედეგი ჰქონოდათ. ორი წელი გააცდინეს. ვერ ვიტყვი რომ გასული წლის დეკემბრიდან

გადადგა, რაც საშინელი დარტყმაა; მეორეც — მიხეილ სააკაშვილის პირადი მეგობარი — გოგა ხაჩიძე პარტიიდან გავიდა. ეს სერიოზული თემაა. პრინციპში, სიტუაცია რომელიც აიმღვრა, არჩევნებამდე აღარ დალაგდება — შეიქმნება ახალი პოლიტიკური ძალები, ასევე, იქნება მცდელობა, რომ დიდი პროდასავლური გაერთიანება და ამის პარალელურად, მეორე ტრადიციონალისტური ორიენტაციის გაერთიანება შეიქმნას, ანუ ქართულ ფასეულობებზე დაყრდნობით, რომელიც რუსეთის მიმართ უფრო რბილი იქნება. ამ წლის განმავლობაში ასეთი ტიპის კონფიგურაციების შექმნისა და დაშლის და თავიდან აგების მომსწრენი გავხდებით და საერთოდ, პოლიტიკური მოზაიკის გადალაგება-გადმოლაგების. უბედურება ისაა, რომ პოლიტიკურ მოზაიკას და პოლიტიკანობას, სამწუხაროდ, ქართველები მიჩვეულნი არიან, მაგრამ მთავარი საქმის კეთებას ვერ უთმობენ იმდენ დროს, რამდენსაც საკუთარ თავს პოლიტიკაში შენარჩუნებისთვის.

**— ფინანსური დაინტერესება ახსენეთ. საუბრობენ, რომ ამ ოთხეულს ისევ „ნაცმოძრაობა“ დააფინანსებს. თქვენ, როგორ ფიქრობთ, საიდან მოდის ფინანსური დაინტერესება?**

— მათ, „ნაციონალები“ არ დაეხმარებიან. აქ, თამაშის ელემენტებია, რაც ასე წარმომიდგენია — ამ თუმცა, მაინც მგონია, რომ მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის გარეშე, ეს ამბავი არ გამოვიდოდა. მივეჩვიეთ, რომ ხან ტრაბზონში, ხან კიევში, ხან კიდევ სადღაც დღევანდელი ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთს ხვდებიან და ქართველი ხალხის ზურგს უკან გარკვეულ მოლაპარაკებებს აწარმოებენ, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. ამ ვითარებაში, საიდან მოდის ფინანსები, ამის თქმა, ძნელია. იცი რა, ეს ჩვეულებრივმა ადამიანმა არც უნდა გაიგოს იმიტომ, რომ იგი დაიღალა. პრაქტიკულად, გაჩნდა ნიჰილიზმი არა დასავლეთის, არა რუსეთის, არამედ საკუთარი პოლიტიკური ელიტის, პოლიტიკის მიმართ. ქართველი ხალხი თავისი გენეტიკის, პოტენციის თვალსაზრისით, ნიჭიერია. მიუხედავად იმისა, ფიქრობს თუ არა ამ თემაზე, მაინც მალე ხვდება ყველაფერს. ქართველი პოლიტიკოსები ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ საქმე საკმაოდ გონიერ საზოგადოებასთან აქვთ.

**— ამ პოლიტიკურ პასეანსში სად არის „ქართული ოცნება“?**

— არ ვიცი. უფრო ზუსტად, „ქართული ოცნება“ სადღაც აქ არის, საქართველოში, მაგრამ როგორც პარტია ვერ ჩამოყალიბდა. პარტია რომელსაც პარლამენტში და საკრებულოებში სხვადასხვა დონეზე მხოლოდ დეპუტაცია ჰყავს და არ აქვს პარტიული რგოლები, პარტია არაა. „ნაცმოძრაობას“ მყარი ელექტორატი მაინც ჰყავდა და აქტივისტები რაიონებში, რომელთა დიდი ნაწილი შეინარჩუნეს. „ქართულმა ოცნებამ“ კი პრაქტიკულად, თავისი აქტივისტების 60-70% დაკარგა იმიტომ, რომ ეს ხალხი უყურადღებოდ მიატოვა. მეორეც, არ შესრულდა დაპირებები, სამართლიანობის აღდგენა თუ სხვა რამ. უმარტივესია ადამიანს საკუთარი ქონება დაუბრუნო მითუმეტეს თუ ის ეკონომიკის სამინისტროს ან სხვა უწყების ბალანსზეა, რად უნდა ზე იყვნენ. ზვიად გამსახურდიას წასვლის შემდეგ, პირველი სამხედრო საბჭო რომ შეიქმნა, სიას გადავხედე, იქ „რესპუბლიკური პარტიის“ ყველა ლიდერია წარმოდგენილი, მათ შორის, მეორეხარისხოვანი ლიდერებიც კი. ყოველთვის ასე იყო. „რესპუბლიკურ პარტიას“ აქვს თვისება, ყოველთვის მოვლენების ეპიცენტრში იყოს — ან ოპოზიციური ან სახელისუფლებო მდგომარეობით. რა გამოდის? — პარტიას აქვს რესურსი, რომელსაც სწორად იყენებს. სხვა საქმეა ის, რომ ვისაც „რესპუბლიკური პარტია“ არ მოსწონს, მის წინააღმდეგ, ბრძოლას არ აწარმოებს. მარტო გინებით საქმე არ კეთდება. მაშინ შენ უნდა გააკეთო უკეთესად ის საქმე, ვიდრე „რესპუბლიკელები“ აკეთებენ. მარტო ფეის-ბუქზე და სხვა სოციალურ ქსელებში თუ იგინები, ამით „რესპუბლიკელებს“ ერთი ბეწვიც არ ჩამოუვარდებათ. თუ მათი იდეოლოგია არ მოგწონს, სად არის კონტრიდეოლოგია? ასე, რომ ტაქტიკური თვალსაზრისით, „რესპუბლიკური პარტია“, ყოველთვის რეიტინგულია. მოდის არჩევნები. თუ გგონიათ რომ ეს პარტია არჩევნებში მონაწილეობას მარტო მიიღებს, ძალიან სცდებით. ასე არასდროს მოქცეულა და არც ახლა მოიქცევა ასე. ეს, „რესპუბლიკური პარტიის“ კოზირია ანუ, ექსტრემალურ სიტუაციაში მობილიზება და ყოველთვის საჭირო ადგილას ყოფნა.

**— 2016 წლის არჩევნებში ვისთან ერთად მიიღებს მონაწილეობას?**

— ისევ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად. ეჭვი მეპარება, გაიქცეს და

დღემდე საქმე არ გაკეთებულა, პირიქით, ამ ექვს თვეში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ ორი წელი რას აკეთებდნენ, ამაზე პასუხი, ვერავინ გამცა. ვთვლი, რომ ექვს თვეში იმაზე მეტი გააკეთეს, ვიდრე მთელი ორი წლის მანძილზე. მაგრამ არის საქმეები, რასაც არ აკეთებენ. მაგალითად, ჩინეთის განსაკუთრებული დაინტერესების გამო უნიკალური შანსი მოგვეცა, საქართველოს ინდუსტრიალიზაცია მოვახდინოთ. ჩინეთი საქართველოზე კი არ გიჟდება, არამედ იგი სჭირდება როგორც სამხრეთ-კავკასია — სერიოზული სახმელეთო ხიდი ევროპასთან. ანუ, სარკინიგზო ხიდი, რათა რუსეთს სერიოზული კონკურენცია გაუწიოს. ამისთვის, საქართველოს საოცრად შეღავათიან პროექტებს სთავაზობს, თან იცის საქართველოს საინჟინრო პოტენციალი. გაგეცინებათ, მაგრამ ჩვენ, ჯერ კიდევ გვყავს ისეთი ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ინდუსტრიული ქვეყანა შექმნან. ჩინეთი არც თავის ინჟინერს, არც თავის მუშახელს არ გვთავაზობს, არამედ მხოლოდ ფულს და იმას, რომ საქართველო გადაიქცეს ქვეყნად, რომელიც რეგიონში, სამხრეთ-კავკასიაში ინდუსტრიული პროდუქციის გაყიდვას შეძლებს. მაგრამ ქართველი ჩინოვნიკების ბიუროკრატიული და გაუგებარი პასიურობის გამო, წელიწადზე მეტია, ეს პროექტები იმტვერება. თუ ეს პროექტები არ შედგა, ჩინეთი საქართველოზე ხელს ჩაიქნევს და აზერბაიჯანიდან პირდაპირ

7 gv.

# განახლებული უშიშროების საბჭო, საქართველოს პრეზიდენტს კი არა, პრემიერ-მინისტრს უნდა დაექვემდებაროს

**შინაგან საქმეთა სამინისტროს სავარაუდო გაყოფასა და მთავარი პროკურორის არჩევითობასთან დაკავშირებით გვესაუბრებიან ცნობილი უფლებადამცველი, ადვოკატი გიორგი თევზაძე და პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი დავით გაგნიძე.**

**გიორგი თევზაძე:** „შინაგან საქმეთა სამინისტროს აუცილებლად უნდა გამოეყოს უშიშროების სამსახური და ცალკე უწყებად ჩა-

გიორგი თევზაძე

მოყალიბდეს, რადგან ერთიანი ბირთვი ორივე სტრუქტურისთვის ხელისშემშლელია და უფრო დემოკრატიულიც იქნება მათი განცალკევება. მართალია, ორივე სტრუქტურა სახელმწიფო ინტერესებს ემსახურება, მაგრამ მათ განსხვავებული დატვირთვა და ფუნქცია აქვთ. ჩემი აზრით, შსს-ს გამოძიების სამსახურიც უნდა გამოეყოს, ეს სამსახური არც პროკურატურას, ფინანსთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს უნდა ჰქონდეს, უმჯობესია თუ გამოძიება ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდება და პარლამენტს დაექვემდებარება. გამართლებულად არ მიმაჩნია, როცა ერთი უწყება იჭერს და გამოძიებასაც თვითონ ახორციელებს, რადგან აქ სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი და საზოგადოებაშიც ნაკლებადაა ნდობის ფაქტორი. პროკურატურას მხოლოდ ზედამხედველის ფუნქცია უნდა ჰქონდეს, რაც ისედაცაა მისი ძირითადი ვალდებულება, ოღონდ ამ ზედამხედველობას ფორმალური ხასიათი არ უნდა ჰქონდეს. შსს-ს ფუნქციაში კი მართლწესრიგის დაცვა, დანაშაულის აღკვეთა, ოპერატიული საქმიანობა უნდა დარჩეს. საგამოძიებო სამსახური შეიძლება დეპარტამენტად ჩამოყალიბდეს, ოღონდ გაფართოებული, სამინისტროს უფლებებით, მით უმეტეს, რომ ჩვენ ამის პრაქტიკა გვაქვს. უშიშროების სამინისტროში შეიძლება დარჩეს გარკვეული დანაყოფები, რადგან არსებობს საიდუმლო გამოძიების ეტაპები, რომელიც საგამოძიებო უწყებასთან ერთად უნდა განახორციელონ. სხვათა შორის, სასჯელაღსრულების სისტემასაც აქვს თავისი საგამოძიებო სამსახური, რომელიც ამ სისტემის შიგნით ჩადენილ დანაშაულობებს იძიებს, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ უმჯობესია ამ შემთხვევაშიც დამოუკიდებელმა ორგანომ შეისწავლოს და გამოიძიოს.

რაც შეეხება მთავარი პროკურორის არჩევითობას, მე თუ მკითხავთ, მარტო პროკურორები კი არა, მოსამართლეები და პოლიციის უფროსებიც არჩევითი უნდა იყოს, მაგრამ ამ ეტაპზე განუხორციელებლად მიმაჩნია. კანონპროექტის მიხედვით, მთავარი პროკურორის დანიშვნა საპროკურორო საბჭოს მეშვეობით უნდა განხორციელდეს, უფლება-მოვალეობა ამ საბჭოზე გადანაწილდება. ამ საბჭოს თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი იქნება, საბჭოს შემადგენლობაში იქნება ორი პარლამენტარი, რომლებსაც ასევე აირჩევენ. იქ ასევე შევლენ საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების (არასამთავრობო სექტორი) წარმოდგენილი კანდიდატები, ასევე ორი წევრი, რომლებიც არ ეწევიან საადვოკატო საქმიანობას. ბუნებრივად ჩნდება კითხვები, საპროკურორო საბჭოს მიერ არჩეული მთავარი პროკურორი დამოკიდებული ხომ არ იქნება ხსენებულ საბჭოზე? ვინ აირჩევს წევრ-პარლამენტარებს, ისევ უმრავლესობა ხომ? რა პრინციპით მოხდება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა არჩევა, ეჭვი მაქვს, რომ აქაც იგივე განმეორდება, რაც მუშაჯგუფთან დაკავშირებით მოხდა, ის კონტინგენტი, რომლებიც წლებია რეალურად მუშაობს უფლებადაცვით სფეროში, ხსენებულ ჯგუფში არ შეიყვანეს, მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი განცხადებები მათი მხრიდანაც გაკეთდა. ეტყობა, ის ხალხი ამოარჩიეს, ვინც იდეურად უფრო ახლოს დგას ხელისუფლებასთან. თუ მთავარი პროკურორის არჩევითობაზე მიდგა საქმე, ვფიქრობ, უფრო უპრიანი იქნება, რომ იგი საპროკურორო საბჭომ კი არ დანიშნოს, საქართველოს პრეზიდენტმა წარადგინოს მისი კანდიდატურა პარლამენტში დასამტკიცებლად. მოგვწონს ეს თუ არა, გიორგი მარგველაშვილი ხალხის არჩეულ პრეზიდენტად ითვლება და დემოკრატიულიც იქნება თუ მთავარ პროკურორს ის წარადგენს. პრეზიდენტის უფლებები მკვეთრად შეუზღუდეს და ეს ერთგვარი კომპენსაცია იქნება. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენასთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილმა ძალზე სწორი ნაბიჯი გადადგა და დიდი იმედი მაქვს, რომ მთავარ პროკურორსაც სწორად შეარჩევს“.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დაყოფასა და გამოძიების ორგანოს ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბებას პროფესიონალი სამართალდამცავი დავით გაგნიძეც ეთანხმება, თუმცა პროკურატურის რეფორმა, კერძოდ კი მთავარი პროკურორის არჩევითობა მასში სერიოზულ ეჭვებს იწვევს.

**დავით გაგნიძე:** „რა მნიშვნელობა აქვს პროკურორს აირჩევენ თუ არა, ან ვის დანიშნავენ, მთავარია, კეთილი ნება იყოს. 90-იან წლებში, როცა „მხედრიონი“ და სხვა შეიარაღებული დაჯგუფებები ავლაგმეთ, პოლიციის მთელი შემადგენლობა თავისი ხელმძღვანელებიანად იგივე ვიყავით. ერთ ღამეში დავასრულეთ ყველაფერი, რადგან ამისი კეთილი ნება არსებობდა. ამ არეულ ქვეყანაში, ნამდვილად არ არის რეფორმების დრო. პროკურატურის გამომძიებელი როგორ უნდა მოსთხოვო საქმე ბოლომდე მიიყვანეო, როცა მას ამისი კვალიფიკაცია არ აქვს, პირველ რიგში, საკადრო პოლიტიკის გაჯანსაღებაზე უნდა იფიქრონ. პროკურატურაში ყველა ნაციონალების მომხრეები და ყაჩაღები კი არ არიან, მაგრამ გამომძიებელი საქმეზე მეტად იმაზე ფიქრობს, კრედიტი როგორ გადაიხადოს, რეფორმის შემდეგ ახალი უფროსი რომ მოვა, ვაითუ, არ მოვეწონოო, ამ დროს კი ამ ახალმა ხელმძღვანელმა შეიძლება, გამოძიების ანაბანა არ იცოდეს. ანალოგიური არაკომპეტენტურობის მაგალითია თავდაცვის სამინისტრო. რა კრიტერიუმით დანიშნეს თინა ხიდაშელი ამ უწყების პირველ პირად? გასაგებია, რომ მინისტრი პოლიტიკური თანამდებობაა და ხიდაშელიც პოლიტიკური ფიგურაა, მაგრამ მაინც სირცხვილად მიმაჩნია მისი ამ თანამდებობაზე დანიშვნა. დასავლეთის ქვეყნებს ვეტოლებით და გენდერულ ბალანსს ვიცავთ? რა გვეგენდერება, როცა ქვეყანა თავზე გვექცევა. თამარ მეფის მაგალითს თუ იშველიებენ, ის რატომ ავიწყდებათ, რომ მას აწყობილი ქვეყანა დახვდა.

ჩემი აზრით, შსს აუცილებლად უნდა გაიყოს. ნაციონალებმა თავის დროზე პოლიცია და უშიშროების სამინისტრო იმიტომ გააერთიანეს, რომ მსოფლიო ნარკომაფიას ერთ კაცთან ჰქონოდა საქმე. საქართველოს ტერიტორიაზე მარტო ნარკოტიკების კი არა იარაღის ტრანზიტიც ხდებოდა და ერთ კაცს უნდა გაეწია კურირება ამ „ბიზნესებისთვის“, საზღვრის დაცვის დეპარტამენტიც ამ მიზნით მიუერთეს შსს-ს, მხოლოდ ეს იყო რეალური მიზეზი. კონტრდაზვერვა ძალზე სპეციფიური სამსახურია, იგი საქართველოს ტერიტორიაზე შემოსულ და მოქმედ ჯაშუშებს ებრძვის და აკავებს, მიმაჩნია, რომ კონტრდაზვერვა უშიშროების სამსახურის დაქვემდებარებიდანაც უნდა გავიდეს და ეს უკანასკნელი უნდა ინტელექტუალურად ქვეყნის ეკონომიკით, ძირითადი სტრატეგიული სფერო „გადახურული“ უნდა ჰქონდეს. ყველაზე მთავარი დღეს სავალუტო კრიზისია, რომელმაც ამაზრზენი სახე მიიღო, აქედან გამომდინარე, უშიშროების სამსახურს შესწავლილი უნდა ჰყავდეს ყველა ბანკი, როგორც ეროვნული ბანკი, ისე კომერციული ბანკები, მათი თითოეული თანამშრომელი, ყველა საფინანსო ოპერაცია (ფულის გასვლა), რატომ არ სრულდება სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური წინადადებები. ასე რომ, ხსენებულ სამსახურს ნამდვილად არ აქვს იმის დრო, რომ ქვეყანაში მზვერავებსა და ჯაშუშებს სდიოს, რადგან მათ გარდა მრავლად გვყავს „საბოტაჟნიკები“, დივერსანტები, მოღალატეები. მან ეკონომიკური სფერო უნდა აკონტროლოს. ბანკები კარტელური გარიგებით რომ ადგენენ ვალუტის კურსს, სად არის ამ დროს უშიშროების სამსახური? რამდენი კარგი პროექტი ჩავარდა, რატომ არ დგება იმ ხალხის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებიც ქვეყანას ღუპავენ. სავალუტო ფონდიდან თუ მსოფლიო ბანკიდან მითითება რომ მოდის, რისი შესრულების საფუძველზე მოგვცემენ კრედიტს, ვინმე სწავლობს მათ წინადადებას? შევარდნაძის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული 50-55 მილიარდი დოლარია საქართველოდან გატანილი. თუ ეს ყველაფერი სიმართლეა, მაშინ შევქმნათ რაიმე ეკონომიკური სამსახური, რომელიც ასევე ცალკე უწყება იქნება გაზრდილი ფუნქციებით, პირდაპირი პრემიერ-მინისტრს დაექვემდებარება და მისი კურირებით იმუშავებს. მივცეთ ამ სამსახურს 50-კაციანი შტატი, აუცილებელი არ არის ყველა პოლიციელი იყოს, მოვიწვიოთ პროფესიონალი ეკონომისტები, რომლებიც თავის ვარაუდსა და ანალიზს დადებენ. თანამშრომელთათვის ასაკობრივი ცენზი არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ამავე დროს იყოს ახალგაზრდებისგან დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი, რომლებსაც გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომლები (იგივე უშიშროების სამსახურიდან და პოლიციიდან) მიმართულებას მისცემენ, ისე დაყოფენ ოპერაციებს, რომ ახალგაზრდები ვერც კი მიხვდნენ რა მიზნით აგროვებენ ინფორმაციას. ამ 50 კაცის შეგროვება ნამდვილად არ გაგვიჭირდება. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, მთელი საქართველო მათხოვრად არის გადაქცეული, ამ დროს კი მავანთ მილიარდები აქვთ ქვეყნიდან გატანილი. შსს-ში, მგონი, კიდევ ფუნქციონირებს ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, მაგრამ დღეს ისეთი ექსტრემალური ვითარებაა შექმნილი, რომ არ ყოფნის. გარდა ამისა, ხსენებული სამსახურის ზემოთ დგანან ისეთი პირები, შს მინისტრს არ ვგულისხმობ, რომელთა ნდობა არ შეიძლება, იქ ისეთი სიტუაციაა,

საქართველოს პროკურატურა

რომ შეიძლება ინფორმაციამ გაჟონოს. მე თუ მკითხავთ, დღეს ისეთი ვითარებაა, იმდენი მითვისებული თანხებია ამოსაღები, რომ ეკონომიკური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურები საერთოდ უნდა გავიდეს ყველა უწყებიდან და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდეს, 3-4 წლის შემდეგ, როცა მდგომარეობა მეტნაკლებად გამოსწორდება, შეიძლება საერთოდ აღარ დაგვჭირდეს ეს სამსახური. მართვის ხელოვნების არსი იმაშია, რომ რაც შეიძლება სწრაფად უნდა მივიდეს პირველი პირის განკარგულება ბოლო რგოლამდე, ე.ი. შუა სტრუქტურები უნდა შემცირდეს, რომ ოპერატიული, ძვირადღირებული დრო არ დაიკარგოს. შს მინისტრს უამრავი სხვა პრობლემაც აქვს, ყველაფერს ვერ გაწვდება, ამიტომ ჯობია ეკონომიკური სამსახურს პირდაპირ პრემიერ-მინისტრთან ჰქონდეს ურთიერთობა, მით უმეტეს, რომ ბატონი ირაკლი, რამდენადაც ვიცი, პროფესიით ეკონომისტია და არ გაუჭირდება ვითარებაში გარკვევა. პროკურატურაში ცალკე ჯგუფი უნდა გამოიყოს, რომელიც ამგვარ საქმეებს ზედამხედველობას გაუწევს. ადრე იყო პროკურატურაში ასეთი სამსახური, მაგრამ ხომ ხედავთ, ისევ რეფორმას აპირებენ და კაცმა არ იცის, მომავალში რა მოხდება“.

დავით გაგნიძე

**- ბატონო დავით, მთავარი პროკურორის არჩევითობასა და რეფორმასთან დაკავშირებით სერიოზული ეჭვები გაქვთ. იქნებ დაგ-**

**ვიკონკრეტოთ, რამ გამოიწვია თქვენი უნდობლობა?**

- მთავარ პროკურატურაში შექმნეს სპეციალური დეპარტამენტი, რომელსაც ნაციონალების 9-წლიანი მმართველობისას დაზარალებულთა საქმეები უნდა გამოეძიებინა, თითქოს მუშაობაც დაიწყეს, მაგრამ, სინამდვილეში, არაფერი გაუკეთებიათ, ერთი კაცი მაინც დააკმაყოფილეს? მოგეხსენებათ, 2007 წელს დამითხოვეს შსს-დან, თითქოს აგენტზე გამოვწერე ფული და მივითვისე. ეს თანხა ჩემმა ხელმძღვანელმა გამომაწერინა და თვითონ აიღო, თუმცა მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია. ნაციონალების მმართველობისას პროკურატურას მივმართე, რომ ეს საქმე გამოეძიებინათ მათი ქვემდებარე იყო, რადგან პოლიციელებს გვეხებოდა. ჩემი წერილი იმ გამომძიებელს გადაუგზავნეს, რომელმაც მხოლოდ ერთხელ დამიბარა, მაგრამ ხელმძღვანელობამ გაფრთხილა თავი დაანებეო და აღარ დამელაპარაკა, გაიქცა, ფაქტობრივად, არ დავუკითხივარ. არც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მომხდარა რაიმე სასიკეთო ძვრა, უმძიმესი კატეგორიის დამნაშავეები შეიწყალეს, თუ გაამართლეს, გამაგებინონ, რა დავაშავე ისეთი, რომ „რეაბილიტაცია“ არ მეხება. ძალიან კარგად იციან, ვინც მიითვისა ის ფული, მაგრამ დღემდე არავინ სთხოვს პასუხს. ხელისუფლება რომ შეიცვალა, თვითონ დამიბარეს შსს-ში (მინისტრის მაშინდელმა მოადგილემ ალეკო ტაბატაძემ), თითქოს სისტემაში უნდა დავებრუნებინე, ტესტირება გავიარე, ნორმატივებიც ჩავბარე, მაგრამ მერე მითხრეს, მოიცადეო და დღემდე ვიცდი. ძალიან მინდა, ეს ყველაფერი ჩაწეროთ, გამოძიებასთან ვითანამშრომლე, ვუთხარი, რომ ის თანხა არ ამიღია, ისიც ვუთხარი, ვინ აიღო და სად წავიდა, მაგრამ ოფიციალურ ჩვენებას არ მართმევენ, იციან, იქ ბევრ სხვა რაღაცას ვიტყვი, რაც, როგორც ჩანს, არ აწყობთ. მარტო ჩემზე არ არის საუბარი, უამრავი ადამიანია იგივე მდგომარეობაში. ახლა, როცა ხსენებულმა სპეცდეპარტამენტმა საქმეების შესწავლა დაიწყო, პროკურატურის რეფორმა წამოიწყეს, სინამდვილეში დროს წელავენ, მერე იტყვიან რა დროს ხარვეზების გასწორებაა, არჩევნებია კარს მომდგარიო.

მთავარი პროკურორი თურმე საპროკურორო საბჭომ უნდა აირჩიოს, სადაც წევრებად პარლამენტარები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ფაქტობრივად ნაციონალების სატელიტები იქნებიან. დავარქვათ ბარემ საქართველოს არასამთავრობოთა რესპუბლიკა, ყველაფერს მაინც ეგენი წყვეტენ. ან ის პარლამენტარები ვინ იქნებიან, ისევ „ქართული ოცნება“ და ნაცები? თუ დემოკრატიულობაზე აქვთ პრეტენზია, მაშინ ამ საბჭოში არასაპარლამენტო ოპოზიციის ის წარმომადგენლები შეიყვანონ, რომლებმაც არჩევნებში სხვებზე მეტი ხმები დააგროვეს. ვიმეორებ, მთავარი რეფორმა კი არა, პოლიტიკური ნებაა, ნუ შეზღუდავენ პროკურატურას, სამართალდამცავ სტრუქტურებს და ისინი თვითონ მოაგვარებენ პრობლემას, როგორც ეს 90-იან წლებში მოხდა. მიმაჩნია, რომ შსს-ს უნდა გამოეყოს გამოძიების სამსახური, მაგრამ ოპერატიული შემადგენლობა დაუტოვონ, რომელიც მძიმე კატეგორიის დანაშაულობებზე იმუშავებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ნაცრეჟიმის დროს მომხდარზეც. გამოცდილი სამართალდამცავები ყოველთვის ვამბობდით, რომ არ შეიძლება გამოძიება აწარმოოს იმ უწყებამ, რომელმაც ჩაატარა ოპერატიული სამუშაო. თვითონ რომ დაიჭირა და თვითონ იძიებს, სწორედ ეს არის კომუნისტური გადმონაშთი. როცა ერთი ადამიანი ხელმძღვანელობს გამოძიებასაც და ოპერატიულ სამსახურსაც, მაშინ ადვილად ხდება, ასე ვთქვათ, გატარება, ე.წ. „პატასოვკა“. გამოძიება ცალკე უწყება რომ იყოს, ასეთი რამ ნაკლებად შესაძლებელია, კონკურენციის პირობებში უფრო ეფექტური შედეგი დგება, ამას საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნებით. პროკურატურასთან ერთად რომელ საქმეებზეც გვიმუშავია ოპერატიულ სამსახურს, ყოველთვის უფრო სრულყოფილი იყო და არც გამოძიება ჭიანურდებოდა. გამოძიება ყველა უწყებიდან უნდა გავიდეს და ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდეს, თუ გვინდა, რომ რეალურ შედეგს მივაღწიოთ. ამ უწყების ხელმძღვანელად კი კობა ნარჩემაშვილზე უკეთესი კანდიდატურა ნამდვილად არ მეგულება. მინდა ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც გავამახვილო ყურადღება, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახური, მგონი, ისევ არის შსს-ში, მაგრამ ეს სამსახური უნდა გაფართოვდეს. 1995 წელს, როცა ქვეყანას სჭირდებოდა, ეს სამსახური დეპარტამენტის სახით ფუნქციონირებდა, კახა თარგამაძე იყო მისი ხელმძღვანელი, მერე კრიმინოგენური ვითარება რომ დასტაბილურდა, სამმართველოდ გადაკეთდა. ახლა ისევ დეპარტამენტის ფუნქცია უნდა მიენიჭოს, კურირება უნდა გაუწიოს ქვედა რგოლებს, აიძულოს რომ იმუშაონ. ჩემი ინფორმაციით, მარტო მიტინგების დროს (2007-2012 წლები) 21 თუ 22 ადამიანია დაკარგული, სად არის ეს ხალხი, ვინმე მუშაობს ამ საქმეზე, იქნებ სულაც ცოცხლები არიან. ამ ინფორმაციის სიზუსტეში ეჭვი არ მეპარება, რადგან ხელისუფლების შეცვლის შემდეგ შსს-ში მუშაობა რომ უნდა დამეწყო, მაშინ მითხრეს, ამ საქმეებზე უნდა იმუშაოო. მერწმუნეთ, ბოლომდე მივიყვანდი ამ საქმეებს, ახლაც შეიძლება მათზე მუშაობა და შედეგის დადება. მე არ ვიზიარებ იმ პოზიციას, რომ საგამოძიებო ორგანო პარლამენტს დაექვემდებაროს, თუ ის გვინდა, რომ არაფერი გაკეთდეს, მაშინ გადავცეთ პარლამენტს, როცა ბევრი ადამიანია მაკონტროლებელი, მაშინ, როგორც წესი არაფერი კეთდება. დაიყოს შსს, შეიქმნას, როგორც გითხარით, ახალი სამსახურებიც, მაგრამ ისინი უნდა დაექვემდებაროს უშიშროების საბჭოს, მაგრამ არა ისეთს, რომელიც დღეს გვაქვს. უნდა შეიქმნას ახალი უშიშროების საბჭო, რომელიც ყველა ძალოვან (ოპერატიულ) თუ საგამოძიებო სტრუქტურას გაუწევს კურირებას და კონტროლს, მაგრამ მის ხელმძღვანელად არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაინიშნოს ირინა იმერლიშვილი. ეს ქალბატონი კი არის გენერალი, არავის ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ მე არ ვიცი, მან რა დამსახურებისთვის მიიღო ეს წოდება. საკაშვილის რეჟიმის დროს ზოგიერთები ლამის ფელდმარშლებიც ხდებოდნენ, მაგრამ მათი გაკეთებული საქმე არავის უნახავს. რაც ყველაზე მთავარია, განახლებული უშიშროების საბჭო, ყველა შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტს კი არა, პრემიერ-მინისტრს უნდა დაექვემდებაროს. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# ივანიშვილის და ღარიბაშვილის ურთიერთობა იმდენად ღრმაა, რომ ქართულ პრესას, რომლის დიდი ნაწილი ყვითელია, არ აქვს იმის შნო, მათ შორის მტრობა გააღვივოს

5 gv.

გავა ირანში. ამ დროს ჩვენი პოლიტიკოსები სხვა რამით არიან დაკავებულნი – ვინმემ არ აჯობოს და თანამდებობრივ სკამზე უფრო წინ არ წაიწიოს. ჩვენ, უნიკალურ მდგომარეობაში ვცხოვრობთ – უნიკალური ჩინოვნიკური კასტა შეიქმნა, რომლის დიდი ნაწილი მსოფლიო ჩინოვნიკურ ელიტაში ერთგვარი ნოუ-ჰაუა. ვგულისხმობ შემდეგს: **ქართველი ჩინოვნიკები არ იღებენ ქრთამს და არაფერს აკეთებენ, სხედან კაბინეტებში იღებენ მაღალ ხელფასს, მანქანას, ტელეფონს, პრემიებს, მაგრამ არაფერს არ აკეთებენ და თან არც იპარავენ, ეს უნიკალურია. ასეთი რამ მსოფლიოში არ არსებობს — ან უნდა იპარავდე, ან საქმეს უნდა აკეთებდე, ან უნდა საქმეს აკეთებდე და თან იპარავდე, ან თავი მაინც მოიკალი კაბინეტში, რომ ხალხმა გაიგოს რომ ხარ.**

**— ბატონო მამუკა, ბოლო დროს პრესით უცნაური ინფორმაცია გავრცელდა, თითქოს შემოდგომაზე ივანიშვილი ახალ ოპოზიციურ პარტიას შექმნის და ღარიბაშვილის მთავრობას დამარცხებს.**

— წარმოიდგინე, გამოვიდეს ივანიშვილი და გამოაცხადოს, რომ ოპოზიციურ პარტიას ქმნის. მთელი „ქართული ოცნება“ ღარიბაშვილის მეთაურობით უმალ იმ ოპოზიციურ პარტიაში აღმოჩნდება, იქ შესვლას ერთმანეთს შეასწრებენ, ვინღა დარჩება ხელისუფლებაში, არ ვიცი. რაც არ უნდა გამოაცხადოს ივანიშვილმა, ყველა მის გვერდით იქნება. ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ჭიპლარით არიან ერთმანეთს გადაბმულნი. მეცინება როცა ამბობენ, ბიძინა ივანიშვილი კულუარებიდან მართავს ხელისუფლებასო. ჯერ ერთი, უამრავი სხვა შემთხვევა ვიცი როცა ხელისუფლება კულუარებიდან იმართება. მიშა სინგაპურზე რომ გიჟდებოდა, იქაც ასე იყო. აშშ-ს პრეზიდენტს, ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებს მსხვილი ტრანს-ნაციონალური კომპანიები აღებინებენ. კი, ვთქვათ მართავს ბიძინა ივანიშვილი კულუარებიდან, მერე რა? მთავარი შედეგია და არა ფორმა. აქვე უნდა გითხრათ, ჩემი ინფორმაციით, ღარიბაშვილს უკვე ორჯერ აქვს გადადგომაზე განცხადება დაწერილი, მაგრამ ამის საშუალებას არ აძლევენ.

**— და მაინც, ქართული პრესა წყლის ამღვრევას, შუღლის გაღვივებას ხომ არ ცდილობს ახლანდელ და ყოფილ პრემიერს შორის? ეს ხომ ნაცების წისქვილზე ასხამს წყალს?**

— ქართულ პრესას არ აქვს იმის შნო, ივანიშვილსა და ღარიბაშვილს შორის მტრობა გაღვივოს მითუმეტეს, რომ პრემიერი ამის მიზეზს არ იძლევა. ანალიტიკური, სერიოზული პრესა, ძირითადად, 5% გვაქვს, დანარჩენი ყვითელი პრესაა, რომელიც სენსაციებზე, შეუმოწმებენ ამბებზეა ორიენტირებული. ღარიბაშვილის და ივანიშვილის ურთიერთობა იმდენად ღრმაა, რომ პრესა ვერაფერს დააკლებს.

**— ბატონო მამუკა, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ახალ პოლიტიკურ ძალას პრეზიდენტი მარგველაშვილი უხელმძღვანელებს.**

— ეჭვი მეპარება. მარგველაშვილმა, შეიძლება, ყველასთან ითანამშრომლოს, მაგრამ მართალი გითხრათ მომავალ არჩევნებში მას როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელს, ვერ ვხედავ. ამ ეტაპზე, არ მგონია მარგველაშვილი რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელად, ღიად გამოჩნდეს. თვითონაც არ აქვს ისეთი მდგომარეობა, რომ ამ საქმეში გამოდგეს. მის ბიოგრაფიაში ძალიან ცუდი როლი ითამაშა სასახლესთან დაკავშირებულმა ამბავმა – ხალხს არ ესმის რატომ უნდა თქვას ადამიანმა, ერთხელ, იქ ფეხის შემდგმელი არ ვარო და მერე, შევიდეს და იქედან აღარ გამოვიდეს. სხვა საკითხია, რომ ამდენი ჭიდაობა, სამარცხვინოა. ეს ჯიუტობა დამღლელია. ხალხი ხედავს რომ უამრავი პრობლემაა და ამ დროს მთავრობა და პრეზიდენტი კინკლაობით არიან დაკავებულნი. თუნდაც, ის, რომ საქართველოს საზღვრები მოშიშვლებულია, კანონით დაცული არაა, დემარკაცია არ არსებობს. უამრავი გამოწვევა და რისკია ქვეყნისთვის ისლამური ფუნდამენტალიზმიდან დაწყებული ეკოკატასტროფებით დამთავრებული.

**— როგორც ამბობენ, საკაშვილი გაგუბერნატორობამდე თავისი ნაციონალური გუნდისგან საქართველოში რევოლუციის მოწყობას ითხოვდა.**

— ვიცი, რომ აქტივობებს ითხოვდა და ბრაზდებოდა ამაზე, რომ ამდენ ფულს ხარჯავდა და გუნდი კიდევ ნაკლებად აქტიურობდა. ბოლოს გამართულ აქციაზე, აქაოდა მიშა უნდა დავაბრუნოთო, მაგრამ მიტინგზე 30 კაცი მივიდა. ხალხს, მიშას დაბრუნებაზე ლაპარაკი, მობეზრდა. იცი, რა არის? – ხალხს 2007 წლის მიშა რომ დამახსოვრებოდა, მაშინ იმ დღეს აქციაზე 10 ათასი და მეტი კაცი იქნებოდა, მაგრამ მათ 2008 და 2012 წლის საკაშვილი ახსოვთ. აქედან გამომდინარე, 30 კაცი რომ მივიდა, ისიც ბევრია.

**—ბატონო მამუკა, საუბრის დასაწყისში ახსენეთ, ბოკერია ან „ნაცმოძრაობას“ განაახლებს ან ახალ პარტიას შექმნისო. დაყოფის ეს გეგმა რამდენად შესაძლებელია მასთან კავშირში იყოს?**

— არ გამოვრიცხავ ეს სწორედ მისი გეგმის ნაწილი იყოს. ბოკერიასგან ყველაფერია მოსალოდნელი, კარგიც და ცუდიც. იგი ჩემს ხელშია გაზრდილი, „საღამო მშვიდობისა“-ში მუშაობდა და მისი გონების ჰორიზონტი კარგად ვიცი. სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა ადამიანად, რომელმაც ბევრი უარყოფითი რამ ჩაიდინა. არ გამოვრიცხავ, მას გარკვეული ჩანაფიქრები, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდეს, თან, ბევრი ქართველი პოლიტიკოსისგან განსხვავებით, სტრატეგიულად აზროვნება შეუძლია. ამიტომ, არ გამოვრიცხავ, ეს ღონისძიება მისი მომავალი მოქმედების გარკვეული ფრაგმენტი იყოს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გიორგი ბურჯანაძე: როცა უცხოელ მუშას მაღალ ხელფასს უხდი და ადგილობრივ მუშახელს უფასოდ ამუშავებ, ამას კრიმინალი და ქვეყნის აბუჩად აგდება ქვია

## ვინ არის დამნაშავე — ჩინური კორპორაცია „ჰუალინგი“ თუ ქართული შპს-ეები?

**2012 წლის 30 მარტს საქართველოს ყოფილ მთავრობას, მერიასა და ჩინურ კორპორაცია „ჰუალინგს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, ამ უკანასკნელს ევროპის ახალგაზრდული საზაფხულო ოლიმპიური ფესტივალისთვის ოლიმპიური სოფელი უნდა აეშენებინა. პროექტის დაგეგმვის, კონტრუქციისა და მოლაპარაკებების დროს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი პირადად შეხვდა ჰუალინგის დელეგაციას და დაესწრო კონტრაქტზე ხელმოწერის ცერემონიას. კომპლექსის მშენებლობისთვის თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე 420 ჰექტარი მიწის ნაკვეთი გამოიყო. ცნობისთვის, „ჰუალინგ ჯგუფი“ საქართველოში კაპიტალდაბანდებას 2007 წლიდან ახორციელებს. მის მიერ შეძენილი იქნა ხე-ტყის, ოქროსა და სამშენებლო ქვის მოპოვების 20 წლიანი ლიცენზიები.**

**რაც შეეხება ოლიმპიურ ქალაქს, 2015 წლის 26 ივლისს სოფელმა 49 ქვეყნის 3800 სპორსტმენს უნდა უმასპინძლოს. ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, მშენებარე ობიექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია და ყველა სპორტული ნაგებობა, რომელიც ფესტივალისთვის მზადდება, საერთაშორისო სტანდარტებისაა. თუმცა, „ჰუალინგის“ საქმიანობაზე განსხვავებული შეხედულებისაა არასამთავრობო ორგანიზაცია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა-ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე გიორგი ბურჯანაძე. ჩინური კომპანიის მიერ უხარისხოდ ჩატარებულ სამუშაოსა და „ჰუალინგის“ მიერ „გადაგდებულ“ ქართულ კომპანიებზე საუბრობს. მისი თქმით, გახშირდა შემთხვევები, როცა ტენდერებს კორუფციულ გარიგებებში ჩართული და უპასუხისმგებლო კომპანიები იგებენ. შედეგად ვიღებთ უხარისხოდ აგებულ შენობა-ნაგებობებს და უხელფასოდ დარჩენილ, მოტყუებულ ადამიანებს, — განაცხადა გიორგი ბურჯანაძემ.**

ყველასთვის ცნობილია, რომ 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადისთვის ზღვის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ოლიმპიური ქალაქის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ შენობები შთამბეჭდავად გამოიყურება, მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ საამუშაოები ძალიან უხარისხოდ ჩატარდა. ფაქტია, რომ საქართველოში ხარისხის კონტროლის სამსახურის არარსებობით, კარგად სარგებლობენ არაკეთილსინდისიერი ადამიანები და სამშენებლო სფეროში სრული განუკითხაობაა. ექსპერტებისა და სპეციალისტების შეფასებით, ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არამყარი და ასეთი მასშტაბური პროექტებისთვის სრულიად გამოუდეგარი ნიადაგებია. აქ ნამდვილად არ იყო რეკომენდირებული მშენებლობის დაწყება, მაგრამ მოგეხსენებათ, წინა ხელისუფლების დროს ყველაფერი ერთი ადამიანის მუშტის დარტყმით წყდებოდა. არამყარ ნიადაგებს ისიც დაემატა, რომ საძირკველის გათხრისას, გრუნტამდე ანუ მყარ ფენებამდე არ ჩასულან. შარშან ზაფხულში ძლიერი ქარის დროს, ერთ ერთი მშენებარე სახლის მეშვიდე სართულის კედელი დაინგრა. შენობაც ვიცი რომელია, კედელიც და მზად ვარ ტელეკამერებთან ერთად მივიდე და ყველას ვანახო უხარისხოდ აშენებული კედლები. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ ეს შენობა-ნაგებობები არ აკმაყოფილებს არანაირ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს. ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტები და ექსპერტები მეუბნებიან, ქალაქში ისეთი შენობა-ნაგებობები შენდება, რომ 30 წელიწადში თბილისი ავარიულ ქალაქად გამოცხადდებაო და თბილისში მიმდინარე სამშენებლო ბუმის შემხედვარე, ამაში სრულიად დარწმუნებული ვარ.

**უხარისხო მშენებლობების გარდა, სახეზეა პრობლემათა მთელი კასკადი, — აცხადებს ბურჯანაძე. მისი მონაყოლიდან ირკვევა, რომ ჩინურ კომპანიას რამდენიმე ქართველ ქვეკონტრაქტორთან გააჩნია 6-7 თვის სახელფასო დავალიანება. ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ შესრულებული სამუშაოების უხარისხობის მიზეზებით, „ჰუალინგი“ ქვეკონტრაქტორებს ფულს აღარ გადაურიცხავს და ქართველი მუშები „გადაგდებული“ დარჩებიან.**

ყველას გვსმენია შრომითი ტრეფიკინგის შესახებ, როცა მუშახელი აჰყავთ და მერე ანაზღაურებას არ აძლევენ. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე თბილისის ზღვის ტერიტორიაზე მიმდინარე მშენებლობებზე. გარკვეული სახის სამუშაოების შესასრულებლად, ჩინურ კომპანიას ქვეკონტრაქტორებად დაქირავებული ჰყავს ქართული შპს-ები, რომელთა უმრავლესობას 7-8 თვეა, ხელფასებს არ ურიცხავს. როგორც ვიცი, მშენებლობაზე 12 ქართული კომპანია მუშაობს და აქედან რვას სახელფასო დავალიანება გააჩნია. ქართველი მუშები საშინელ მდგომარეობაში არიან. ოჯახში პურის ფული ვერ შეაქვთ, საბანკო ვალდებულებებს ვერ ასრულებენ და არავინ იცის, ეს რამდენ ხანს გაგრძელდება. ჩვენი ინფორმაციით, ახლო მომავალში, ეკონომიკის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები ოლიმპიურ სოფელში მიღება-ჩაბარების პროცედურებს ჩაატარებენ. სავარაუდოდ, შენობა-ნაგებობების მნიშვნელოვანი ნაწილი მოთხოვნილ სტანდარტებს ვერ დააკმაყოფილებს. ალბათ, ჩინურ კომპანიასაც იგივე მოლოდინი აქვს და ხელფასების გაცემის დროს შეგნებულად აჭიანურებს. როგორც კი პრობლემები შეიქმნება, ჩინელები ქართულ კომპანიებს მოუბრუნდებან და ეტყვიან: თქვენი შესრულებული სამუშაო სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, მსოფლიოში რეპუტაცია შემილახეთ და ხელფასს არ გადაგიხდითო. მსგავსი შემთხვევები ბევრი გვქონია. წინა ხელისუფლების დროს, ერთ-ერთმა კომპანიამ, რომლის სახელს ამჯერად არ დავასახელებ, დაიქირავა ქვეკონტრაქტორები, ქალაქის ერთ-ერთი კუთხის რეაბილიტაციაზე ამუშავა და ბოლოს სახელფასო ფონდში 100 000 ლარი არ გადაურიცხა — მიზეზი შესრულებული სამუშაოების ხარისხი გახლდათ. იგივე კომპანიამ ჭიათურაში ფასადურად გაარემონტა მუნიციპალური შენობები და შესრულებული სამუშაოების უხარისხობის საბაბით, ერთ-ერთ ქვეკონტრაქტორს 20 000 ლარი არ გადაურიცხა. გემახსოვრებათ, როგორ „შესანიშნავად“ აგვიშენა თურქულმა კომპანია „აქსმშენმა“ იუსტიციის სახლი. იგივე „აქსუ“ მუშაობდა გლდანის ციხეში გაყვანილობებზე. საბოლოოდ, შესრულებული სამუშაოების უხარისხობის გამო, „აქსუმ“ ციხეში ამოჰყო თავი, ხოლო რა დაემართებოდათ ქვეკონტრაქტორებს, თავადაც მიხვდებით. დარწმუნებული ვარ, რომ თბილისის ზღვაზე მომუშავე კომპანიების შემთხვევაშიც იგივე მოხდება. ქართველ ქვეკონტრაქტორებს ვურჩევ, სანამ მიღება-ჩაბარების აქტამდე მისულან, კომპანიებს სახელფასო დავალიანება მანამდე გაასტუმრებინონ, თორემ ჩინელებისგან ქართველების შრომითი ექსპლუატაცია ფაქტის წინაშე დავდგებით. ყველა მოქმედი ხელშეკრულების თანახმად, ანაზღაურება უნდა მოხდეს ყოველი თვის დასაწყისში ან ბოლოს. რომ აღარაფერი ვთქვათ კომუნალურ გადასახადებზე და ოჯახურ საჭიროებებზე, თითოეულ ჩვენგანს გააჩნია საბანკო ვალდებულებები, რომლებიც აუცილებლად ყოველთვიურად უნდა დაიფაროს. ბანკს არ აინტერესებს ჩინელმა არ გადაგიხადა თურქმა თუ ქუთაისელმა.

**— ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ოლიმპიური სოფლის მშენებლობაზე დასაქმებული ჩინელების 30% პატიმარია, რომლებსაც კომპანია იაფ მუშახელად იყენებს. ბურჯანაძის განმარტებით, ჩინელი პატიმრის ანაზღაურება ქართველი მუშის ხელფასზე გაცილებით მეტია.**

— ჩემთვის ცნობილია, რომ ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისთვის, ჩინურმა კომპანიამ იაფი მუშახელის სახით ჩამოიყვანა პატიმრები, რომლებსაც, პირველ ეტაპზე, დღეში 20 დოლარს უხდიან. პატიმრები ვაშლიჯვრის დასახლებაში მდებარე სასტუმროში ცხოვრობენ და მშენებლობამდე ავტობუსით გადაადგილდებიან. საპატიმრო ვადის გასვლის შემდეგ (მუშაობის პერიოდი პატიმრობაში ეთვლებათ) გადადიან 50 დოლარიან ანაზღაურებაზე, ზოგ შემთხვევაში კი 80 და 100 დოლარსაც კი უხდიან. იგივე სამუშაოების შესრულებაში ჩვენს მუშახელს 20 ლარს აძლევენ და იმასაც თვეობით არ უხდიან. არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ვერც საკუთარი ქვეყნის სიყვარულს ამიკრძალავს ვინმე, ამიტომ პირდაპირ ვიტყვი-როცა ჩინელ მუშას ყოველთვიურად მაღალ ხელფასს უხდი და ადგილობრივ მუშახელს უფასოდ ამუშავებ, ამას კრიმინალი და ქვეყნის აბუჩად აგდება ქვია. გული მწყდება, რომ შესაბამისი სამსახურები ამაზე რეაგირებას არ ახდენენ. შეიძლება იკითხოთ, საა-

დან ვიცი ყველაფერი ასე დეტალურად? საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ორგანიზაციის 12 თანამშრომელი თბილისის ზღვაზე მიმდინარე მშენებლობაში დაწყების დღიდან მონაწილეობს და თავისი თვალით ხედავს, რაც იქ ხდება. ბუნებრივია, ამ ადამიანების ვინაობას ვერ დავასახელებ, თუმცა თუ კომპანიას რამე პრეტენზია გაუჩნდება, ჩემი თანამშრომლები დაადასტურებენ, რომ მათ რამდენიმე თვის ხელფასი ასაღები აქვთ. საუბრის ბოლოს გულისტკივილით გეტყვით, რომ საქართველო იქცა საცდელ პოლიგონად, სადაც ჩინელსაც და ირანელსაც ყველაფრის კეთების უფლება აქვს და ვერავინ უბატონოდ ხმას ვერ გასცემს.

**— ანონიმურობის დაცვის გარანტიით, „საერთო გაზეთს“ თბილისის ზღვის „ოლიმპიური ქალაქის“ მშენებლობაზე დასაქმებული ადგილობრივი მუშა ესაუბრა. მასთან საუბარში გავარკვიეთ, რომ „სხვა სიკეთეებთან“ ერთად სახელმწიფოსთვის შემოსავლების დამალვის ფაქტებსაც აქვს ადგილი, თუმცა როგორც სხვა, ისე ამ ფაქტებზეც ქართული მხარის რეაგირება ნულია.**

— ვერ გეტყვით, მშენებლობაზე დასაქმებული ჩინელები პატიმრები არიან თუ არა, მაგრამ ისინი რიგითი მუშის პოზიციებზე არ მუშაობენ და უფროსები არიან. ჩვენ ჩინელებთან

ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ ჩვენზე მაღალი ხელფასები აქვთ. ქართველი მუშის ყოველდღიური ანაზღაურება 20 ლარია, მაგრამ ამასაც ვერ ვიღებთ. იცით, როგორაა? ჩინელი კორპუსს გასარემონტებლად აძლევს ქართულ შპს-ს, რომელსაც თავისი ბრიგადა ჰყავს. ქართველი ბრიგადირი თავის მუშებს ხელფასს ჩინელებისგან ჩარიცხული თანხიდან უხდის, მაგრამ კორპუსის ჩაბარების დრო რომ მოვიდა, ჩინელებმა ჩვენს ბრიგადირს გამოუცხადეს, რომ შესრულებული სამუშაო არ მოწონთ და ხელფასს ვერ გადაგვიხდიან. ჩვენს გარემონტებულ კორპუსებს არ იბარებენ, მაგრამ იმასაც ვერ გვეუბნებიან კონკრეტულად რა არ მოწონთ. არც იმის უფლებას გვაძლევენ, რომ თუ არ მოწონთ და არ იბარებენ, ჩვენი გარემონტებული მასალა ავყაროთ და წავიღოთ. არ ვიცი, ასე როდემდე გაგრძელდება.. მარტო მე, დაახლოებით, 800-900 ლარი მაქვს ასაღები და ჩემთან ერთად ბიჭები არიან, რომლებსაც 1000 და 2000 ლარზე მეტი აქვთ ასაღები.

**— რატომ მოხდა სახელფასო დავალიანების დაგროვება და ხელშეკრულების პირობებში თუ ეწერა, რომ შესრულებული სამუშაოს დაწუნების შემთხვევაში, კომპანიას უფლება აქვს ფული არ გადაგიხადოთ?**

— არავითარი ხელშეკრულება არ არსებობს. ხელშეკრულებას არ გვიდებენ, იმიტომ, რომ დაბეგვრა არ გვინდაო. გვეუბნებიან, რომ ფული ჩვენს ბრიგადირს უნდა მოვთხოვოთ, მაგრამ რა მოვთხოვოთ, როცა ისიც ჩვენსავით „გადაგდებულია“?

**როგორც მოსალოდნელი იყო, კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ წარმომადგენლებმა არასამთავრობოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ დაადასტურეს. კომპანიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა თამარ დანელიშვილის თქმით, „ჰუალინგი“ ქვეკონტრაქტორებს ფულს მხოლოდ შესრულებულ სამუშაოში უხდის. ბუნებრივია, შეუსრულებელ სამუშაოში ფულს ვერ გადავიხდით და ვერც კონტრაქტორების სახელფასო დავალიანებებზე ვაგებთ პასუხს—განაცხადა დანელიშვილმა.**

ალბათ იცით, რომ ჩვენი კომპანია სამშენებლო სამუშაოებს უშუალოდ არ აწარმოებს და კონტრაქტი აქვს გაფორმებული სხვადასხვა კომპანიებთან. ჩვენ მათ კონტრაქტისა და შესრულებული სამუშაოს მიხედვით ვუხდით გადასახადს. მათ უნდა შეასრულონ გარკვეული სამუშაო და თანხა მხოლოდ ამის შემდეგ ნაზღაურდება. ამდენად, მათი პასუხისმგებლობაა, რომ თავიანთ დაქირავებულებს ხელფასი გადაუხადონ.

**— ქვეკონტრაქტორებს თანხა თუ არ ჩაურიცხეთ, დაქირავებულ მუშებს ხელფასს როგორ გადაუხდიან?**

— თქვენ რომ დაიქირავოთ ვინმე სახლში სამუშაოების ჩასატარებლად და ისე არ შეასრულოს, როგორც მოთხოვეთ, ფულს გადაუხდით? მათი ვალდებულება კონტრაქტით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებაა და ჩვენი ვალდებულებაა, რომ თანხა შესრულებული სამუშაოს მიხედვით გადავუხადოთ.

**— მუშები, რომლებმაც ოლიმპიური ქალაქის მშენებლობაზე კეთილსინდისიერად იმუშავეს და თავიანთი ვალდებულებები შეასრულეს, თავს მოტყუებულად გრძნობენ და ამაში თქვენს კომპანიას ადანაშაულებენ.**

— ეს ჩვენი კომპანიის პრობლემა არ არის. ჩვენს ვალდებულებას, რაც კონტრაქტით გვაქვს გათვალისწინებული, პირნათლად ვასრულებთ და ნამდვილად არ არის ჩვენი ბრალი თუ დაქირავებული ქვეკონტრაქტორი ხელფასს არ უხდის თავის დაქირავებულ მუშებს. ჩვენ ვინც გვყავს კომპანიაში დაქირავებული, ყველა დროულად იღებს ხელფასს, მაგრამ როგორ უნდა გადავიხადოთ ფული იმ სამუშაოში, რომელიც არ შესრულებულა?

**შესრულებული სამუშაოების უხარისხობას სრულიად გამორიცხავს კომპანია „ჰუალინგ ჯგუფის“ პიარ-მენეჯერი. თინათინ შიშილაშვილის თქმით, კორპუსების ჩაბარების პროცესი ყველა წესის დაცვით მიმდინარეობს და მერიის შესაბამის სამსახურებს მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით პრეტენზიები არ გასჩენიათ.**

მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოხდა ჩვენს მიერ გადაცემული კორპუსების ექსპლუატაციაში მიება და ეს პროცესი ყველა პროცედურის დაცვით მიმდინარეობს. ჩვენ გადავცემთ მერიას. ისინი მოდიან, ამოწმებენ და ექსპლუატაციაში იღებენ. მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით, მათი მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა. პროცესი ჯერ არ დასრულებულა. კორპუსების ნაწილი ჩაბარებულია, ნაწილის ჩაბარება ამჟამად მიმდინარეობს.

**„ჰუალინგის“ წარმომადგენლებთან საუბრის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველი ქვეკონტრაქტორების არაკეთილსინდისიერი მუშაობის მიუხედავად, სამუშაო უნაკლოდ შესრულდა და მერიის შესაბამის სამსახურებს მშენებლობის ხარისხთან დაკავშირებით, შენიშვნები არ გასჩენიათ. ეს ყველაფერი ლოგიკაში როგორ ჯდება, ჩვენმა მკითხველმა და კიდევ იმ სათანადო ორგანოებმა განსაჯონ, რომლებიც, იმედია, ან საკითხის შესწავლით აუცილებლად დაინტერესდებიან.**

**ნელი თორდია**
571 35 36 88

# „უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი...“

უმადურობა ადამიანის ერთ-ერთი, რბილად რომ ვთქვათ, უარყოფითი თვისებაა. თუმცა ხშირად ადამიანი თავად ვერც ამჩნევს, რომ უმადურობას იჩენს, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა. ახლა ვნახოთ, რა მოგვიტანა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებმა.

არავინ მოელოდა, რომ ასეთ ღარიბ ქვეყანაში შესაძლებელი იქნებოდა ჯანდაცვის რეფორმის ასე სწრაფად განხორციელება. ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის შედეგად საქართველოში სიკვდილიანობა შემცირდა, რასაც თითქმის ყველა აღნიშნავს. სამაგიეროდ, ზოგიერთმა დაივიწყა ის დრო, როდესაც უფულოდ ექიმსაც ვერც ესალმებოდნენ. ხომ არის უმადურობა? ან „C“ ჰეპატიტის უფასოდ მკურნალობა მსოფლიოს რამდენ ქვეყანაშია, ხომ არ დაგვითვლია? ან რა ჯდება ამ დაავადების მკურნალობა? მაგრამ ზოგიერთს არ უნდა კარგის დანახვა და მორჩა, არაფერი კეთდებაო და ზოგიერთი თუთიყუშივით იმეორებს.

პროდუქტზე ფასები იზრდებაო, ჩივიან. რატომ და რა ძვირდება, არაფერს ამბობენ. ადგილობრივი პროდუქცია არათუ იმატებს, იკლებს კიდეც. ამის გასარკვევად გაიარეთ, ბატონო, ბაზარში და დარწმუნდებით. ხორცი იმაზე იაფია, ვიდრე „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში. დიახ, გარკვეული პროდუქცია ძვირდება, ოღონდ ისინი იმპორტულია.

ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობას მიიჩნევდა და მიიჩნევს, ამიტომაც მოიხნა საქართველოში მიწები. ახლა გავიაროთ თბილისის ქუჩებში და ვნახოთ, რამდენი ადამიანი, რომელიც სოფლად უნდა მუშაობდეს, უსაქმოდ დაყიალობს, ან უკეთეს შემთხვევაში, ბაზრობაზე დგას. ვინ შექმნის პროდუქციას მათ მაგივრად, ისევ ბიძინა ივანიშვილი ხომ არა? ან მისი ბრალია ჩვენი სიზარმაცე?

ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს ააცილა კიდევ ერთი ძმათა ომი, რაც ადვილი შესაძლებელია მომხდარიყო. სამაგიეროდ, „ნაცმოძრაობელებმა“ ახლა ენები გაიტლიკეს და შანსს არ უშვებენ ხელიდან მის საძაგებლად. რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მათ მხარი სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც აუბეს, თუნდაც იგივე „თავისუფალმა დემოკრატებმა“, „ლეიბორისტებმა“, თუ სხვებმა და სხვებმა. ზოგს ფული უნდოდა, ზოგს თანამდებობა, ზოგს ორივე მისცა, მაგრამ... აი, ეს არის უმადურობის გამოვლინება.

კრიტიკა, ნებისმიერი ხელისუფლებისთვის აუცილებელია. მხედველობაში გვაქვს ჯანსაღი კრიტიკა და არა ლანძღვა. სამწუხარო ის არის, რომ მხოლოდ უსაფუძვლო საუბრები გვესმის, გამოსავალს და ჭკვიანურ აზრს იშვიათად გაიგონებს ადამიანი. პრესატელევიზიებმა ხომ მთლად აურია თავ-გზა მოსახლეობას. თუმცა ჩვენს ზოგიერთ კოლეგას დაავიწყდა ის ზეწოლა და დიქტატი, რომელსაც „ნაცმოძრაობის“ დროს განვიცდიდით. ესეც უმადურობაა.

რაც ყველაზე სამწუხაროა, უმადურობა ბიძინა ივანიშვილის მიმართ მის მიერ ხელდასხმულმა პრეზიდენტმაც გამოიჩინა. საერთოდაც საინტერესოა, რა საჭიროა ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტის ინსტიტუტის არსებობა, რა ფუნქცია აკისრია, გაუგებარია. ერთი, რაც აშკარად ჩანს, დღეს პრეზიდენტი ინგლისის დედოფალივით გვყავს.

ნუ ვიქნებით, ბატონებო, უმადურები. ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ — კარგს კარგი და ცუდს — ცუდი. უშეცდომო ადამიანი არ არის ქვეყანაზე, მაგრამ შეცდომაზე უნდა მივუთითოთ და უსაფუძვლოდ არ უნდა ვილანძღებოდეთ, თორემ უმადურობა კარგს არაფერს მოგვიტანს.

„უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი“ — თქვა ერთმა პოეტმა.

კი მაგრამ, ჩვენ, ქართველებს, ჯიშიან ერად რომ მოგვაქვს თავი, საიდან შემოგვეპარა ეს სამარცხვინო ბაცილა?

**გია ბურდული**
551 71 27 07

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ოთხი დღე „ცეცხლოვან ქვეყანაში“, ანუ სან სევირამ, აზერბაიჯან!

ბაქო

საქართველოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მხარეს, რომელსაც თურმე რომაელები ატროპატენას ეძახდნენ, ხოლო არაბები ადერბედაგანს, თანამედროვენი კი აზერბაიჯანს უწოდებენ, პირველად ვესტუმრე.

„წითელი ხიდიდან“ აზერბაიჯანის დედაქალაქამდე ხუთიექვსი საათის სავალი გზაა.

...რაც უფრო შორს მიდიხარ საქართველოდან, მით მეტად შორდები ქართულ ყოფას...

აგურით ნაშენები პომპეზური სახლები მაღალი კოშკურებით, სახურავებზე გვირგვინებით. თვით სახლების უმეტესობა გარედან ბრჭყვიალებს, როგორც ჩანს, სარკეები დაუმტვრევიათ და ბათქაშში ჩაუყოლებიათ.

გზად გვხვდება წარწერები: შაქი. ყაზახი, განჯა...

ბაქო. აზერბაიჯანის, როგორც უწოდებდნენ, „ცეცხლის ქვეყნის“ დედაქალაქი, ულამაზესია, კეკლუცი აზერბაიჯანელი ქალებივით მიმზიდველი და კაშკაშა, დღისითაც კი.

ქუჩაში გამვლელიც, ჩინოვნიკიც და უბრალო ტაქსის მძღოლიც კმაყოფილია, რომ მათ ქვეყანას ჰეიდარ ალიევის ვაჟი ილჰამ ალიევი მართავს.

— გიყვართ თქვენი პრეზიდენტი?

— შეიძლება ის არ გიყვარდეს? — კითხვით მპასუხობენ ბაქოელები.

ჰეიდარ ალიევის ძეგლი, ფოტო და პლაკატი ყველაზე ხშირად მოგხვდებათ თვალში, მთელი ქალაქი ამ ფოტოებითაა მოფენილი. აზერბაიჯანელები ჰეიდარ ალიევს თავიანთ ბელადად და წინამძღოლად მიიჩნევენ და სამართლიანადაც. მისი მმართველობის პერიოდში აზერბაიჯანმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და განვითარებადი დემოკრატიის გზას დაადგა.

ტრადიციების ზედმიწევნით დაცვას დღემდე ცდილობენ თვით დედაქალაქშიც კი.

ქუჩებში შავი ჰიჯაბით შემოსილ ქალებსაც დაინახავთ. უფრო თანამედროვედ 17-20 წლის ყმაწვილებს აცვიათ. თანამედროვეობა კი შემოიფარგლება გოგონებზე ვიწრო შარვლებით და გაშლილი გრძელი თმებით.

აზერბაიჯანის ქუჩებში არც ერთი ქალი არ დადის გამომწვევად ჩაცმული...

საინტერესოა და, ერთი შეხედვით ასე ჩანს, რომ აზერბაიჯანელი მამაკაცები დიდ პატივს სცემენ თავიანთ ქალებს. საზოგადოებრივ ტრანსპორტში არ დაჯდება არც ერთი მამაკაცი, თუ ქალი ფეხზე დგას. წინ არ დაუდგება ქალს, მაგალითად, მაღაზიაში და თვალებში უმიზეზოდ არ ჩახედავს...

აზერბაიჯანელები შესანიშნავი მასპინძლები არიან.

სტუმარს კავკასიური სიამტკბილობით უღებენ კარებს, რათა გაჩვენონ, რა ძლიერი, ლამაზი და მდიდარი ქვეყანა აქვთ. ცდილობენ, დაგამახსოვრონ თავი, რომ ყველგან თქვა: აზერბაიჯანი არის სახელმწიფო, აზერბაიჯანელები არიან ერის შვილები. ეს ასეცაა. ყველა ბაქოელი აზერბაიჯანის პატრიოტია და რომ იტყვიან, გულით ეფერება თავის სამშობლოს.

აზერბაიჯანი დღეს რეგიონში უმდიდრესი ქვეყანაა და როგორც ამ ქვეყნის პრეზიდენტის მრჩეველმა **ქამალ აბდულამ** მითხრა, ეს არ არის მხოლოდ ბუნებრივი რესურსების დამსახურება.

კონფერენციის გახსნა

აზერბაიჯანი დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს!..

არ აპირებს არც ერთ სამხედრო და პოლიტიკურ ალიანსში გაწევრიანებას და მსოფლიო არენაზე დამოუკიდებელი სიტყვის თქმას აპირებს.

* * *

5-7 მაისს ბაქოს სლავიანურ ინივერსიტეტში მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა, რომელიც ჰეიდარ ალიევის 92-ე წლისთავს მიეძღვნა.

კონფერენციაში 19 ქვეყნის წარმომადგენელმა მიიღოს მონაწილეობა. სტუმართა შორის იყვნენ: რუსეთის, ბელარუსიის, ბულგარეთის, პოლონეთის, გერმანიის, თურქეთის, ინგლისის, ლიტვის, იტალიის, ყირგიზეთის, ჩეხეთის, აშშ-ის, ისრაელის, შვეიცის, ეგვიპტის, ირანის, ყაზახეთის, ნიდერლანდების წარმომადგენლები.

აზერბაიჯანული უნივერსიტეტები აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი კონფერენციაში. ფონდ „ცოდნის“ წარმომადგენლები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი **Í ÀÍ À**, ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, აზერბაიჯანის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი, აზერბაიჯანის ენების შემსწავლელი უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ნაციონალური საავიაციო აკადემია, სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტი, სახელმწიფო მართვის აკადემია, მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაქოს ფილიალი, აზერბაიჯანის სამედიცინო უნივერსიტეტი, ბაქოს სლავიანური უნივერსიტეტი, ტურიზმისა და მენეჯმენტის უნივერსიტეტი, ნაციონალური კონსერვატორია, მუსიკალური აკადემია, სპორტის აკადემია, პოლიციის აკადემია, ბაქოს ევრაზიის უნივერსიტეტი, კავკასიური უნივერსიტეტი, პედაგოგიკის ინსტიტუტი და მისი შამახიისა და ყაზახის ფილიალები, სუმგაითის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნახჩევანის უნივერსიტეტი, განჯის უნივერსიტეტი, აგრარული უნივერსიტეტი, ბაქოელ ქალთა უნივერსიტეტი, კოოპერაციის უნივერსიტეტი, ბიზნესის უმაღლესი სასწავლებელი, ისლამური უნივერსიტეტი, სხვა უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე ბაქოს 95-2, 286-ე. 301-ე საშუალო სკოლები.

ქამალ აბდულაევი

თითქმის მთელი ქვეყანა ჩაერთო ამ ღონისძიებაში სრული მობილიზაციით და პასუხისმგებლობით...

კონფერენციის გახსნის დღეს, დილიდან, კონფერენციის მონაწილეებმა ჰეიდარ ალიევის საფლავი ყვავილებით შევამკეთ.

სლავიანური უნივერსიტეტის ფოიეში ჰეიდარ ალიევის ხსოვნის კუთხეა, კუთხე კი არა, დარბაზი, ფოტოებით, უჭკნობი ყვავილების გვირგვინებით. იქვე ხმის გამაძლიერებლიდან ისმის აზერბაიჯანის ჰიმნი, აზერბაიჯანული სიმღერები და არავითარი ინგლისური...

სტუდენტები დგანან ფოიეში და უსმენენ...

პლაკატი კი გვამცნობს: „ხალხი, რომელსაც აქვს მაღალი კულტურა, ყოველთვის ივლის წინ, იცოცხლებს და განვითარდება“. — ჰეიდარ ალიევი...

კონფერენცია სახელმწიფო ჰიმნით გაიხსნა.

მისასალმებელი სიტყვით გამოსულმა აკადემიკოსმა **ქამალ აბდულაევმა** თქვა: „ჰეიდარ ალიევი ყოველთვის ჩვენს გულებში იქნება, ამის შედეგია სწორედ ეს საერთაშორისო კონფერენცია“.

**პროფესორი ზახარ ზახარიევი, ბულგარეთი:** ...თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ბაქო ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქალაქია მსოფლიოში, მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა და ამიტომაც ხელიდან არ გავუშვი შესაძლებლობა დავსწრებოდი კონფერენციას. ჰეიდარ ალიევის მოღვაწეობის შესწავლა დღეს აქტუალურია ყველა ასპექტში, მისი მემკვიდრეობა ძალიან საინტერესოა, რადგან ის ითვლება სახელმწიფოებრიობის ნამდვილ მშენებლად და ეს იგრძნობა ყველგან — აზერბაიჯანი ვითარდება და ის თავის სიტყვას ღირსეულად იტყვის მსოფლიო არენაზე.

**დავით გოცირიძე, პროფესორი, საქართველო:** ეს კონფერენცია უკვე ტრადიციად იქცა... აქ შეკრებილნი არიან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და ყოველი მათგანი აზერბაიჯანულ კულტურას მსოფლიო მასშტაბით განიხილავს. ეს ძალიან დიდი გამოცდილებაა ქვეყნისთვის, როცა შეგიძლია სხვისი თვალით შეხედო შენს ქვეყანას.

**ეინსჰეუტ ურლიკე, დოქტორი, გერმანია:** მეორეჯერ ვარ ბაქოში. მიხარია, რომ ამ კონფერენციაზე მოვხვდი. აქტუ-

ალურ პრობლემებს განვიხილავთ, შეხედულებებს ვუზიარებთ ერთმანეთს.

აუგსბურგის უნივერსიტეტი თანამშრომლობს ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან. ვფიქრობ, მომავალში ეს ურთიერთობები უფრო მჭიდრო გახდება.

**იოლანტა ზაბარსკაიტე, პროფესორი, ლიტვა:** ძალიან მომწონს ბაქო, აზერბაი-

ასკერ აჰმედი

ჯანის მშვენიერი დედაქალაქი...

მადლობელი ვარ ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის, მოგვეცა საშუალება ვიმსჯელოთ აქტუალურ საკითხებზე".

საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტებმა მშვენივრად იციან რუსული, ინგლისური, პოლონური, ჩეხური ენები. რამდენიმე მათგანი საქართველოშიც არის ნამყოფი დასასვენებლად.

— ბორჯომი, ხაჭაპური, — ამბობენ და იცინიან.

მე ვიცნობ ილია ჭავჭავაძეს, — ამბობს ერთი.

საქართველო აქ ყველას უყვარს. ისე ლაპარაკობენ, რაღაც ძალიან რომ მოგწონს და რომ გინდა, სულ ეფერებოდე... უფროსები მოწიწებით ლაპარაკობენ ქართველებსა და საქართველოზე, ყმაწვილები აღტაცებით...

ჩვენი მასპინძელი უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტის დეკანი **ასკერ აჰმედია**. ინტელიგენტი აზერბაიჯანელი, მორიდებული, დახვეწილი. ის ისტორიკოსია, მაგრამ კოსმოპოლიტი არ არის, უდიდეს პატივს გვცემს, ნამდვილი ჯენტლმენია, ოღონდ აზერბაიჯანის ღირსება მისთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანია, ყარაბაღის თემაზე მსჯელობისას ვგრძნობ, როგორ იძაბება და სურს ეს განცდა დამალოს.

საერთოდ, ყარაბაღის პრობლემა ყველა აზერბაიჯანელში უდიდეს ტკივილს იწვევს და გაგრძნობინებს, რომ ეს კონფლიქტი მხოლოდ გაყინულია და დრო მას ოდესმე აამოქმედებს...

ბაქოში წარმატებები აქვთ საქართველოდან ჩასულ აზერბაიჯანელებს. გაცნობისას პირველად იმას ამბობენ, რომ ქართულ მიწაზე გაიზარდნენ და ენატრებათ აქაურობა...

ჩვენც გვიხარია, რომ ვიღაც მაინც აფასებს ქართული მიწის მადლს...

„მე საქართველოში დავიბადე, დმანისში, თბილისში ცხოვრობენ ჩემი და და ძმა, იქ დავქორწინდი, საქართველოში დაიბადნენ ჩემი შვილები. მიყვარს საქართველო. ყველანი კარგად ვიყავით ერთმანეთთან — აზერბაიჯანელებიც, ქართველებიც.

ახლა ხალიჩების მწარმოებელ ქარხანაში „აზერ-ილმეში" ვმუშაობ. ძალიან კარგი დირექტორი გვყავს. კმაყოფილი ვართ...

მინდა ქართველ ხალხს ვუთხრა: მოგესალმებით, გკოცნით ყველას! მენატრებით! — ამბობს **სურაია ნორგუზოვა,** რომელიც ბაქოს ხალიჩების ქარხანა „აზერ-ილმეში" მქსოველად მუშაობს.

**ვიდადი მურადოვი, „აზერ-ილმეს" გენერალური დირექტორი:** რუსულად არ ვილაპარაკებ. არ მიყვარს რუსული ენა. მე კავკასიელი ხალხი მიყვარს. აზერბაიჯანულ ენაზე ვილაპარაკებ და გადამითარგმნიან.

ჩემს ქარხანაში ქსოვენ ხალიჩებს. ჩვენი საქმე არ არის პოლიტიკა, ჩვენ გვაინტერესებს უძველესი რეწვის კულტურა და მისი გავრცელება. 40 წელიწადია ხალიჩების საქმეს ვსწავლობ და კავკასიაში, შეიძლება ითქვას, მე ვარ ყველაზე საუკეთესო ხალიჩების ექსპერტი.

დღეს საქართველოში უხარისხო, ირანიდან ჩამოტანილი ხალიჩები იყიდება, არადა, თავის დროზე, ყველაზე კარგი

ვიდადი მურადოვი

ბორჩალოური, ქვემო ქართლში ნაქსოვი ხალიჩები იყო.

იქ რამდენიმე აზერბაიჯანული ტომი ცხოვრობს, რომლებიც დამახასიათებელი ორნამენტებით ქსოვენ ხალიჩებს.

უახლოეს ხანებში ვაპირებთ თბილისში გავხსნათ ხალიჩების რეწვის ცენტრი".

ბატონი **ვიდადი მურადოვი** აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ყველანაირად ეხმარება წარმოების გაფართოებას, შედარებით მცირე გადასახადები ხელს უწყობს ხალიჩების წარმოება აზერბაიჯანის რეგიონებსა და თვით სოფლებშიც კი გაშალოს.

საინტერესოა, რომ სოროსის და მსგავსი დასავლური ფონდები აზერბაიჯანში ფეხს ვერ იკიდებენ.

ცენტრალურ გამზირზე შეხვდებით უზარმაზარ ფეშენებელურ შენობებს წარწერით —

სევილ იუსუფოვა

**AZER BANK**. უცხოური ბანკების წილი აქ უმნიშვნელოა და შეიძლება ითქვას, არც არის წარმოდგენილი.

აზერბაიჯანს სურს ფეხი აუწყოს თანამედროვე ყოფას და ამას მშვენივრად ახერხებს.

როგორც საქართველოში, აზერბაიჯანშიც უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციაა. მაგალითად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის „ჟურნალისტ ქალთა ასოციაციის" ხელმძღვანელი, ჟურნალისტი **სევილ იუსოფოვაა,** რომელიც ასევე აზერბაიჯანელ ქალთა გენდერული თანასწორობის საკითხებზე მუშაობს.

**სევილ იუსუფოვა**: „სახელმწიფო სტრუქტურებსა და სხვა ანგარიშგასაწევ სამსახურებში იურისტებად, პოლიტიკოსებად, პოლიტოლოგებად ქალბატონები არიან წარმოდგენილნი, მაგრამ ეს არც ისე ბევრია. მეტი აზერბაიჯანელი ქალი უნდა იღებდეს მონაწილეობას ქვეყნის მშენებლობაში. უფრო მეტი ქალი გვსურს იყოს აზერბაიჯანის პარლამენტში — მილლი-მეჯლისში.

ჩვენი საქმიანობისთვის გრანტებს უცხოეთიდან არ ვიღებთ, აზერბაიჯანის ხელისუფლება გვეხმარება. არასამთავრობო ორგანიზაციებს ადრე ჰქონდათ უცხოური დაფინანსება, ახლა უკვე ყველას სახელმწიფო უზრუნველყოფს და უცხოური დაფინანსება თითქმის აღარ არის.

ჟურნალისტიკის განვითარებასაც ხელისუფლება უწყობს ხელს. 2013 წელს 200-მდე ჟურნალისტს, რომლებსაც მუშაობის 10 წელზე მეტი გამოცდილება და სტაჟი ჰქონდათ, ბინები უფასოდ დაურიგეს ქალაქის პრესტიჟულ უბნებში. ეს იყო ძალიან დიდი საჩუქარი ილჰამ ალიევისგან — გარემონტებული ბინები სახელმწიფო დაცვით და ა. შ. ჩვენი პრეზიდენტი აფასებს ჩვენს შრომას.

მიგვაჩნია, რომ საკუთარი ქვეყნის პრობლემები თვითონ უნდა გადავწყვიტოთ. რუსეთისგან დახმარება არ გვჭირდება და არც არავითარ ალიანსში არ გვსურს ვიყოთ რუსეთის ფედერაციასთან. აზერბაიჯანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა, მას დამოუკიდებელი პოლიტიკა აქვს!"

* * *

ოთხი დღე არც ისე ბევრია, თუმცა არც ისე ცოტა, რომ შეაფასო და გადააფასო რაღაცრაღაცები.

სტუდენტები

კონფერენცია სრულდება და ჩვენც თბილისში დაბრუნებას ვაპირებთ.

გამოსამშვიდობებელი საღამო ძალიან გულითადია და მეგობრული. აზერბაიჯანული ქაბაბი, ბაქლავა და ხალხური სიმღერები... ქართველების უფრო მეტად გასამხიარულებლად „ჩიტო-გვრიტოს" მღერიან.

ჩვენც ვეპატიჟებით — ჩამოდით საქართველოში, — ვეუბნებით. ქალებს ყვავილებს გვჩუქნიან, გვეხუმრებიან და გვეუბნებიან: ოღონდ ცხარე და მწარე საჭმელები არ იყოს!..

**ასკერ აჰმედი,** რომელსაც ბათუმში ლორიები ჰყავს მეგობრები, ამ ზაფხულს ჩამოსვლას გვპირდება და საუკეთესო სურვილებით გვაცილებს.

* * *

საქართველოს ვუახლოვდებით.

აი, ისევ „წითელი ხიდი".

ვუღიმი ჩვენს მებაჟეებს. რომლებიც, სამწუხაროდ, ძალიან დაძაბული, გაყინული მზერით გვთხოვენ პირადობის მოწმობებს.

მიკვირს, რომ არ იღიმებიან აზერბაიჯანელი მებაჟეების მსგავსად...

რას იზამ, ალბათ, საქმე მოითხოვს...

საბაჟოზე მკაცრი კონტროლია. ჩანთას შესამოწმებლად ვაწვდი.

— აქეთ მობრძანდით, თქვენ, მგონი, კონტრაბანდა გადაგაქვთ.

დაღლილი ძლივს მივლასლასებ შემოწმების ოთახში. იკრიბება, დაახლოებით, ხუთი მებაჟე, ალაგებენ ჩემს ნივთებს და წიგნის ფურცლებსაც კი საგულდაგულოდ შლიან მკაცრი და აგდებული ტონით.

პროცედურა ნახევარ საათს გრძელდება.

მებაჟე ნინო განსაკუთრებით აგრესიულია და თუმცა მშვენივრად ვიცი, ჩანთაში არავითარი კონტრაბანდა არ მიდევს, საკუთარ თავში ეჭვი მეპარება.

ჩემო ქვეყანავ, შენს საზიანოდ მე სხვა ქვეყნიდან კენჭსაც არ წამოვიღებ! — ვფიქრობ და გული მწყდება, რომ საქართველოს საზღვარზე მებაჟე ადამიანადაც არ მთვლის...

— ჩაალაგე! — მკაცრად მეუბნებიან და დასძენენ: წაბრძანდით.

საშინლად დათრგუნული ვალაგებ და საქართველოს მიწაზე ვდგამ ფეხს...

ვიმედოვნებ, რომ კიდევ ვესტუმრები ჩვენს მეზობლებს...

მადლობა აზერბაიჯანელ მასპინძლებს, „ცეცხლოვანი ქვეყნის" შვილებს...

სან სევირამ, აზერბაიჯან!

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18
**ბაქო — თბილისი**
**5-7 მაისი, 2015 წ.**

# „წყალში ვდგავარ, ცეცხლი მიკიდია...“

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერით“ არ დავინტერესდებოდი, რომ არა გახშირებული წყლის მოწოდების შეწყვეტა, თბილისის სხვადასხვა ქუჩებისთვის, ცხელ ხაზზე დაკავშირებასაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. თუ დაუკავშირდი ისეთ პასუხს მიიღებთ, გაოცებული და იმედგაცრუებული დარჩებით. ორი ქუჩის იქით, დაზიანებაა და წყლის მიწოდება ამიტომ შეწყდაო, შეიძლება 5 ქუჩის დაცილებით იყოს დაზიანება და წყლის მიწოდების შეწყვეტის მიზეზი გახდეს. არადა, აღნიშნულ კომპანიას ამბიცია აქვს, რომ საქართველოს წყალმომარაგების ბაზარზე წამყვანი კომპანიაა და თბილისისა და მისი შემოგარენის მოსახლეობას, სახელმწიფო ორგანიზაციებს, სამრეწველო და კომერციულ ობიექტებს მაღალი ხარისხის მომსახურეობას უწევს. ამბიცია, რომ აქვთ რა უჭირს, მაგრამ რა ხდება სინამდვილეში? ჯერ კიდევ 2012 წელს „ჯორჯიან უოთერ ფაუერის“ მუშაობით უკმაყოფილო ადამიანებს ფეისბუქ გვერდი შეუქმნიათ. აღნიშნული კომპანიის წინააღმდეგ ფრთიანი ფრაზები კი უხვად გაუმეტებიათ... ფეისბუქ გვერდის შექმნით უკმაყოფილო „ჯორჯიან უოთერ ფაუერის“ კომპანიამ „ნეტგაზეთს“ განუცხადა, რომ ყალბი (!) გვერდი მათ უფლებებს ლახავს, თუმცა ამაზე რეაგირების ბერკეტი არ გააჩნიათ საინტერესოა, მოსახლეობის უფლებების შელახვაზე ან ბერკეტებზე ფიქრობს ვინმე ამ ქვეყანაში? მოკლედ, სოციალურ ქსელში „ჯორჯიან უოთერ ფაუერის-მაქებარი ვერ მოვძებნე, მაგინებელი კი უამრავი „წყალი გამოუშვით ფარჩაკებო“ – „აბაშიძეზე ტალახი გამოუშვით დასალევად?“ - „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ - თაღლითი კომპანია!

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის” მიერ მოსახლეობისთვის სასმელი წყლის გაუფრთხილებლად გათიშვებს სისტემური ხასიათი აქვს. კომპანიის მიერ ფეისბუკზე გამოქვეყნებული განცხადებები იმის თაობაზე თუ დროის რა მონაკვეთში შეიძლება შეუწყდეს ან აღუდგეს თბილისის ამა თუ იმ უბანს წყალმომარაგება, უმეტესწილად არ შეესაბამება სიმართლეს.კომპანიის ამ განცხადების მიუხედავად დიდი დიღმის დასახლებას, 8 აპრილს წყალმომარაგება ნაცვლად დილის 10 საათისა, დილის 6 საათზე შეუწყდა და ამ წუთებამდე, დილის 11 საათი) წყალმომარაგება არ აღმდგარა. და ეს, არ არის ერთეული შემთხვევა. კომპანიის ცხელი ხაზი კი მომხმარებლისთვის სისტემატურად მიუწვდომელია. „ცხელმა ხაზმა დროებით შეწყვიტა მუშაობა, რადგან აღარა აქვთ თქვენი გინების მოსმენის თავი“ასეთი ფრთიანი სიტყვები უხვად მოიძებნება კომპანიის მისამართით. მაშ ასე კოჰაბიტაციის კიდევ ერთი ფაქტი. რასაკვირველია დავინტერესდი ვის ეკუთვნოდა აღნიშნული კომპანია,”საერთაშორისო გამჭირვალობა– საქართველოს“ფრიად საინტერესო კვლევებს წავაწყდი.კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ ოფშორულ სუბიექტს „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“-ს ეკუთვნის (ყოფილი „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედი“). თავად „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“-ს ორი აქციონერი ჰყავს და ორივე, როგორც ირკვევა, ფიქტიური ოფშორული კომპანიაა. საჯარო რეესტრის დოკუმენტებში ბენეფიციარი მესაკუთრეები არ ფიქსირდება,-. კავშირები რუსულ კომპანიებთან -საქართველოს საჯარო რეესტრის უახლეს ჩანაწერებში „ჯორჯიან გლობალ იუთილითიზ“-ის დირექტორად სამი პირი ფიგურირებს: გოჩა მეგრელიძე, მიხაილ ტუზოვი და ვლადიმირ კოზინი. ამ უკანასკნელის ბიზნეს ინტერესების შესახებ ინფორმაცია საჯარო წყაროებში არ მოიპოვება, ხოლო დანარჩენი ორი პირი (გოჩა მეგრელიძე და მიხაილ ტუზოვი) სხვადასხვა დროს „ინტერ რაოს“ შვილობილ კომპანიებში მუშაობდა. „ინტერ რაო“ რუსული ენერგო კომპანიაა, რომელიც საქართველოში „თელასსა“ და კიდევ სამ ელექტროსადგურს (მტკვარი, ხრამი 1 და ხრამი 2) ფლობს. პრივატიზაციისას „ინტერ რაოს“ წარმოშობით უკრაინელი ბიზნესმენი ანდრეი რაპაპორტი მართავდა. ამჟამად რაპაპორტი ანატოლი ჩუბაისის მმართველობაში მყოფი რუსული სახელმწიფო კომპანია რუსნანო-ს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა. მას გჭპ-თან კავშირი არასოდეს დაუდასტურებია, მიხაილ ტუზოვი ანდრეი რაპაპორტის დიდი ხნის პარტნიორია. რუსეთის საიალქნო კლუბის საიტზე მის შესახებ განთავსებულ ინფორმაციაში მიხეილ ტუზოვი Î ÀÎ ÐÀÎ ÅÝÑ ÐÎ ññè è-ს (რომელსაც რეფორმის შედეგად „ინტერ რაო” გამოეყო) ყოფილ თანამშრომლად სახელდება. ტუზოვი და რაპაპორტი რუსეთის მიერ ქვეყნის ელექტრორესურსების მართვის მიზნით შექმნილი სახელმწიფო კომპანიის ფ დირექტორთა საბჭოს წევრებიც იყვნენ. გოჩა მეგრელიძე 2000-2003 წლებში სახელმწიფო კანცელარიაში ფისკალური პოლიტიკისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განყოფილების უფროსად მუშაობდა, ხოლო 2004 წელს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე იყო. „ინტერ რაოს“ 2007 წლის ფინანსური აქტივების ანგარიშში გოჩა მეგრელიძე „ინტერ რაოს“ თურქეთში მოქმედი ერთ-ერთი შვილობილი კომპანიის გამგეობის წევრად სახელდება. საოცარია როგორი კაცთმოყვარე და ჰუმანური ხელისუფლება გვყავს აბა მიშას დროს გამილიონერებულ ელიტარულ კრიმინალებს ხომ არ ჩააჩოჩებდნენ?“ ჩვენები არიანო და მიუშვეს საბალახოდ თან რა „ჩახუტებულები ყოლიათ რუსებს. ეკონომიკის ყოფილი მინისტრი და გოჩა მეგრელიძის ყოფილი უფროსი გიორგი გაჩეჩილაძე 2014 წლის აპრილში „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ დირექტორად დაინიშნა. მეგრელიძე და გაჩეჩილაძე ერთობლივად ფლობენ შპს „შარდენი 11“-ს. GWP-ის საკუთრების თაობაზე არსებული უფრო ადრეული კვლევები გვაფიქრებინებს, რომ გიორგი გაჩეჩილაძე და მისი ბიზნეს პარტნიორი ლევან კაჭარავა ასევე იყვნენ ჩართულნი პრივატიზაციაში: მწვანე ალტერნატივის 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მთავრობამ შვეიცარიაში დარეგისტრირებული სუბიექტი „მულტიპლექს სოლუშენსი“ პრივატიზაციის პროცესში გამარჯვებულად გამოაცხადა. კომპანიამ წყლის სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაციაში 350 მილიონი დოლარის ინვესტიციის განახორციელების ვალდებულება აიღო. ორგანიზაცია აღნიშნავდა, რომ „მულტიპლექს სოლუშენსს“ საქართველოში დარეგისტრირებული შვილობილი კომპანია ჰყავდა, რომელსაც სხვადასხვა დროს გიორგი გაჩეჩილაძე და ლევან კაჭარავა ხელმძღვანელობდნენ. 2009 წლის ივლისიდან დეკემბრამდე კომპანიის დირექტორის მოვალეობას სოფლის მეურნეობის ყოფილი მინისტრი შალვა ფიფია ასრულებდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებგვერდზე განთავსებულ მის ბიოგრაფიაში კი მითითებულია, რომ 2008-2009 წლებში ფიფია Multiplex Holding Group-ის ფინანსური დირექტორი იყო. საჯარო რეესტრის მონაცემთა ბაზაში არსებული პრივატიზაციის ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ GWP შვეიცარულმა „მულტიპლექს სოლუშენსმა“ კი არ იყიდა, არამედ ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულმა „მულტიპლექს ენერჯი ლიმიტედმა“. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „მულტიპლექს სოლუშენსი“ მთავრობამ ყურადღების გადატანის მიზნით გამოიყენა, რომ შეუმჩნეველი გაეხადა პრივატიზაციის პროცესში ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებული სუბიექტის მონაწილეობა. მედია საშუალებების ცნობით, „ტილიკას” მეტსახელით ცნობილი ლევან კაჭარავა „სილქროუდ ჯგუფის“ უკან მდგომი ძირითადი აქციონერის გიორგი რამიშვილის მეგობარი იყო. კაჭარავა და რამიშვილი მართლაც არიან ბიზნეს პარტნიორები რამდენიმე კომპანიაში, კერძოდ, „ოლ სიზონს რიზორტსში“ და შპს კ.ლ.გ-ში. იმავდროულად ისინი სს „სასტუმრო ივერიის” (რედისონი) გამგეობის წევრებიც არიან. „მულტიპლექს სოლუშენსის“ მისამართი ჟენევაში Place de la Fusterie 9 –11 (Place de la Fusterie 9 – 11) იყო (შვეიცარიის ბიზნეს რეესტრში თავდაპირველად კომპანიის მისამართად ეს მდებარეობა იყო მითითებული, თუმცა ამჟამად კომპანია აღარ იძებნება). „სილქ როუდ ჯგუფის“ საიტიდან ვგებულობთ, რომ ამ კომპანიასაც აქვს ოფისი შვეიცარიაში, რომელიც Silk road Group (Suisse) SA-ის სახელითაა რეგისტრირებული. ეს ოფისი იმავე მისამართზე მდებარეობს, რომელზეც ადრე „მულტიპლექს სოლუშენსი“ იყო რეგისტრირებული, ანუ: ჟენევა, პლას დე ლა ფუსტერი 9 –11. მეტიც, „მულტიპლექს სოლუშენსაც“ და Silk road Group (Suisse) SA-საც ერთი და იგივე დირექტორი იორგ (Jrg) იონერი ჰყავდათ. მიუხედავად იმისა, რომ თავისთავად აღნიშნული კომპანიის მფლობელების ოფშორში რეგისტრაცია არ წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის დარღვევას, ვფიქრობთ, რომ საზოგადოებისთვის საინტერესო იქნებოდა ცოდნოდა ამგვარი სტრატეგიული ობიექტების მფლობელთა ვინაობა.საინტერესოა 350მილიონი დოლარის ინვენსტიცია, რომელიც წყლის სადისტრიბუციო ქსელის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა ვის ან რას მოხმარდა? - „პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, აუცილებელია დამატებით ახალი მილსადენების დამონტაჟება, რადგანაც სისტემის გაუმართაობა სწორედ ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს დამონტაჟებული მილების მწყობრიდან გამოსვლით არის განპირობებეული“, – განაცხადა „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ გენერალურმა დირექტორმა ანუ რა გამოდის, 350 მილიონი დოლარის ინვენსტიციაში მილებიც არ გამოუცვლიათ?

**ქეთევან ზარნაძე**

იხილეთ „საერთო გაზეთი“
ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# სოდომი

არკადი მამონტოვის ფილმი „სოდომი“ ცოტა ხნის წინ რუსული ტელეეთერით გავიდა და დღეისათვის უკვე მილიონობით ადამიანს აქვს ნანახი (სხვადასხვა ენებზე თარგმნილი ვერსიებიც არის ინტერნეტში).

ვნახოთ, რა ხდება ფილმში, რაზეა საუბარი, ამ შემთხვევაში რა სახის „მავნებლობის“ „პროპაგანდას“ ეწევიან რუსული ტელევიზიები?

ფილმი მკვდარი ზღვის ჩვენებით იწყება და თან სდევს ტექსტი მითიური ბიბლიური ქალაქების, სოდომისა და გომორის შესახებ, სადაც გარყვნილება – ჰომოსექსუალიზმი, ლესბოსელობა და პედოფილია, ფაქტობრივად, ნორმად იყო ქცეული... მას შემდეგ 4 000 წელი გავიდა

**ამონარიდები:**

„მას შემდეგ 4 000 წელი გავიდა, მაგრამ სისხლმოწყურებული დემონი ახლაც ნთქავს ახალგაზრდებსა და ბავშვებს, ხდება ბიწიერების კულტივირება და იღებს ახალ სახელს – ლგბტ...

**სკოტ ლაველი,** ამერიკელი იურისტი, ჰომოსექსუალებისთვის №1 მტერი აშშ-ში, ხსნის როგორ არის განაწილებული ჰომოსექსუალიზმის განვითარება-ხელშეწყობის ეტაპები: – „ეს არის ხუთი ეტაპი. ყველაფერი იწყება ტოლერანტობიდან. როგორც კი გეები საზოგადოებისგან ტოლერანტობის უმაღლეს დამოკიდებულებას მიაღწევენ, იწყება მეორე ეტაპი – თანასწორობა; მას მოსდევს მესამე ეტაპი –აღიარება; შემდეგ – ჩართვა-მონაწილეობა „გეი-კულტურაში“ და ბოლოს, სასჯელი, ანუ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც არ იზიარებს გეი-შეხედულებებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან რუსეთი იმყოფება ყველაზე დაბალ საფეხურზე, ანუ რუსული საზოგადოებისგან ჯერ მხოლოდ ტოლერანტობას ითხოვენ. ამიტომ არის, რომ რუსეთში ჰომოსექსუალიზმის პრობლემას ჯერ ვერ ხედავენ, მაგრამ, რეალურად, პრობლემები ახლა იწყება. ეს ჰგავს მარცვალს, რომელსაც მიწაში აგდებ გასაღივებლად – ეს არის ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა, რომელსაც სწორება აქვს ე.წ სექსუალურ ორიენტაციაზე. აშშ-ში გეი-საზოგადოების კრიტიკა უკვე დანაშაულია...

საშუალო სტატისტიკით, ამერიკელი ნეგატიურად არის განწყობილი ჰომოსექსუალიზმის მიმართ, მაგრამ ამის ხმამაღლა თქმის ეშინია, რადგან იმდენად დიდია ჰომოსექსუალების რაოდენობა მთავრობაში, რომ ადვილად შეუძლიათ რამე დაუშავონ. მამერიკელებმა იციან, რომ თუ ხმამაღლა იტყვიან იმას, რასაც ფიქრობენ ჰომოსექსუალიზმის შესახებ, მას მოძებნიან და მკაცრად დასჯიან.

ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციის მთავარი ოფისი, **HUMAN RIGHTC CAMPAIGN –** ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ჰომოსექსუალიზმის ყველაზე დიდი და ამასთანავე, მრისხანე მხარდამჭერია. მთელ მსოფლიოში ირღვევა ადამიანთა უფლებები, ამცირებენ, დევნიან, კლავენ, მაგრამ აღნიშნული ორგანიზაცია, ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს დაეხმარონ შელახული უფლებების აღდგენაში, მხოლოდ იმისთვის იღვწიან, რომ „ჰომოსექსუალიზმის პროგრამამ“ განვითარება ჰპოვოს მთელ მსოფლიოში...“

ლონდონში მდებარეობს ტავისტოკსკის „ადამიანურ ორთიერთობათა ინსტიტუტი“. ამ ინსტიტუტის თანამშრომლების საქმიანობა მკაცრად გასაიდუმლოებულია, თუმცა მაინც გამოიძებნა ადამიანი, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაც. იას ფლობს, – დანიელ იესტულინი, ავტორი წიგნისა „ტავისტოკსკის ინსტიტუტი“

**დანიელ იესტულინი**: – „თავდაპირველად, ეს იყო კლინიკა, მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ კი გადაკეთდა ინსტიტუტად. მემორანდუმი ხელმოწერილია როკფელერების ოჯახსა და გენერალ ჯონ როლინგს შორის. ხელშეკრულების მიხედვით, თანამედროვე საზოგადოება უნდა შეიცვალოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყველაფერი, რაც და როგორც წარმოგვიდგენია საზოგადოებასთან დაკავშირებით, უნდა შეიცვალოს. აქ იქნა გამოგონილი და მოედო ევროპას ახალი კულტუროლოგიური აქცენტები, ისეთები, როგორიცაა: თავისუფალი სიყვარული, სუინგერები, სამოქალაქო ქორწინება და ა.შ

ცრუ-სთან ერთად ინსტიტუტში შემუშავებული იქნა პროგრამა ადამიანთა ცნობიერების მანიპულირებისა. პროექტები, რომელთა რეალიზება ხდება ახლა, მაგალითად, პროგრამა – ჰომოსექსუალიზმი, ჩაფიქრებულია არა 5-10 წლის წინ, არამედ ჯერ კიდევ მე-2 მსოფლიო ომამდე.

თავდაპირველად უმრავლესობა არიან ქალები და კაცები, შემდეგ იქნებიან ჰომოსექსუალები, ტრანსსექსუალები, შემდეგ – ტრანსადამიანები და შემდეგ უკვე პოსტადამიანები... იქნებიან ადამიანი-რობოტები, როგორც ტერმინატორები, კიბორგები. იქნებიან არა 100%-იანი ადამიანები, არამედ სინთეტიკური ბიოლოგიის შედეგები, რადგან დღეს უკვე შესაძლებელია ადამიანის შექმნა ლაბორატორიაში ისე, რომ აღარ არის აუცილებელი ქალისა და მამაკაცის ბუნებრივი შერწყმა. საჭიროა არსების შექმნა, რაც დადის იქამდე, რომ არსებას ექნება არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის გენი, არამედ კიდევ სამი ადამიანის მდგავსი არსების, რომელსაც შეუძლია ადამიანის მოცემა. „მსოფლიო ელიტის“ მიზანია, რომ გენეტიკური მანიპულაციის შედეგად მოისპოს გენეტიკური მეხსიერება.“

**ჯეფრი სტაინბერგი,** ლოს-ანჟელესის კლინიკის (ინსტიტუტის) მთავარი ექიმი, რომელთაც პირველმა შესთავაზეს წყვილებს სუროგატული დედობა: – „ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ რა სქესის იყოს ბავშვი. ხედავთ ფაილებს, მათგან ცისფერი ფაილები ბიჭებისაა, ვარდისფერი – გოგოების, მწვანე – გენეტიკურად დეფექტიანების, დაუნის სინდრომის მქონეების... ეს

კი სპერმის კონტეინერებია. ეს გაყინული ემბრიონია – კონტეინერები გადავსებულია... გვაქვს გაყინული სპერმა და გაყინული კვერცხუჯრედები, როცა მათ ვაერთებთ, ვიღებთ ემბრიონს, ყველა მათგანი სხვადასხვაა და სხვადასხვა კატეგორიის. დიდი ამბავი თუ ბავშვებს არასოდეს ეყოლებათ დედა!“

დღეისათვის 2 მლნ ბავშვი იზრდება ერთსქესიანთა ოჯახებში და ეს მხოლოდ დასაწყისია – ცნება დედის ნაცვლად გაჩნდა შემცვლელი, ბიოკონტეინერი...

მსოფლიოს ყველა ქვეყნის ამერიკულ საელჩოში არის ინსტრუქცია, რომელიც იძლევა ინსტრუმენტებს, როგორ უნდა შეცვალო იმ ქვეყნის კულტურა; რა უნდა მოიმოქმედო, რომ შეცვალო ღირებულებების სისტემა; ასეა მთელ მსოფლიოში, რის უკანაც ძალიან დიდი ფულია, ჩვენი პლანეტის მილიარდერების ფული...“

პლანეტაზე ჰომოსექსუალიზმის გავრცელების იდეას აშშ უკვე აღარ მალავს...

**იური როშკა**, მოლდოვას ყოფილი ვიცე-პრემიერი, რომელმაც უკან არ დაიხია თავის ქვეყანაში ჰომოსექსუალურ ლობისთან და ამჟამად განკიცხულია დასავლეთელი ემისრების მიერ: – „როდესაც მზადდებოდა გეი-პარადის ჩატარება, მოვაწყვე კონფერენცია, სადაც მკვეთრად გამოვხატე ჩემი დამოკიდებულება და პროტესტი. არ გასულა ერთი საათი და აშშ-ის საელჩოდან დაირეკა. მეორე პირი რეკავდა, ქალბატონი დარია ფეინი. მან მითხრა, ახლავე მიდიო – ჩემი 25-წლიანი მოღვაწეობის მანძილზე პირველად იყო, რომ ასეთი რანგის დიპლომატი იმწამსვე ითხოვდა შეხვედრას. ჩვენი არასასიამოვნო საუბარი ოთხ საათს გაგრძელდა. ეს ქალბატონი ცდილობდა მოვეჭკვიანებინე იმით, რა არის „დასავლური ღირებულებები“, მაგრამ არ გამოუვიდა...

ევროკომისრები, რომლებიც ჩვენთან ჩამოდიოდნენ, ღიად გვეუბნებოდნენ, რომ ისინი მოგვცემდნენ ლიბერალურ სავიზო რეჟიმს, სანაცვლოდ კი ჩვენ უნდა მიგვეღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. კანონი ითვალისწინებს, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს შეუძლიათ იმუშაონ საბავშვო ბაღებში, სკოლებში, არმიაში, ეკლესიაში და ა.შ. ანუ გასაგებია, რომ „დასავლეთის ელიტა“ ქმნის და აღვივებს ძალიან ძლიერ, მძლავრ ძალას მსოფლიოში, რომლის მსხვერპლი თუ ნაწილი უკვე გახდა მოლდოვა ტრადიციული ღირებულებების დანგრევაში...“

2011 წელი. 6 დეკემბერი. ვაშინგტონი. თეთრი სახლი. პრესმდივნის ოფისი. სასწრაფოდ! გასავრცელებლად! მუშაობა ადამიანის – ლგბტ პირების – უფლებათა დაცვისთვის! ეს არის მსოფლიო დავალება!

თბილისი. 2013 წელი. გეი-პარადის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. აქ არ არის დოკუმენტები და ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც, მიხეილ სააკაშვილმა, ამერიკის მარიონეტმა, გამოიყენა 9 წლის განმავლობაში და სასტიკად დასაჯა საქართველოს მოსახლეობის 7,5 % მამაკაცი...

ფილმში ნაჩვენებია გლდანის ციხის კადრები, მის პარალელურად აბუ-გრეიბის ციხის კადრები, რომელსაც სდევს ტექსტი (კადრში, ციხის კამერების ფონზე მცირე განმარტებას იძლევა **ლევან გოგიჩაიშვილი**): – „სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეებზე, რათა გაეტეხათ მათი ნება, ძალადობდნენ მათზე. 330 000 ადამიანმა გაიარა ეს წამება და ყველაფერი ფიქსირდებოდა კამერებით. მიზანი იყო ერთი – ადამიანი ექციათ მოკანკალე პირუტყვად. პატიმრის წამება, გაუპატიურება – ეს მეთოდიკა აღებული იყო ამერიკული ციხიდან, აბუ-გრეიბიდან... ქართველისთვის ასეთი დაშვება (გაუპატიურებ-გ.ჩ) სიკვდილის ტოლფასია... იგივე ელოდება ყველას უკრაინაში... ამერიკული ხუნტის რეჟიმი იგივე იქნება უკრაინის იზოლატორებსა და ციხეებში. ახლა იქ ათასობით პატიმარია კიევიდან ოდესამდე და რა მოელით, მხოლოდ ღმერთმა იცის!..

უფლისგან დალოცვილი ქალისა და მამაკაცის კავშირი იძლევა შანსს რომ კაცობრიობა გადარჩეს!..“

საშინელი რეალობაა ის, რაც მამონტოვის დოკუმეტურ ფილმშია ნაჩვენები, მაგრამ ეს ფილმი, ალბათ, ყველამ უნდა ნახოს...

**გიორგი ჩხეიძე**

# ჩემი სოფელი ქალღმერთის სახელით

## (ლეგენდა და სინამდვილე)

რატომღაც ყველას ეგონა, რომ თემის სახელი ბია ხილის სახელწოდებისგან მოდიოდა. მაგრამ უკვირდათ, რომ კომში თუ ბია, როგორც მას მეგრულ-იმერული ტომები მოიხსენიებდნენ, აქ არც ხარობდა და არც მოიპოვებოდა და ამდენად, გაუგებარი იყო, ეს სახელი რატომ უნდა დარქმეოდა ამ ღვთის საუფლო სანახებს.

ძნელი იყო ადამისნებისთვის მათ მახსოვრობაში ათასწლეულების მიღმა დალექილი მოვლენების მოგონება. შორეულ წარსულში კი, ძალიან დიდი ხნის წინათ, აქ გამოიარა ქალღმერთმა ბიამ, რომელმაც ზევსის დავალებით კავკასიონის ქედზე მიაჯაჭვა პრომეთე, მიუჩინა მას მოდარაჯე რაზმები და მძიმე მოვალეობის შესრულებისგან უკან მობრუნებულმა, დაღლილმა დაისვენა ზუსტად იქ, სადაც ოდითგან სალოცავი – ოხვამე იყო აგებული. აქედან ხელისგულზე მოჩანდა ლამაზი და თვალუწვდენელი ეგრისი, ეგრების ქვეყანა, რომელსაც შემდეგ კოლხეთად მოიხსენიებდნენ ბერძნები. დასვენების ადგილს კი შემორჩა ქალღმერთის სახელი – ბია.

იდუმალებით მოცულმა წარსულმა დავიწყების საბურველი გადააფარა მომხდარს და ის დავიწყებას მიეცა, სახელი ბია კი საუკუნეებს შემორჩა ქვაში ამოკვეთილ ღვთის წყალობად. დაუძინებელი მტრები იშვიათად თუ ბედავდნენ ამ ვიწრო და გაუვალი ტყეებითა და ეკალ-ბარდებით დაფარული ადგილების გადალახვას, სადაც გაუტეხელი, ბედთან შეურიგებელი ადამიანები ცხოვრობდნენ.

საუკუნეების განმავლობაში ქალღმერთი ბია და მისი საქმე დავიწყებას მიეცა, მაგრამ ადგილს, სოფელს მისი სახელი შერჩა.

ესეც ლეგენდა, რასაც მოსდევს სინამდვილე.

ვინც ერთხელ ნახა, რა დაავიწყებს მას ზემო ბიის მთავარანგელოზის ეკლესიას – საყდარს, ახლა ოხვამეს – სალოცავს რომ უწოდებს მრევლი. კოლხეთსა და კავკასიონს შორის, ურთას მთის გაგრძელებაზე, ყველაზე მაღალ გორზე რომ წამომართულა ლამაზ გვირგვინად. სათუთად უვლიდა და მოკრძალებით მიაპყრობდა იმედიან მზერას მას მრევლი – ალექსანდრიები და აბშილავები, ხარებავები და გვალიები, ლიპარტიები და ქორაიები, ღადუები და ბელქანიები, იოსავები და შონიები.

ბარიდან გზა ხობისა და ნოჯიხის გაგრძელებაზე, ღარღულას ვიწროებიდან მთავარანგელოზის მთის – ოხვამეს ფერდის გვერდის ავლით, ზემო ბიიდან ბია საშონიოში ეშვებოდა, საიდანაც გადალახავდა ხობის წყალს და ხიბულას გავლით ზემო მთის სამეგრელოში – ლაკადაში გადადიოდა.

ზემო ბია და ბია საშონიო იყო გზის ჩამკეტი. ჰოდა, აქაურები უფრო თავისუფლები, უფრო გაბედულები და დაუმორჩილებლები გახლდნენ. ბედი და მდგომარეობა მათ დიდ მოვალეობას – მომხვდურთათვის გზის ჩაკეტვას ავალებდა. ბოლოს ეს მოვალეობა ომერ ფაშას შემოჭრის დროს აღასრულეს, როდესაც ყოველნაირად შეუშალეს ხელი საფაფიოს გოლასთან დაბანაკებულ თურქის ჯარის ზემო სამეგრელოში შემოჭრას. რასაკვირველია, აქ სხვა გარემოებებმაც თავისი როლი შეასრულა, მაგრამ ადგილობრივი ხალხის დაუმორჩილებლობა და მზადყოფნა, შებმოდნენ შემოსეულ დუშმანს, გადამწყვეტი ფაქტორი შეიქმნა, რომ ხელი აეღო მას მტრული გარემოცვის ლაკადაში შემოსევისგან. ზემო ბია და ბია საშონიო იყო მომხვდურისაგან ერთ-ერთი გზის ჩამკეტი.

ეკლესიის და ქვეყნის დამცველები ცხოვრობდნენ აქ ოდითგან.

მოძალებული იყო მათში რწმენა და ძალა, თავგანწირვა და გამძლეობა თანამოძმეთა გადარჩენისათვის.

იცოდა ეს დადიანმა, როდესაც 1492 წელს აქედან შვიდი ოჯახი, მათ შორის, შონიები ჩაიყვანა და დაასახლა ბიჭვინთაში ეკლესიის დასაცავად. მათვე ევალებოდათ წელიწადში სამჯერ სანთლის დანთება. უბრალონი კი არ იყვნენ, ჯანიც ჰქონდათ და რწმენაც, შეეძლოთ დაეცვათ ეკლესია, დაენთოთ სანთელი და აღევლინათ ლოცვა ღმერთისადმი.

სამეგრელოს სამთავროს გაუქმებისა და რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ სოფელი ზუგდიდის მაზრის შემადგენლობაში აღმოჩნდა.

1871 წლამდე ბიელების უმრავლესობა, განსაკუთრებით კი ზემო ბიელები და მით უმეტეს, ბია საშონიოს მკვიდრნი, ცხოვრობდნენ საეკლესიო მიწებზე და იყვნენ საეკლესიო გლეხები. მათთვის უცხო იყო მებატონისადმი ყმობა და მორჩილება. გამომდინარე აქედან კი ღირსების შემლახავი წესებით ცხოვრება.

1871 წელს საეკლესიო მიწები გადაეცა ხაზინას და, სათანადოდ, ეკლესიის გლეხები გახდნენ სახელმწიფო გლეხები. მაშინდელი მონაცემებით, საქართველოში ხაზინას გადაეცა 120 მლნ. მანეთის ქონება, მაშინ, როდესაც ეკლესიების რჩენა ჯდებოდა 2 მლნ მანეთი. ამაზე აშკარა ყაჩაღობა იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიოში. ეს რუსული იმპერიული მმართველობის „შედევრად“ რჩება მსოფლიო ისტორიაში.

1873 წლის მონაცემებით, გლეხები გარკვეული მიწის ნაკვეთებს ფლობდნენ ოჯარით, არცთუ ისე მცირე იყო მათი კუთვნილი მიწის ფართი.

1873 წელს იოსე შონია და მისი შვილები ფლობდნენ 76 ქცევა მიწას. საკმაო მიწის მფლობელები იყვნენ იოსავა ბეკოია, რომელიც 45 ქცევა დაბლარ ვენახს და 24 სახნავს ფლობდა, ასევე იოსავა დათიკია და შევარდენი. საკმაოდ დიდი მიწის მფლობელები იყვნენ ბიგვავები, სიკოია, თემურყვა, ჭითაშვილები – უტუ და დავითი, შონიები – გიგი, პეპუ, ლაზარიკა, სიკო და ზურაბ კვაშილავები კი 460 ქცევა მიწას ფლობდნენ.

მაგრამ არანაკლებ საინტერესოა ის, რომ საეკლესიო (სახელმწიფო) გლეხებზე მეტ მიწებს ფლობდნენ საბატონო გლეხები. თავად ჩიჩუას გლეხი ბახვა ღადუა 450 სახნავს და562 ქცევა მაღლარ-ვენახს ფლობდა. ასევე დიდი მიწის ფართობების მფლობელები იყვნენ თავად ჩიჩუას გლეხები: ჭითაშვილი ბესიკი, აზნაურ ბეჩუნა სალაყაიას გლეხი – ბეჟან ხურცია, აზნაურ როსტომ ლოლუას გლეხზე, ბაბუკოცი ალექსანდრიაზე რიცხული იყო 800 ქცევა სახნავი მიწა. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ ცხოვრება საამური ჰქონდათ ბიელებს, ბევრი იყო მცირემიწიანიც და ვისაც მიწა ჰქონდა, მას დასამუშავებლად ჯოჯოხეთური შრომა უწევდა.

მეომარი და მორწმუნენი ყოფილან ოდითგან ბიელები. მტერთან შეურიგებლობა და ღვთის რწმენა ყოფილა მათი ცხოვრების წესი, რასაც თავისა და ოჯახის რჩენისთვის ტიტანური შრომა ახლდა.

საუკუნეებით ყალიბდებოდა ბიელების საბრძოლო ტრადიცია. მე-19 საუკუნეში დადიანის ლაშქარში ოსმალების წინააღმდეგ ბევრმა ბიელმა გამოიჩინა თავი. განსაკუთრებული ვაჟკაცობა გამოიჩინეს პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე ბიელებმა, ბიიდან გაწვეული იყო ათზე მეტი ვაჟკაცი. წმინდა გიორგის ჯვრით იყვნენ დაჯილდოებული კალისტრატე ღადუა და სამსონ ბიგვავა, ხოლო გრიგოლ ბიგვავა წმინდა გიორგის ორი ჯვრის კავალერი გახდა.

სოფლის მკვიდრთა საბრძოლო სული განსაკუთღებით გამოვლინდა მეორე მსოფლიო ომში, რომელიც მაშინ, როგორც ქვეყნისთვის, ასევე ბიელებისთვის სამამულო ომი იყო. ეს მერე გამოჩნდა, თურმე სხვა თავისი საქმისთვის რომ გვაბრძოლებდა. როგორც მონღოლების, სპარსელების, თურქების საქმეებს ეწირებოდნენ მაშინდელი ქართველები, ისე შეეწირნენ კომუნისტური რუსეთის მიზნებს. ქუდზე კაცი იყო გამოსული ამ პატარა თემიდან და იბრძოლეს კიდევაც. გაწვეული 156 კაციდან 88 შეეწირა ამ ომს, კანონისა და ქვეყნის ერთგულნი:

ბრძოლის ველზე დაეცნენ ოთხი ჭითაშვილი, ხუთი ალექსანდრია, ექვსი ღადუა, რვა ბიგვავა, რვა თუთბერიძე, ცამეტი შონია, 21 იოსავა. ომში დაიღუპნენ იოსავების გვარიდან ძმები ბალიკო და ვალერიანე, პეტრე და კოკი, ევსევი და ჟორჟი, კალისტრატე და ვლადიმერი. შონიები – კაპიტონი და ოთარი, ძეკი და დიანოზი, ალექსანდრიები – კვებე და კოლია, სამი ძმა თუთბერიძე – კაპიტონი, იროდი და ესტატე, ბიგვავა – ჯოგო და იპოლიტე.

ბრძოლაში დაეცა დივიზიის შტაბის უფროსი, საქართველოს კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის მოადგილე ზინობი შონია. საინტერესოდ წარიმართა ლუსიონ შონიას ბედი – ის ომის პირველივე დღეებში ტყვედ ჩავარდა, შემდეგ გაიქცა და შეუერთდა იტალიელ პარტიზანებს, სადაც ის იტალიელების საყვარელი გმირი გახდა. ომიდან დაბრუნებული თავის ოჯახთან ერთად შუა აზიაში გადაასახლეს.

შინმოუსვლელთა სია ნათლად მეტყველებს საქართველოს ამ პატარა სოფლის ტრაგედიაზე.

აი, ისინიც:

***შინმოუსვლელ ბიელთა სია, დაზუსტებული 1989 წელს (რიგითობა დაცულია დალუპვის შესახებ მოსული შეტყობინებების დროის მიხედვით):***

**ბიგვავა სილოვან მესეილის ძე**
**იოსავა სარა გრიგორის ძე**
**იოსავა ვალიკო ზალიკას ძე**
**იოსავა ვალერიანე ზალიკას ძე**
**თუთბერიძე კოლია ეგნატეს ძე**
**თუთბერიძე ლუკიანე ონისიმეს ძე**
**თუთბერიძე პარმენი ონისიმეს ძე**
**ღადუა ლადი ჯაოს ძე**
**ბარაშვილი იროდი ჯონდის ძე**
**შონია ილიკო ბასას ძე**
**შონია კაპიტონი ალექსის ძე**
**შონია ოთარი ალექსის ძე**
**შონია ევგენი ფილუს ძე**
**შონია ძეკე გახუნიას ძე**
**შონია დიანოზი გახუს ძე**
**შონია არისტანო არტემის ძე**
**ჩუბინიძე ალიოშა გიორგის ძე**
**სალაყაია კალისტრატე ივანჯას ძე**
**ხარებავა თეუფანე იოსების ძე**
**შეროზია ვლადიმერი ბეგლარის ძე**
**ფარღალავა ლადი არჩილის ძე**
**გვალია ლევან მაქსიმეს ძე**
**ლიპარტია ვალერიანე არჩილის ძე**
**ქაჯაია კოლია სოლომონის ძე**
**ალექსანდრია ჯვებე ივლიონის ძე**
**ალექსანდრია ნოვე მარკოზის ძე**
**ლომსაძე ვასო ლავრენტის ძე**
**იოსავა ალიოშა იაკობის ძე**
**შონია დურუ კონდრატეს ძე**
**შონია მიზა ზაქარიას ძე**
**დოლბაძე სარა გვადის ძე**
**თოდუა ბიქტორი ტარასის ძე**
**ჭითაშვილი ამირანი ერმინეს ძე**
**ჭითაშვილი თეოდოტი ისიდორეს ძე**
**თუთბერიძე კაპიტონი ბესას ძე**
**თუთბერიძე პროკოპი კალისტრატეს ძე**
**თუთბერიძე ესტატე ბესარიონის ძე**
**თუთბერიძე იროდი ბესარიონის ძე**
**თუთბერიძე დიომიდე იონას ძე**
**ბიგვავა ჟორჟი გრიგორის ძე**
**ბიგვავა იროდი ილარიონის ძე**
**ბიგვავა აბრამი ნიკოლოზის ძე**
**ბიგვავა გრიშა ბესარიონის ძე**
**ბიგვავა ამირანი ბესარიონის ძე**
**იოსავა კაპიტონ ბერდეს ძე**
**რეკვავა ივანე იოსების ძე**
**იოსავა ვალოდია ვასილის ძე**
**იოსავა აკაკი გრიგორის ძე**
**იოსავა არტემი ბესარიონის ძე**
**იოსავა ლადი მიხას ძე**
**იოსავა პეტრე ვასილის ძე**
**იოსავა კიკა ვასილის ძე**
**ღადუა იონა ვლადიმერის ძე**
**იოსავა ვალერიანე ლავრენტის ძე**
**ბიგვავა ჯოგო გუდუს ძე**
**ბიგვავა იპოლიტე გუდუს ძე**
**შეროზია კოლია ივანეს ძე**
**ქაქუთია ბუტა ივანეს ძე**
**კვაშილავა ნოე პეტრეს ძე**
**ალანია გრიშა გრიგორის ძე**
**ჭითაშვილი არველოდი თეიმურაზის ძე**
**ღადუა ნოე აკაკის ძე**
**ჭითაშვილი ნიკოლოზო ნიკოლოზის ძე**
**შონია პართენი მიხეილის ძე**
**იოსავა ლევარსი სოგრატის ძე**
**იოსავა ექვსევი პაზულის ძე**
**იოსავა კალისტრატე ბესარიონის ძე**
**იოსავა ვლადიმერი ბესარიონის ძე**
**ალექსანდრია დათიკო ივანეს ძე**
**იოსავა კალისტრატე ბესარიონის ძე**
**იოსავა ვლადიმერი ბესარიონის ძე**
**ალექსანდრია დათიკო ივანეს ძე**
**იოსავა ჯონდი იაკობის ძე**
**ქორაია მირო მელიტონის ძე**
**ქორაია ილია ივანეს ძე**
**ღადუა არტემი პეტრეს ძე**
**პერტაია ვასო ბესას ძე**
**ალექსანდრია ალექსანდრე ანდრონიკეს ძე**
**ღადუა იპოლიტე სოლომონის ძე**
**ცხომარია შალვა ტარასის ძე**
**დავითულიანი პარმენი ოქრუას ძე**
**ტორჩინავა კონდრატე ივანეს ძე**
**იოსავა თეუფანე მეთოს ძე**
**ქაქუთია ვალიკო ბესარიონის ძე**
**იოსავა შიო ბესარიონის ძე**
**შონია ზინობი დუტუს ძე**
**ღადუა იროდი სიმონის ძე**
**შონია აპალონი მელიტონის ძე**

მათ თავისი ვალი მოიხადეს ბრძოლის ველზე მტერთან შეჯახებაში.

აფხაზეთი და სამაჩაბლო კი დავკარგეთ. საქართველოს მთავარსარდლებმა – ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი სააკაშვილმა ვერ შეკრა ერთ მუშტად მტერთან საომრად ქართველნი. დავმარცხდით, საბოლოოდ საქართველო გაიყიდა და ადამიანები თავის ქვეყანაში დევნილნი გახდნენ.

თავისი მეომრული ტრადიციებისთვის არც შემდეგ უღალატიათ ბიელებს – სად არ ჩადგნენ სამხედრო სამსახურში და იბრძოლეს – განსაკუთრებით ერაყში, ავღანეთში და თავი არ შეურცხვენიათ.

გამოდის, რომ მაგრები ვართ სხვის ომში.

მაგრამ ეს კიდევ საკითხავია.

ეს ისტორიაა.

ისტორია კი არ უნდა დაიკარგოს.

**გრიგოლ შონია**
599 97 46 44



# ნოამ ხომსკი:
# „სამყარო უფსკრულისკენ მიექანება“

**ნოამ ხომსკი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა მსოფლიო ინტელექტუალურ საზოგადოებაში. ფილოსოფოსსა და ლინგვისტს, 86 წლის ნოამ ხომსკის, ასაკი არ უშლის ხელს იყოს კვლავაც ანგარიშგასაწევი და ყველაზე შეურიგებელი ანარქისტი. ის კვლავაც აქტიურად ეწინააღმდეგება უსამართლობას დასავლურ სამყაროში.**

**გთავაზობთ ფრაგმენტებს ინტერვიუდან, რომელიც ნოამ ხომსკიმ „ევრონიუსს“ მისცა.**

**— 2015 წელი ძალიან მშფოთვარე აღმოჩნდა, მაგრამ თუ მთლიანობაში შევხედავთ, ოპტიმიზმს გრძნობთ თუ პესიმიზმს შექმნილ სიტუაციაში?**

— გლობალური თვალსაზრისით, უფსკრულისკენ მივდივართ და ღირსეული გადარჩენის პერსპექტივები ნაკლებია.

**— რა უფსკრულია ეს?**

— შეიძლება ითქვას, ორი სახის უფსკრულის წინაშე ვართ. პირველი, ეს არის ეკოლოგიური კატასტროფა, რომელიც გარდაუვალია. ძალიან ცოტა დრო დაგვრჩა, რომ ვეცადოთ და რაიმე გამოვასწოროთ. ჩვენ გაურკვეველი მიმართულებით მივდივართ.

მეორე საშიშროება არის ბირთვული ომი. თუ ყურადღებით დააკვირდებით ამ პრობლემას, დაინახავთ, რომ ჩვენ მხოლოდ სასწაულებრივად ვართ გადარჩენილნი ამ საშინელებისგან.

**— მოდით, ყურადღება მივაქციოთ გარემომცველ სამყაროს. ჩვენ ვთხოვეთ აუდიტორიას და სოციალური ქსელის მომხმარებლებს, თქვენთვის კითხვები დაესვათ. უამრავი კითხვა დაგროვდა. მაგალითად, ერთ-ერთი ასე ჟღერს: როცა თქვენ აკვირდებით გარემოს ფილოსოფოსის თვალით, როგორ ფიქრობთ, კლიმატი საგრძნობლად შეიცვალა?**

— ადამიანთა მოდგმა, შესაძლოა, 100 000 წლისა იყოს და ის ახლა გადის თავისი ისტორიის უნიკალურ პერიოდს. ეს მოდგმა დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მან უნდა იჩქაროს, მას უწევს გადაწყვეტილების მიღება ჩაატაროს თუ არა ექსპერიმენტი მაღალგანვითარებული ცხოვრება გააგრძელოს თუ გაანადგუროს. მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ბუნებრივ რესურსებს უნდა გავუფრთხილდეთ, რომ ჩვენს მომავლებს ღირსეული ცხოვრების პერსპექტივა ჰქონდეთ. მაგრამ ჩვენი საზოგადოების ინსტიტუციონალური სტრუქტურები ცდილობენ ბოლო წვეთამდე ამოწურონ მარაგი. კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, კაცობრიობის მომავალი კატასტროფულია და ჩვენ უფსკრულისკენ მივემართებით.

**— რაც შეეხება ბირთვულ ომს. დიდი ხანი არ არის, რაც მიაღწიეს შეთანხმებას ირანის პროგრამასთან დაკავშირებით. გაძლევთ თუ არა იმედის თუნდაც ნაპერწკალს ის, რომ დედამიწა შეიძლება პოტენციურად უსაფრთხო ადგილად იქცეს?**

— მე მომხრე ვარ ირანთან მოლაპარაკებების, თუმცა არსებითად მაინც შეცდომებს უშვებენ. არსებობს ორი სახელმწიფო, რომლებიც ანგარიშგასაწევია ახლო აღმოსავლეთში მუდმივი აგრესიის, ძალადობის, ტერორისტული აქტების და უკანონო მოქმედებების კუთხით. ორივე მათგანს ბირთვული იარაღის უზარმაზარი არსენალი აქვს. მაგრამ ამაზე არავინ საუბრობს.

**— რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?**

— აშშ-სა და ისრაელს. ესენი ორი მთავარი ბირთვული სახელმწიფოებია მსოფლიოში. ამიტომაცაა საზოგადოებრივ გამოკითხვებში, რომელსაც აშშ-ის სოციოლოგიური სამსახურები აწარმოებენ, გამოკითხულთა უმრავლესობა აშშ-ს მიიჩნევს მსოფლიოში ყველაზე საშიშ ძალად. არც ერთი სხვა სახელმწიფო არ შეედრება მას ამ კუთხით.

**— თქვენ პატივს არ სცემთ აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას. ის ცდილობს შეამციროს ბირთვული ომის საფრთხე. ეს არ გაძლევთ მის მიმართ სხვაგვარად ფიქრის საშუალებას?**

— სინამდვილეში ისე არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ. ბარაკ ობამამ მოაწერა ხელი ბირთვული იარაღის მოდერნიზაციის პროგრამას აშშ-ში და ტრილიონი დოლარიც გამოყო ამისთვის. ეს კი ნიშნავს, რომ აფართოებს ბირთვული სისტემების წარმოებას. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც თანდათან ცხადი ხდება ბოლო ჟამის დრო და საათი, რაზეც მეცნიერები წერდნენ ჟურნალ-გაზეთებში, სულ ახლახან, გასულ კვირას, სულ ორი წუთიღაა დარჩენილი შუაღამემდეო. შუაღამე, ეს არის დასასრული. ახლა საათი ღამის 3 საათს აჩვენებს, რაც უფრო მოკლე დროა დასასრულამდე. ბოლო 30 წლის განმავლობაში რეიგანის პერიოდზე უფრო მძიმე ვითარებაა. მაშინაც დიდი იყო ომის საშიშროება.

**— კიდევ ერთი შეკითხვა ამ თემაზე. კვლავ სოციალური ქსელებიდან. გჯერათ თუ არა, რომ აშშ-ი ოდესმე მოაწერს ხელს ისეთ ხელშეკრულებას, რომელიც ისრაელისთვის საზიანო იქნება?**

— აშშ-ი მუდმივად დგამს ნაბიჯებს, რომლებიც ისრაელისთვის არის საშიში. კერძოდ, ისრაელის პოლიტიკის მხარდაჭერა არის ამის მაგალითი. ბოლო 40 წელიწადია ყველაზე დიდ საფრთხეს ისრაელისთვის თვით მისი პოლიტიკა წარმოადგენს. თუ უკან დავბრუნდებით 40 წლით, დავუშვათ, 1970 წელში, დავინახავთ, რომ ისრაელი იყო ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი ქვეყანა მსოფლიოში. ბევრს მოსწონდა ის. ახლა კი ის ერთ-ერთ ყველაზე არასიმპათიურ ქვეყნად ითვლება მსოფლიოში. მისი ეშინიათ. 70-იანი წლების დასაწყისში ისრაელმა მიიღო გადაწყვეტილება. მათ არჩევანის საშუალება ჰქონდათ და მათ გადაწყვიტეს გაფართოებულიყო ქვეყანა, ვიდრე ჰქონოდათ სიმშვიდე. ყოველივე ამან დიდი საფრთხეების წინაშე დააყენა ისრაელი. მე ვწერდი მათზე, ამას სხვებიც აღნიშნავდნენ. როცა მიიჩნევ, რომ ქვეყნის გაფართოება უფრო მთავარია, ვიდრე მშვიდობა, ეს მოიტანს ქვეყნის შიგნით არეულობებს, წინააღმდეგობებს, აგრესიას, იზოლაციას და შესაძლოა, საბოლოო განადგურებასაც კი. ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერს აშშ. ე. ი. ის ხელს უწყობს ისრაელს დაღუპვაში.

**ყველაზე საშინელი ტერორისტული კამპანია მსოფლიოში ვაშინგტონიდან იმართება.** გლობალური მკვლელობების კამპანიაა გაშლილი. ასეთი მასშტაბის ტერორისტული კამპანია არასდროს ყოფილა მსოფლიოში.

**— რას გულისხმობთ გლობალურ მკვლელობებზე რომ საუბრობთ?**

— მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ი სისტემატურად, ღიად, არ არსებობს არავითარი საიდუმლო და ყველამ ვიცით ამის შესახებ, რომ მიმდინარეობს ადამიანთა მოსპობის რეგულარული კამპანია, რომელშიც ამერიკული ხელმძღვანელობა არის ეჭვმიტანილი. ეს კამპანია გადასხვაფერებული ტერორია. როცა ბომბავენ, მაგალითად, სოფელს იემენში და კლავენ ადამიანს, რომელსაც არაფერი დაუშავებია, როგორ გგონიათ, ისინი არ ზღავენ ამისთვის?

**— თქვენ აშშ-ს ტერორისტულ სახელმწიფოს უწოდებთ. როგორ შეაფასებთ ევროპას?**

— საინტერესო შეკითხვაა. რამდენიმე ხნის წინ კვლევა ჩატარდა ჩემი ფონდის „ღია საზოგადოების“ ინიციატივით, რომელმაც ცხადჰყო, რომ წამების ყველაზე მძიმე ფორმა არის პატიმართა საგანგებო წამება. ეს ნიშნავს, რომ დაპატიმრებულ ადამიანს უგზავნით თქვენს საყვარელ დიქტატორს — ასადს, მუბარაქს ან კადაფს, რომ მათ აწამონ და თქვენ მიიღოთ შედეგი. კვლევამ აჩვენა, რომ ამ საშინელებებში ახლო აღმოსავლეთის ყველა დიქტატორი იღებდა მონაწილეობას იმიტომ, რომ იქ გადაჰყავდათ ეჭვმიტანილები საწამებლად თვით ევროპიდანაც კი. ინგლისიდან, შვეციიდან, სხვა ქვეყნებიდან. ერთადერთი ქვეყანა არ მონაწილეობდა ამაში. ეს იყო ლათინური ამერიკა. მოულოდნელობაა, არა? მაგრამ ყოველივე ეს მოხდა იმის გამო, რომ ლათინური ამერიკა მნიშვნელოვნად გამოვიდა აშშ-ის გავლენიდან. როცა ის იყო აშშ-ის კონტროლქვეშ, წამების მსოფლიო ცენტრად იყო აღიარებული. ახლა ის აღარ მონაწილეობს მსგავს საქმეებში. ევროპა მონაწილეობს. ბატონმა ბრძანა, მსახური — ასრულებს.

**— ევროპა ამერიკის მსახურია?**

— ისინი მშიშრები არიან. ამიტომ დამოუკიდებლად სიტყვას ვერ ძრავენ.

**— თუ შევხედავთ სიტუაციას ევროპაში, არის ერთი საინტერესო ფენომენი. ჩვენ ვხედავთ, რომ საბერძნეთი აღმოსავლეთისკენ მიიწევს. ხედავთ აქ ევროპის ინტერესების დაახლოებას რუსეთთან?**

— საბერძნეთს აღარ სურს მისი ბედი ბრიუსელში და გერმანულ ბანკებში წყდებოდეს. სამუშაო აღარ არის საბერძნეთში, თითქმის 40% სიღარიბის ზღვარზეა. საბერძნეთს ანგრევენ.

**— როდის ჩამოაწერენ საბერძნეთს ვალებს?**

— ზუსტად ისე, როგორც გერმანიას 1953 წელს, როცა ევროპამ ჩამოაწერა გერმანიას ვალი. უბრალოდ, იმისთვის, გერმანიას რომ შეძლებოდა ომის შედეგებისგან თავის დაღწევა.

**— სხვა ევროპული ქვეყნები?**

— მათაც იგივე ბედი ელით.

**— ანუ პორტუგალიასაც და ესპანეთსაც ჩამოაწერენ?**

— ვინ უნდა დააბრუნოს ეს ვალები? ისინი ხომ დიქტატორებმა დაადეს ქვეყნებს. საბერძნეთში იყო ფაშისტური დიქტატურა, რომელსაც აშშ-ი მფარველობდა. სწორედ მაგ დროს დაედო ვალები საბერძნეთს. მე ვფიქრობ, ეს ვალები უფრო ბინძური ფულია, ვიდრე დიქტატურა. საერთაშორისო ენაზე ამას „ოდიოზური ვალი“ ჰქვია... ვალების დიდი ნაწილი არის ბანკების გადასახადები გერმანული და ფრანგული ბანკებისთვის, რომლებმაც ძალიან დიდი რისკის ფასად გასცეს პროცენტიანი კრედიტები.

**— კიდევ ერთი შეკითხვა აუდიტორიისგან: როგორ მიუდგება ევროპა ეგზისტენციალურ პრობლემებს, რომელსაც შეეჯახა — ეკონომიკურ კრიზისს, ნაციონალიზმს, კულტურულ დაცემას, როგორ უყურებთ ევროპის ტრანსფორმაციას?**

— ევროპა სერიოზული პრობლემების წინაშე დგას. პრობლემების ნაწილი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია, რომელიც ბრიუსელიდან მოდის, ევროკომისიიდან, ნატოდან და მსხვილი ბანკებიდან. კონკრეტულად გერმანული ბანკებიდან. ერთი მხრივ, მათ სურთ გასცენ სარისკო ინვესტიციები, რათა მოვალე ქვეყნებს შეექმნათ საფრთხე. სახელმწიფოების კეთილდღეობა, სიმდიდრე და ძლიერება მათ არ აწყობთ... მეორე პრობლემად ევროპისთვის რასიზმის პრობლემაა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ევროპა უფრო რასისტული იყო, ვიდრე აშშ-ი. ეს ევროპაში

უფრო შესამჩნევი იყო, იმიტომ, რომ ევროპელები თავს განსაკუთრებულ რასად მიიჩნევდნენ, ქერები, ცისფერი თვალებით. მაგრამ ახლა მოსახლეობის გარეგნობა იცვლება და რასიზმი აყვავებას იწყებს. ეს სერიოზული კულტურული პრობლემაა ევროპასთვის.

...იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბოლოოდ დაიწყება სახალხო გამოსვლები, განადგურების, ეკონომიკის ნგრევის, მძიმე სოციალური პოლიტიკის, ბიუროკრატიზმისა და ბანკების წინააღმდეგ. ეს მაიმედებს და ეს აუცილებლად მოხდება.

**მოამზადა**
**ირანდა კალანდაძემ**
**593 56 11 18**

**(იბეჭდება მცირედი შემოკლებით)**

# ციურიხის გენეალოგიური ცენტრის სენსაციური დასკვნა:

## ტუტანჰამონი და სხვა ეგვიპტელი ფარაონები კოლხები იყვნენ?!

ბაბრძელება. დასაწყისი იხ. „საერთო გაზეთი“ №8-19

### მკითხველის გამოხმაურება

„იმ დადასტურებული ფაქტებისა თუ მოსაზრებათა ნაკრები, რასაც თქვენ ბეჭდავთ, აბსოლუტურად მისაღებია ყველა, ამგვარ საკითხებში მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული მკითხველისთვის. მე მინდა მხოლოდ მცირედი შევმატო თქვენ მასალას როგორც ქარელში მცხოვრებმა თვითმხილველმა.

უპირველესად, ვის და რაც უნდა, ის სარჩული დაუდოს – მსოფლიო ცივილიზაცია მართლაც ძველი კოლხეთიდან იწყება! მაიას ტომი კოლხეთიდან (საქართველოდან) არის ამერიკის კონტინენტზე გადასული! რას ნიშნავს მ-აია? – „აია“ კოდირებულია ამირანისგან... ადამის საფლავიც იქ არის, სადაც მინიშნებაა, ხაშური-ხარაგაულის მთის ქვეშ, იგივე ლიხის ქედი, სურამის ქედი, გეთსიმანიის ქედი, ამირანის ქედი. „სურამი“ კოდირებული სიტყვაა, რომლის გასაღები „ამირანია.“ მსოფლიოში ადამიანების განთესვა მოხდა კოლხეთიდან (საქართველოდან). ქართული კოდირებული ენაა. სიტყვებში მარცვლები: „ალი“, „დონ“, „ამი“, „ონი“ – გასაღებს შეიცავს. ამაზე სასულიერო პირებთან რომ ვიწყებ საუბარს, გარბიან, მაგრამ არის ორი ეპისკოპოსი, რომელიც ყურადღებით მისმენს. ამ შემთხვევაში ბიბლიურ დონეებზეა სასაუბრო და ყველაფერი ერთად თავს იყრის აქ, საქართველოში, სადაც ღმერთის ადგილია – ფსალმუნებში ძალიან კარგადაა მინიშნებული ყველაფერი.

ამასწინათ, ერთ-ერთ უგვანო შოუში („სხვა რაკურსი“ – გ.ჩ) პროფესიით ფიზიკოსი სასულიერო პირი იყო მიწვეული და საუბარი არამიწიერ ცივილიზაციას ეხებოდა. მღვდელმა „ამო-ს“ თვითმხილველებს ერთ მომენტში „დაუტატანა“ – იქნებ ჩვენც გვინახავს რამეო?! ჰოდა, თუ გინახავთ და რაიმე ფასეულ ინფორმაციას ფლობთ, ვის უნახავთ? ამდენ მალვა-პარვაში მთლად გააფარჩაკეს საქართველოს ნამდვილი ისტორია, მისი მისტიური არსი, მისი ნამდვილი დანიშნულება დედამიწაზე...

ახლა რასაც ვიტყვი, ძალიან ბევრისთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნება, მაგრამ ვინც ოდნავ მაინც ჩახედულია წარსულის მაძიებელ და მის დამდგენ მეცნიერებებში და ცოტაოდენი ეზოთერიკისაც ესმის, ახალი და უცნაური არაფერი იქნება. მას შემდეგ, რაც მსოფლიო მასშტაბით ჯერ ძალზე ვიწრო და ერთ წრეში გაჟონა ინფორმაციამ რომ საქართველოში რაღაც „კოსმიური ზეგანძი მოიპოვებოდა“, შემდგომ კი, უკვე წრე გაფართოვდა გარკვეული ორდენების სახით, მტერი და მტრად მოსული მოყვარე არ დაელია საქართველოს. საქმე იმაში გახლავთ, რომ ის, ვინც მიისწრაფვის მსოფლიო ბატონობისკენ, ამ ადგილის გარეშე ვერაფერს მიაღწევს. მათი გეგმაა ახალი ადამიანის შექნა. ამ გეგმის უმთავრესი ნაწილია, რომ ჩვენ, კონკრეტულად ქართველებს, როგორც ამ ადგილის მფლობელებს, დაგვიკარგონ (გაგვიყალბონ) ისტორია, ენა, სარწმუნოება, ეროვნება, დაგვიკარგონ გენეტიკური მეხსიერება და უპირველესად კი ენა – ეს არაა შეფარული ბრძოლა, პირდაპირ გვებრძვიან და ვაი, მას, ვინც ამას ვერ ხედავს!

სინის თარგმანში უფალი ორ მიმართვას „თქვენობით“ ამბობს, მესამეს კი, „შენობით“, ეს მესამე არის „ნათესავი კაცთასა“, ანუ ამ ადგილის მაცხოვრებლებისადმი – ქართველები, შინაურები, ყველა სხვა უცხოა, რომლებიც უკვე განთესილები არიან. „მე თავი დავიმდაბლე და შენ აღგამაღლე“... მე იმისთვის მოვედი, რომ შენი მცნება, რომელიც შენთვისაა დაწერილი, არავინ მიიტაცოსო – ამისთვის ეცვა ქრისტე ჯვარს, ჩვენთვის, ქართველებისთვის, თავისიანებისთვის, მათთვის, ვისაც შენობით მიმართავს.

მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა მომდინარეობს ქრისტეს გაჩენიდან, მაგრამ მანამდე ღმერთს ერქვა „ამირანი“ – დაიმალა ეს სახელი, რომელსაც „ღმერთთა ღმერთი“ ღმერთი ჰქვია აღმოსავლეთ საქართველოში, დასავლეთში ჰქვია დედამიწის ღვთაება. ამირანი არის ერთადერთი ცოცხალი ღმერთი და მან შექმნა ადამი – ამას ამბობს მათე 16;16 „ამირანი“ უნდა დამალულიყო გარკვეულ დრომდე.

ლაზარემ გაიღვიძა უკვე...

რატომ იჩქმალება მოვლენა, რომ ამოუცნობი ცეცხლის გადმოსვლა ხდება საქართველოში, ღმერთის მთაზე? – ქარელიდან ჩანს. იმავე ადგილზე ოთხივ მხარეს მიმავალი ღრუბლებია – ასეთ რამეს სადმე ვინმე წაწყდომია? ღამე, როდესაც ნათელი, ვარსკვლავებიანი ცა არის პირდაპირ ისახება ხე, რომელიც შემორაგულია ვარსკვლავებით – ეს ისეთი საიდუმლოა, რაც საქართველოს გარდა არსადაა და არ წერენ ამაზე. ეს იგივეა რაც „ალი“, „დონი“, „სიონი“ და ა.შ აქედან განთესილმა ხალხმა წაიღო ეს სახელები... გერმანული – აინ, ცვაინ, დრაინ (ერთი, ორი, სამი), „აინ“ („ანი“) იგივე სულიწმინდა, „ცვანი“ („სვანი“) და „დონ-ი“ – „დ“ ღმერთის ადგილი (თუ შეგიმჩნევიათ, მაგალითად, სცეტიცხოველში საფლავის ქვებზე, კუთხეში, ყველგან ძველი ქართული „დ“ არის გამოსახული) და „რ“ – ქრისტეს მიმანიშნებელი სიმბოლო – ეს ათასწლეულების წინანდელია, მაგრამ ენამ ბრწყინვალედ შემოინახა...

რატომ მოკვდა ლაზარე, ეს ვრცელი და რთული თემაა, იმიტომ რომ „დაეკარგება მათ ბრძენთა სიბრძნე და გონიერთა გონიერება“ – ქართველებმა დაკარგეს ყველაფერი, წყლულისგან გამომდინარე მიიძინეს და დღემდე ასეა... მთელი მსოფლიო საქართველოდან იმართებოდა, მაგრამ როდესაც წყევლა იწყებს მოქმედებას, ეცემა სიძლიერე აი, აქ, კოლხეთის სამეფოზე და ველარ მართავს. „ქანაანი“ – იგივე მეგრელებისა და სვანების დასახლება იყო, „ქანი“ და „ანი“... დაიკარგა სიბრძნე, თითქოს მოკვდა ძალადაკარგული ლაზარე...

ღმერთის ძალა სიტყვაშია, „პირველად იყო სიტყვა“. სიტყვა არის ენის შემადგენელი – ღმერთის ენა ქართული ენაა, ანუ ამ ხალხის სიტყვას ჰქონდა ისეთი ძალა, რომ ბუნებრივი მოვლენების გამოწვევა შეეძლოთ. წყევლის შემდეგ დაიკარგა ეს ძალა და შესაბამისად ცოდნაც...

ბიბლია არ არის მოთხრობა. მართალია, ის გადაწერილია დაკარგული (თუ მოპარული?) „ეფუთიდან“, მაგრამ ყველა შემთხვევაში ბიბლია დაშიფრული ფაქტებია. „ლაზარეს“ სიკვდილიდან აღსადგენად ლაზარე შეტანილი იქნა სახარებაში, ორ-სამჯერაა ნახსენები ლუკას სახარებაში. 10 საუკუნის მერე წერს იოანე ზოსიმე რომ ლაზარე არის ღმერთის ენა, ეს ენა არის ქართული და ეს თქვა ღმერთმა... მოკლედ რომ ვთქვათ, ცოდნა დაკარგულია და მერე წერენ ებრაელები...

შეხედეთ, ეროვნება ამოგვიშალეს, ენას პირდაპირ რომ ვერ მიადგნენ, (კი მიადგნენ, მაგრამ ვერ გაიტანეს) ეშმაკურად დაუწყეს გადაგვარება, მაგრამ ცოტა რომ გადაგვაჭარბებენ ვიღაცები, იმასაც ამოგვიშლიან. სანაცვლოდ, სხვები სწავლობენ ქართული ენას რადგან ფრთხილობენ, არ დაკარგონ ის ცოდნა, რომლიდ გაგებაც მხოლოდ ქართულადაა შესაძლებელი.“

ანხი

ანგი

### ეგვიპტური იეროგლიფი „ანხ“ და სვანური „ანგ“

ქართველი მკვლევარები ისე არიან დათრგუნვილები უხილავი წნეხისგან, პირდაპირ ვერ დაურქმევიათ სახელი იმისთვის, რაც ხელისგულზე დევს ცხადად, მხოლოდ მოკრძალებულ ვარაუდებს გამოთქვამენ. რატომ არ უნდა იყვიროს ქართველმა, როცა მას უხსოვარი დროიდან აქვს სვანურ საწესო რიტუალებში ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი „ანგ-ი“ აქვს და აბსოლუტურად მისი სწორფერია ეგვიპტური იეროგლიფი „ანხ-ი“? (ნახ. 2) ელემენტარულად, საინტერესო მაინც უნდა იყოს იმის გარკვევა, რა კავშირშია ერთმანეთისგან აბსოლუტურად ყოველმხრივ დაშორებული ქვეყანა ეგვიპტური ცივილიზაცია და საქართველოს ერთ-ერთი კუთხე, სვანეთი და სვანური აგრარული დღესასწაულები „აღბა-ლაღრალი“ და „ლიმურყვამალი“ (ოქროს ნაკეთობები საქართველოდან გაჰქონდათ ეგვიპტეში თუ არა, ეს ცალკე საკითხია და ამის შესახებ ვთქვით კიდეც).

ორივე სვანური დღესასწაულის მთავარი საწესო მოქმედება კოშკის აგებაა. კოშკის შუაში, მაღალ ხეზე, რომელსაც სვანურად „ანგ-ი“ ჰქვია, ხელმანდილიანი დროშაა აღმართული, თუმცა ზოგჯერ დამაგრებულია ადამიანის გამოსახულებაც „ლამარია“, რომელსაც ხელში დაშნა უკავია. წინ ხის ფალოსი აქვს ჩამოკიდებული, ხოლო სახის ადგილზე საცერი უკეთია. აღნიშნული რიტუალის ცენტრალირი ელემენტი, „ანგ-ი“, როგორც სიცოცხლის ხე მისტერიული დანიშნულებით, ფორმით და თვით სახელითაც, ძალიან ჩამოჰგავს III დინასტიის ეგვიპტის სარიტუალო ნივთს „ანხ-ს“, რომელიც დღემდე მრავალი ქვეყნის მკვლევართა დიდი დაინტერესების საგანია. ანხი, რომელიც ასევე იწოდება „კრუქს ანსატ-ედ“, ანუ ტარიან ჯვრად, ძველ ეგვიპტეში ყველაზე გავრცელებული სიმბოლოა და III დინასტიიდან მოყოლებული ხშირად არის არქეოლოგიურ მასალებში, უამრავი ლითონის, თიხისა და ხის ანხია ნაპოვნი. მათი დიდი ნაწილი ამულეტია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მფლობელის სიცოცხლის გახანგრძლივება, ხოლო გარდაცვალების შემდეგ იქაური სიცოცხლე. ანხი მეტწილად ღმერთებსა და ფარაონებს უკავიათ, ასევე ხშირად არის ეგვიპტური აკლდამების, მათ შორის ტუტ-ანხ-ამონის (თუთ-ანგ-ამონი) აკლდამის წარწერებში. ხშირად, სარიტუალო ჭურჭელსაც ანხის ფორმა ჰქონდა და იგივე ფორმას იმეორებდა სისტრა, მალამოს კოვზი და სარკე. აღსანიშნავია, რომ შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, სარკესაც ანხს უწოდებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთმანეთს ირეკლავენ.

ვინაიდან ეგვიპტის მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ეს ნიშანი მათთვის გასაგები ვერსიით – სანდლის ღვედები – გამოისახებოდა. მდაბიოთა მიერ გაკეთებულ ჭურჭელზე ხშირად იყო ანხის გამოსახულება. იგი გაჰყვა ყველა დინასტიას და კოპტურ ქრისტიანულ ეკლესიაშიც კი, როგორც ჯვარცმა, მისტიკური ძალის მქონე სიმბოლოს მნიშვნელობა შეინარჩუნა.

ანხის სავარაუდო ფუნქცია რთული სექსუალური სიმბოლიზმიდან უბრალო სანდლამდე მერყეობს. რადგან ანხი სიცოცხლის სიმბოლოა, მრავაგვარი გამოვლინებაც აქვს. ეგვიპტურ მითოლოგიაში, როდესაც ანხი ანუბისს უკავია, მიცვალებულთა სიცოცხლეს იცავს; სექმეთის, უარისა და ჰაპის ხელში – მაცოცხლებელ წყალთან კავშირშია; თვთაეგბა ამენის ხელში – სიცოცხლის შთაბერვას ემსახურება... ანხი ნილოსის არხის კედელზეც იყო გამოსახული, როგორც მისი დინების ადამიანთა სასიკეთოდ წარმმართველის.



სიცოცხლის ხე. ქარხემიში

ლაზური სიცოცხლის ხე

(გაგრძელება იქნება)

*ცნობილი პოლიტოლოგის, საზოგადო მოღვაწის, ყოფილი ჟურნალისტისა და მწერლის ჯულიეტო კიეზას ეს ინტერვიუ სამი წლის წინ არის ჩაწერილი, მაგრამ მისი მოსაზრებები დღესაც აქტუალურია, პროგნოზები კი — უტყუარი.*

# ჯულიეტო კიეზა: მსოფლიოს ცხრა ადამიანი, ცხრა რესპექტაბელური დამნაშავე მართავს

### ბოლო სამი საუკუნის ისტორია დასასრულს უახლოვდება, ფულის ცივილიზაცია მიდის

— ახლა ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში, რომლის პრეცედენტი ისტორიაში არ ყოფილა. იგი შეიძლებოდა დაწყებულიყო ჯერ კიდევ ამ საუკუნის დასაწყისში, მაგრამ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებით კრიზისი 7 წლით გადაავადა. გადაავადა, მაგრამ თავიდან ვერ აიცილა — 2008-ში მაინც დადგა. ვისთვის იქნება ეს ეპოქა ხელსაყრელი, რთული სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ნათელია — ბოლო სამი საუკუნის ისტორია დასასრულს უახლოვდება. დღესდღეობით ისიც ნათელია, რომ შეუძლებელია განვითარება რესურსების ჩაკეტილი სისტემის შიგნით — მსოფლიომ განვითარების საზღვრებს მიაღწია. ყველა ტყუის, ვინც ამბობს, რომ წინა სისტემა შენარჩუნდება. ქვანახშირი, ნავთობი, ურანიც კი — პლანეტის ყველა რესურსი ამოწურულია და სულ მოკლე ხანში ის საბოლოოდ ამოიწურება. ყველაფერი შეიცვლება — ჩვენი გარემომცველი სამყარო, ის, რასაც მივეჩვიეთ. ფულის ცივილიზაცია ამოწურავს თავს და წავა.

**— ნაადრევად ხომ არ მარხავთ მას? თანამედროვე კრიტიკოსები ხომ არ აზვიადებენ კრიზისის მასშტაბებს?**

— არავითარ შემთხვევაში. ეს მართლაც გლობალური კრიზისია, მათ შორის — ენერგეტიკულიც. წყალსაც კი იმაზე მეტს მოვიხმართ, ვიდრე ბუნებას შეუძლია რომ მოგვცეს. რა მოხდება შემდგომი ათი წლის განმავლობაში, როცა 300 მილიონ ადამიანს ამ რესურსის ნაკლებობის პრობლემა გაუჩნდება? ნარჩენების სტრუქტურაც ისეთია, გადამუშავებას აზრი ეკარგება. ჩვენ შევცვალეთ თვითონ ბუნების გეზი.

**— ბევრი ლაპარაკობს ეკოლოგიაზე. მთავრობები უამრავ თანხას ხარჯავენ, მოსახლეობა ამა თუ იმ პარტიის ეკოლოგიურ მხარს აძლევს ხმას...**

— უნდა გავიაზროთ, რომ ადრინდელი დემოკრატია სულს ღაფავს. ევროპაში მოსახლეობის ნახევარი აღარ დადის არჩევნებზე — და არა იმიტომ, რომ აპოლიტიკურია. ხალხს აკლია მისი ინტერესების წარმომადგენლობა ხელისუფლებაში. პარლამენტების, ადგილობრივი საბჭოების წინააღმდეგი როდი ვარ. ჩემი აზრით, უნდა შეიქმნას წარმომადგენლობების ახალი სისტემა, ახალი პარტიები და მოძრაობები. და მოძრაობა ქვემოდან უნდა დაიწყოს.

**— და რა უნდა იყოს მათი დევიზი?**

— თვითშეზღუდვა. უნდა დავიწყოთ ჩვენი თავის შეზღუდვა, თვითონვე შევიცვალოთ და ჩვენი ცხოვრების წესიც შევცვალოთ.

### ჩვენ მხოლოდ ბაზრისთვის ვცხოვრობთ

**— თქვენი ვარაუდით, მსოფლიოში საკმარისი ხალხი მოგროვდება, რომლებიც თავიანთი კეთილი ნებით მზად იქნებიან, თავი შეიზღუდონ? მსოფლიოში, რომლის დიდი ნაწილი ელემენტარულად ვერ ნაყრდება?**

— მშიერ ხალხზე არ ვლაპარაკობ. ისინიც კი, ვისაც შეუძლია თვითშეზღუდვა, ამაზე არც კი ფიქრობენ. იმიტომ, რომ ჩვენით მანიპულირებენ, გვასულელებენ! ადამიანები ყიდვის ინსტრუმენტებად აქციეს. აბსოლუტური უმრავლესობის ტვინი კონტროლდება. როცა ვშრომობთ, როცა ვისვენებთ — ბაზრისთვის ვცხოვრობთ. სწორედ ბაზარი გვკარნახობს ჩვენს მოქმედებებს. ჩვენ არ ვართ თავისუფალი ადამიანები. ჟურნალისტების ვალია, ამის შესახებ მოსახლეობას აცნობონ, მაგრამ დუმილს ამჯობინებენ. ტელევიზიის მეშვეობით, 24 საათის განმავლობაში გვეუბნებიან, რომ უნდა ვიყიდოთ ნივთები, რომ ჩვენი ფასეულობების სკალა — ეს არის ჩვენი მყიდველობითი უნარი. რეალურად, თანამედროვე ტელევიზიაში უშუალოდ ინფორმაცია 8 პროცენტს არ აღემატება. სხვა დანარჩენი — რეკლამა და გართობაა. და ადამიანს სწორედ ეს 92 პროცენტი აყალიბებს.

**— ეს ბუნებრივიც არის, რადგან ტელევიზია რეკლამის ხარჯზე არსებობს. ვინღა შეინახავს ტელევიზიებს, თუ ისინი აღარაფერს გაყიდიან? თქვენ რას გვთავაზობთ?**

— თავდაპირველად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ნაციონალიზაციას მოვახდენდი. 50 წლის წინ ადამიანში პიროვნების ჩამოყალიბებას განაპირობებდა ოჯახი, სკოლა, ხანდახან — ეკლესია. ახლა ახალგაზრდების აზროვნების 90 პროცენტს ტელევიზია აყალიბებს. იგი გახდა ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურული სტრუქტურა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამერიკიდან ინდოეთისა და ჩინეთის ჩათვლით. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სისტემა ხალხის ფუნდამენტური უფლებაა და არ შეიძლება მისი პრივატიზაცია. ისინი სახელმწიფოსა და ხალხს უნდა დაუბრუნდეს. რა ხდება მთელს მსოფლიოში — ამის გაგება ტელეარხების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, რის სანაცვლოდაც ტელევიზია ცდილობს დაგვიყოლიოს, ვიყიდოთ მანქანა ან სხვა რაიმე ნივთი. ასევე დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებელია, ფულს რომ უშვებს იმ ბანკების ნაციონალიზაცია, რადგან ჩვენ ფულის კონტროლს ვკარგავთ.

**— ვინ „ჩვენ“?**

— სახელმწიფო, სახელმწიფოს მოქალაქეები. „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ პირველ გვერდზე გამოაქვეყნა წერილი იმის შესახებ, რომ უოლ-სტრიტზე მდებარე ერთ-ერთ რესტორანში, ყოველთვიურად იკრიბებიან მსოფლიოს ცხრა ბანკის ხელმძღვანელები. ეს ბანკებია: „გოლდმან საქსი“, UBS, „ამერიკის ბანკი“, „დოიჩე ბანკი“ და მისთანანი. ყოველთვიურად, ეს ცხრა კაცი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება მილიარდ ადამიანს ეხება: რამდენი უნდა იყოს უმუშევრობის პროცენტი მსოფლიოში, რამდენი ადამიანი მოკვდება შიმშილობით, რამდენი მთავრობა უნდა ჩამოაგდონ, რამდენ მინისტრს მოისყიდიან და ა.შ. ესენი რესპექტაბელური დამნაშავეები არიან და ნებისმიერ მსოფლიო პოლიტიკურ ლიდერზე გავლენიანებიც. მათ ხელშია რეალური ძალაუფლება — ფულის ძალაუფლება.

### აშშ — კარგად შეიარაღებული ბანკროტი

**— დღეს არანაირი საფუძველი არ გაგვაჩნია ვიფიქროთ, რომ უახლოეს მომავალში წარმოების ზრდა და მოხმარება შეწყდება...**

— რა თქმა უნდა. უფრო მეტიც — მილიარდმა ჩინელმა ხორცის ჭამა და რძის სმა ისევე რომ დაიწყონ, როგორც ჩვენ, ათი წლის შემდეგ დედამიწაზე ჩვენი ადგილი აღარ დარჩება. და როცა ადგილი აღარ იქნება, ეს რას ნიშნავს? ჯერ კიდევ 1998 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოქვეყნდა დოკუმენტი «Project for the new American century». მასში წინასწარმეტყველურად წერია, რომ 2017 წელს ამერიკის უსაფრთხოებას ყველაზე მეტად ჩინეთი დაემუქრება. ყველაფერი მართლდება.

**— თქვენც ეთანხმებით თეზისს, რომ დედამიწას ყველაზე დიდი საფრთხე ჩინეთისგან ემუქრება?**

— არა, საფრთხის ყველაზე დიდი წყარო ნიუ-იორკი, უოლსტრიტი და ამერიკის შეერთებული შტატებია. დღეს დოლარი მკვდარია, ამერიკა — გაბანკროტებული, თანაც კარგად შეიარაღებული ბანკროტი. სხვათა შორის, საბერძნეთსა და ირლანდიაზე ეკონომიკური შეტევა მხოლოდ იმისთვის არის პროვოცირებული, რომ შეამციროს ევროპული ვალუტისა და მთლიანად ევროპის სუვერენიტეტი. დღესდღეობით ხომ ევრო უფრო ძლიერია, ვიდრე დოლარი — თუნდაც იმიტომ, რომ ევროკავშირის ვალი უფრო ნაკლებია, ვიდრე ამერიკისა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ევრო არ გაქრება.

### ევროპა, როგორც პოლიტიკური და კულტურული ფენომენი, კვლავაც იარსებებს

**— ევროპასაც აქვს ბევრი სუსტი წერტილი. მოსახლეობა ბერდება, ხელისუფლება იძულებულია შეიყვანოს მიგრანტები, მათ კი, განსაკუთრებით მუსლიმანებს, არ სურთ ასიმილაცია, დაძაბულობა ძლიერდება... საფრანგეთისა და გერმანიის სახელმწიფოების მეთაურებმა აღიარეს, რომ მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა ჩაფლავდა.**

— არ მჯერა მულტუკულტურალიზმის ჩავარდნის. „ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე“ — ეს ამერიკის შეერთებული შტატების გამოგონილია და მისი ათვლის წერტილი 2011 წლის 11 სექტემბერია. ჩვენ თვითონ შევქმენით იდეა ექსპორტის დემოკრატიის შესახებ. ერაყი და ავღანეთი ამ სქემის სიცოცხლისუნარიანობას ამტკიცებს. ასევე მცდარია დასავლეთის მოსაზრება, რომ ყველა ხალხმა და ქვეყნებმა იგივე გზა უნდა გაიარონ, რაც მათ განვლეს.

**— ისლამური სამყარო ერთ საუკუნეში ცხოვრობს, ჩვენ — სხვა ეპოქაში. განა ეს მათი ბრალია? უბრალოდ, დროისა და სიტუაციის გრძნობაა სრულიად განსხვავებული. ამასთან, ჩვენ შევქმენით გლობალიზაცია, ჩვენ წავართვით რესურსები.**

— დღესდღეობით აშკარაა, რომ ევროპას ობიექტურად 20 მილიონი მიგრანტი სჭირდება, მაგრამ მათი მიღება არ შეუძლია. საბოლოოდ, ისინი მაინც მოდიან ისე, რომ ნორმალურად ცხოვრების არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნიათ. უნდა შევიგნოთ, რომ გლობალიზაცია — ეს არის ხალხის მოძრაობა, რაც ნიშნავს კულტურის მოძრაობასაც.

**— თქვენ არ იზიარებთ იმ საშიშროებას, რომ ევროპა მიგრანტების ნაკადში გაითქვიფება?**

— ჩემი აზრით, ევროპა, როგორც პოლიტიკური და კულტურული ფენომენი, მომავალშიც იარსებებს. კონტინენტზე მიმდინარე მოვლენები, რასაკვირველია, ძალზე რთულია. აქამდე მსოფლიოში არ ყოფილა პრეცედენტი, რომ სამი ათეული ქვეყანა მშვიდობიანი გზით გაერთიანებულიყო. თანაც, დღეს ევროკავშირის ერთი ნახევარი „ევროპულია“, მეორე ნახევარი კი — „ამერიკული“ (იგულისხმება დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპა). რეგიონის ახლანდელი კრიზისი ყველაზე რთულია მის ისტორიაში.

სხვათა შორის, რუსეთს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ევროპაში. უფრო მეტიც, აუცილებელია ამ ორი ძალის ძალისხმევის გაერთიანება, ინტერესების ინტეგრაცია. ევროპა დღეს არავის ემუქრება. რუსეთიც ვერავის დაემუქრება, როცა რესურსების დეფიციტი გაჩნდება — თუნდაც იმიტომ, რომ მას ყველანაირი რესურსი ქვეყნის შიგნით აქვს. ევროპა და რუსეთი შეძლებდნენ მთელ მსოფლიოში დამამშვიდებლის როლი შეასრულონ. ჯერჯერობით კი, ყველას „დამშვიდებას“ ამერიკა ცდილობს.

**ელზა ნაბახტეველი**

1. პლაჟი ბრაზილიაში
2. მინაზე ცეცის ხმა
3. ბნელი ღამე უფური
4. „ყველა არაბეთის . . .“
5. საშიფრო ოფიცრის ჩინი
6. პარფიუმერიული წყალი
7. კატის ხელოვნური საკვები
8. ტუჩალი
9. ოსეთის პერსონაჟი „ანეგლიკაში“
10. ბურაფულაძის საქველმოქმედო ფონდი
11. ლია, მკრთალი ფერი
12. ლუქსიდანაა „მორბის არაგვი ...“
13. თუთაშხიას ცხენი
14. ხის ღერო ფესვებისა და ტოტების გარეშე
15. ურთიერთობათა ბმებს შორის
16. ცოცხალი ორგანიზმის ჩანასახი
17. სხვადასხვა სახეობისა და ნარისხის საქონელი
18. ნაკარქვექრის „წვეტიანი იარაღი“
19. მკვნარეთა შემსწავლელი მეცნიერება
20. მდინარე ვენესუელაში
21. საიზოლაციოდ დამუშავებული დაპრესილი ქაღალდი
22. საფეხურიანი რისაგე განვითარებაში
23. თურქული ხმალი
24. მრავალხმიანობა
25. ძაღლის ჯიში
26. როქი მახითი შურიკას როლში
27. ყან კლად . . .
28. კალის სახეობა
29. სუპერმარკეტი თბილისში
30. მოხელეგნო მოტოციკლისტი
31. კარ-ფანჯრის საკეტი
32. ხორცეულის ეწრეკ. ქართული ფირმა
33. ღიღაკი
34. უფროთლო, უფესვო პარაზიტი მცენარე
35. ნვერიანი ანუ . . .
36. დაბლობი საბ. საფრანგეთში
37. ნუშისებური ჯირკვლები
38. ფოტოფირის შესანახი ბუდე
39. მინტე კრისტის ეშ ქალაქი
40. უფფერი, გამოშრალი ბრტყელი კვერი
41. შვეიცარი
42. . . . ჰეპბერნი
43. ერთმანეთში არეული რისაგე ერთიბლიობა
44. ჭრილობიდან ჩირქის დაწრეტა
45. ცოცის მოსაზელი ხის ბურბელი
46. მომფერალი კორტნი . . .
47. ანიუბის საწინააღმდეგო მალამო
48. ჭინჭრისებური მცენარე
49. ამერიკელი რეპერი
50. მდინარე და სოფელი ვანში
51. მსახიობი პატრიკ . . .
52. შეიარეული მუსიკალური წყობა
53. ფილმის მოქმედი პირი
54. ოპერის მომღერალი . . . ქასრაშვილი
55. ჩრდილი
56. შეუქდილი ფიცრების თაღლია ბურბელი
57. მდინარე ბულგარეთში
58. საგნის გარეგანი მოყვანილობა
59. ზედ კიდური
60. ისრაელის დაზვერვა
61. ალგ-ალგ გამდნარი თოვლი
62. ბულგარული ლეგის ხურდა
63. წელიწადის დრო



## ოთხსიტყვიანი



**შვეულად:** ალაჰი, ამერი, ეგონა, ზეიმი, იონჯა, კორეა, ობობა, პითია, რისკი, სანტე, ღინტუ, შაიბა, ჩიყვი, ცელქი, წავია., ჭუჭყი, ხატია.

**თარაზულად:** ათასი, ალუჩა, აპისი, აჯიკა, ბიძგი, დინგო, ექვსი, ვაზნა, თოლხო, იანძი, კუკია, მაზრა, ნესვი, პლისე, სანდი, ტრასა, ფიშტო, ჩარჩი, ციება, წენგო, ჭვავი, ხატვა.

## სამეიდან ერთი



**შვეულად:** 1. ბულინი, სეტერი, კოზაკი. 2. ბეღელი კულონი, ქედანი. 3. ბადალი, მეკარე, ჯოკერი. 4. ფუნჯი, ბორდო, დელტა. 5. სარფი, გიჟუა, დანტე. 6. ნინბა, ტაქტი, კეხვი. 11. კონსოლი, ნორმალი, კასტეტი. 12. ვისოლი, სიჩუმე, კაპასი. 13. ხახამი, ზაზუნა, ბუნება. 14. კოტონი, დედანი, ტანინი. 15. ვალიკო, ფულურო, ქოჩორი. 16. ჩაკონა, ჩინეთი. ჩალიჩი.

**თარაზულად:** 2. კალაჰარი, ბადაგონი, სამოვარი. 7. კედარი, ჩოფურა, სულელი. 8. დილიჟანი, კატალიზი, ბარაკუდა. 9. კოკორი, მერანი, კამორა 10. პიტნა, ლიანა, სტილი. 12. კამეჩი, ფორანი, ვიზიტი. 17. კანტორა, კარდალა, კომპოტი. 18. მედუზა, დელონი, სეზანი. 19. ფლიგელი, პლატინი, ტრაბახი. 20. საკაბე, ფაშატი, ლენონი. 21. ტროტილი, გრიგოლი. სტაპელი.

## ფიფრეორდი



ა-9 ს-2
ბ- ტ-
გ- უ-1
დ- ფ-
ე-7 ქ-
ვ- ღ-
ზ- ყ-
თ- შ-
ი-3 ჩ-
კ- ცკ-
ლ- ძ-
მ-16 წ-
ნ- ჭ-
ო-18 ხ-
პ- ჯ-
ჟ- ჰ-
რ-5

# ვინ მიპასუხებს კითხვაზე – თუ დევნილი არ ვარ, მაშინ რატომ ვარ დევნილი?

„ჩემს სატკივარს 8 წელია არაფერი ეშველა: ახალგორის ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავის დროზე სრულიად კანონიერად დამაფიქსირა, როგორც დევნილი, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მიიყვანა და ოფიციალური დოკუმენტისთვის წლების განმავალობაში ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს ამაოდ მივმართავ“.

ამ სიტყვების ავტორს მარიამ გოგიაშვილს, საქვეყნოდ ცნობილ, დამსახურებულ ექიმს, 2008 წელს, როცა ახალგორის რაიონის მოსახლეობა დევნილად იქცა, სამწუხაროდ, საკუთარი 37 წლის მძიმედ დაავადებული ქალიშვილის სამკურნალოდ უკვე გაყიდული ჰქონდა, რაც ებადა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კანონისამებრ, დარეგისტრირებული იყო, როგორც დევნილი და ირიცხებოდა „კომპენსაციის მიმღებთა სიაში“, დევნილის ოფიციალური დოკუმენტი დღემდე არა აქვს.

**– ქალბატონო მარიამ, ახლა რას აპირებთ?**

– ბრძოლას განვაგრძობ. დარწმუნებული ვარ, არა მარტო აღვიდგენ კანონიერ უფლებას ჩემი მშობლების სახლ-კარზე ცხავატში, იქ ჩასვლასაც მოვესწრები, რადგან ქვეყანა მხოლოდ გულგრილი ადამიანებით როდია დასახლებული. ამის გაფიქრების საფუძველს მაძლევს ამჟამად დევნილთა სამინისტროში შეტანილ განცხადებაზე პასუხის მოლოდინი. სწორედ აქ ვნახე გაცილებით მეტი გულისხმიერი ადამიანი, ვიდრე სხვაგან და რაც მთავარია, ამჟამად, ბედმა გამიღიმა და ჩემს კანონიერ უფლებებს იცავს „საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია“, რომელსაც იურისტი ქალბატონი მზია თოდუა უდგას სათავეში და რომელთანაც 8 წლის განმავლობაში ამდენი ინსტანციის ფეხდაფეხ შემოვლის შემდეგ უფლის განგებამ მიმიყვანა.

**– მაინც ვის მიმართეთ მანამდე?**

– ძალიან ბევრგან გახლდით. ამაოდ დავშვერი მიღებებზე, როგორც ყოფილი, ასევე ამჟამინდელი მთავრობის პირობებში. მივმართე არა მარტო პარლამენტის წევრებსა და სხვადასხვა სამინისტროებს, არამედ არაერთ არასამთავრობო ორგანიზაციას, ადამიანის უფლებების კერძო თუ საჯალხო დამცველებს.

ქუთაისშიც ჩავედი, მაგრამ ბატონი ხმალაძის – საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის საქციელმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ 11 საათზე დაბარებულები 2 საათამდე ველოდით... ისე მიმიღო და დავშორდით, არც ის გაურკვევია, რის სათხოვნელად ვიყავი მისული; მე არაფერი მათქმევინა და თავად ისე და იმდენი ილაპარაკა, თითქოს, ციდან ჩამოფრენილი იყო. მის საუბარში სიტყვის „ჩაკვეხების“ საშუალება მომეცა თუ არა, ვუთხარი, ნორმალურ ქვეყანაში რომ მეცხოვრა, ჩემი მშობლიური სახლის უნახაობისთვის, ალბათ, მორალურ ზარალს ამინაზღაურებდნენ-მეთქი; კი, ნორმალურ ქვეყანაში რომ გეცხოვრათ, ნამდვილად ასე იქნებოდაო. რომ იტყვიან, „არც ვაციე, არც ვაცხელე“, მივახალე: ვინ შეგიშალათ ხელი ქვეყანა ნორმალურად გექციათ-მეთქი. პასუხი არ გაუცია. ის-ის იყო მასაც ხელმოცარული უნდა დავშორებოდი, რომ შეკითხვის დასმაც შევძელი: თქვენ ალბათ, გაქვთ მშობლების დანატოვარი სახლ-კარი და ჩემს მდგომარეობაში რომ იყოთ, რას იზამდით-მეთქი. მიტოვებული გვაქვს, არც ვნახულობთო, ცივად მიპასუხა და მეტისმეტი შეწუხება მაგრძნობინა. სამწუხაროდ, ყველა ინსტანციაში ძალიან ბევრია ისეთი ადამიანები და სხვათა დასახმარებლად თითს თითზე რომ არ აკარებენ და ეს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრებას სამწუხარო დაღს ასვამს.

**– დევნილად თქვენს აღიარებას წინ რა უდგას?**

– ჩემთან საუბარში ყველა აღიარებს, რომ მეკუთვნის, მაგრამ ვერა და ვერ პოულობს ბერკეტებს ჩემი კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ასე გამოდის, რომ ჩემი მამაპაპისეული სახლ-კარი მემკვიდრეობით „მეკუთვნის, მაგრამ არ მეკუთვნის“ და შესაბამისად, „ვარ, მაგრამ არ ვარ დევნილი“, რადგან ჩემი მშობლების კუთვნილი სახლ-კარი საქართველოს მთავრობის მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზეა. ამ ლოგიკით, საქართველოს მესამედი ოკუპირებულია - მისი მცხოვრებლები – დევნილები.

**– მიუხედავად ამისა, თქვენ ამბობთ, რომ მიზანს მიაღწევთ, რა გაძლევთ ოპტიმიზმის საფუძველს?**

– ის, რომ ჩემი მშობლიური სოფლის მუნიციპალიტეტის მიერ გაცემული ცნობების თანახმად, როგორც დევნილი, ჩემი მშობლების კუთვნილი სახლ-კარის კანონიერი მემკვიდრე ვარ, რასაც აგრეთვე ადასტურებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა; ვიმყოფები აღრიცხვაზე „კომპენსაციის მიმღებთა სიაში“, სადაც ჩემი რიგითი ნომერია „95“, ხოლო „დევნილთა რეგისტრაციის სიაში“ „1154“ ნომერი მაქვს მონიჭებული. თუმცა, ამბობენ, უფალს შეუძლებლისთვის მიმართავენ, შესაძლებლისთვის ადამიანიც საკმარისიაო. ჩემს მაგალითზე ძნელია ამის მტკიცება, რადგან სწორედ ადამიანებისგან ვერ მიმიღია ლოგიკური პასუხი მარტივ შეკითხვებზე: დევნილად ოფიციალურად აღიარების სათხოვარით რატომ ვარ იძულებული წლების განმავლობაში სხვადასხვა ინსტანციებში ვიარო? თუ დევნილი არა ვარ, მაშინ, რის საფუძველზე გასცა ზემოთაღნიშნული „ცნობები“ ლარგვისის თემის ტერიტორიული ორგანოს მუნიციპალიტეტმა და ცხავატში ჩემი მშობლების ქონებაზე კანონიერი მფლობელობის დამადასტურებელი ცნობა იუსტიციის სამინისტრომ? თუ საქართველოს სასამართლოებს აქვს ჩემს მდგომარეობაში მყოფებისთვის სათანადო სტატუსის მინიჭების პრეცენდენტი, მე რატომ არა მაქვს იგივე უფლება?

**ქეთევან ჩემია**

ქირავდება ერთოთახიანი ბინა აივნით, ყაზბეგის 47ბ, მეოთხე სართული, ყველანაირი ავეჯით, მაცივრით, სარეცხი მანქანით, ბუნებრივი ცხელი წყლით.
ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 555 410 180

# `saerTo gazeTis~ iuridiuli konsultacia

*„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*
*მთვარისა კევლიშვილი.*
**ტელ.: 2 79 63 91;**
**0 790 60 64 69;**
**5 93 78 64 69**

* * *

**– როგორია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩვენი მოქალაქეების მიერ ან მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულისათვის?**

—თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სს კოდექსის მე-5 მუხლი. კონკრეტულად:

მუხლი 5. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის

1. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით.

2. საქართველოს მოქალაქეს, აგრეთვე საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებმაც საზღვარგარეთ ჩაიდინეს ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

3. საზღვარგარეთ დანაშაულის ჩამდენ უცხო ქვეყნის მოქალაქეს, აგრეთვე მოქალაქეობის არმქონე პირს, რომლებიც მუდმივად არ ცხოვრობენ საქართველოში, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ამ კოდექსით, თუ ეს არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

* * *

**– თუ პირმა ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის ჩადენაზე, დაეკისრება თუ არა მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა?**

– თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სს კოდექსის 21-ე მუხლი. კონკრეტულად:

მუხლი 21. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

1. პირს არ დაეკისრება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ აიღო ხელი.

2. პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.

3. დანაშაულის ორგანიზატორს, წამქეზებელსა და დამხმარეს არ დაეკისრებათ სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მათ გადაარწმუნეს ამსრულებელი, დროულად შეატყობინეს ხელისუფლების ორგანოს ან სხვაგვარად შეუშალეს ხელი ამსრულებელს ან სხვა თანამონაწილეს და ამით არ მისცეს დანაშაულის დამთავრების შესაძლებლობა. დამხმარეს აგრეთვე არ დაეკისრება სისხლის- სამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ მან ამსრულებლის მიერ დანაშაულის დაწყებამდე უარი თქვა შეესრულებინა შეპირებული ქმედება ანდა ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებამდე უკან დაიბრუნა დანაშაულის ჩასადენად გადაცემული იარაღი ან საშუალება.

4. თუ ორგანიზატორმა, წამქეზებელმა და ფსიქიკურმა დამხმარემ თავიანთი მოქმედებით ვერ შეძლეს თავიდან აეცილებინათ ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრება, მაშინ მათ მიერ მიღებული ზომები სასამართლომ სასჯელის დანიშვნისას შეიძლება მიიჩნიოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.

5. სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება აგრეთვე იმას, ვინც დანაშაულის შემადგენლობის შესაბამისი შედეგის განხორციელებისათვის ყველაფერი გააკეთა, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ შემდეგ თავისი ნებაყოფლობითი ქმედებით თავიდან აიცილა ეს შედეგი.

ავეჯის გადაზიდვა

593 20 46 87

აზა ბასილაძე

# საბავშვო ლექსები

## ბეჰემოთის სევდა

რამოდენა მუცელი აქვს,
რამოდენა ხახა.
მარიამმა ბეჰემოთი
ზოოპარკში ნახა.
ოცნებებში გოლიათი,

ალბათ, ჯუნგლებს ხედავს
და მასავით უზარმაზარს
დაატარებს სევდას.

## საოცარი ხმები

მიყვარს მთვარე გაბადრული,
ვარსკვლავების ციმციმი,
როცა ცაზე სასეირნოდ
გამოდიან ისინი.

ტკარცალებენ ვარსკვლავები,
ლამაზ ზღაპრებს ყვებიან.
აისამდე რომ ჩამესმის,
საოცარი ხმებია.

## დახტის ჩემი ბურთი

დახტის ჩემი ბურთი,
არ ჩერდება წუთით.
არად აგდებს წესებს,
გადაევლო მესერს.

დაღლილი ვარ მუდამ,
რადგან დავდევ უკან.
ახტა ისე მაღლა, -
ღრუბლებშია ახლა!

## აპრილი

აპრილმა გაშალა ფრთები,
მოვიდა ცისფერი გზებით.
ზურმუხტოვანი კაბით
და მზის ღიმილით ლაღით.

## ჩემი ფისო

ერთხელ ფისოს წავაწყდი
მშიერსა და დაღლილს.
პაწაწინა ფისუნას,
არ ჰქონია სახლი.

შემეცოდა ძალიან,
ავიყვანე ხელში.
სახლში როცა მივედით,
რძით ავუვსე თეფში.

იმის მერე ვმეგობრობთ,
არც ის მაკლებს პატივს.
ახლა ტკბილად კრუტუნებს
და ისწორებს ქათიბს.

## ოქროსფერი შემოდგომა

ოქროსფერი შემოდგომა
ისე სწრაფად მოვიდა,
ვერ გავიგე, აქ იყო თუ,
ჩამობრძანდა შორიდან.

## ვინ მიღიმის

წყარო ცივი, ანკარა,
გადმოირბენს მთა-გორებს.
ვინ მიღიმის წყაროდან,
ჩემს ღიმილს რომ მაგონებს?...

## მხიარული კაცუნები

ულრანშია კაცუნები,
რაშიც თავად დარწმუნდები.
მინდვრებს ცეკვით უვლიან,
ყველა მხიარულია.

- როცა წვიმს და ავდარია
კაცუნები სად არიან? –
წვიმას ემალებიან,
სოკოებქვეშ დგებიან.

## შემოდგომის სურათი

ტყე ზურმუხტი აღარ არის,
ახლა ქარვის სადარია.
მიფრინავენ ფრინველები,
ქარი ქრის და ავდარია.

და ფოთლებიც ოქროსფერი
გასაფერად მზად არიან.
გაფრინდება შემოდგომაც,
აწი, მალე ზამთარია!

## მშობლებს ძლიერ ახარებს

ასე შავი ფრაკები,
რად ჩაიცვეს ბახალებს?
ალბათ, მათთან მსგავსება
მშობლებს ძლიერ ახარებს...

და რადგანაც ფრაკებით
მშობლებს გვანან ძალიან,
ამიტომაც ბახალები
ყვავებივით ჩხავიან.

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** –თქვენს ცხოვრებაში სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია დაისადგურებს. გელით რომანტიკული თავგადასავლები.

**კურო** – თქვენთვის წარმატებული პერიოდი დადგა. პირად ცხოვრებაში პოზიტიური ცვლილებებია მოსალოდნელი. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ. კარიერაში მნიშვნელოვანი წინსვლა გელით. ამ პერიოდში დაგეგმილი მივლინება წარმატებული იქნება.

**ტყუპები** – გამოიჩინეთ ინიციატივა რიგ შემთხვევაში აგრესიულობაც, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. ფინანსური ოპერაციებიდან დიდ მოგებას მიიღებთ.

**კირჩხიბი** – გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. დრო გამონახეთ მეგობრებისთვის. მათგან მიღებული ენერგია მნიშვნელოვან სტიმულს მოგცემთ. ბიზნეს-ოპერაციებში წარმატება გელით, რასაც მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება მოჰყვება. გელით სასიამოვნო ინფორმაციები.

**ლომი** – ხელმძღვანელობასთან და საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობა კარიერაში მნიშვნელოვან წინსვლას განაპირობებს. იყავით მაქსიმალურად საქმიანი, რათა ცხოვრების ეს საუკეთესო პერიოდი ხელიდან არ გაუშვათ.

**ქალწული** – სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. ამ პერიოდში დაგეგმილი ხანგრძლივი მივლინება თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**სასწორი** – პირად ცხოვრებაში მცირედი იმედგაცრუება გელით. თავი ხელში აიყვანეთ, რათა დეპრესიაში არ ჩავარდეთ. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებში. ერიდეთ ალკოჰოლსა და კონფლიქტურ სიტუაციებს.

**მორიელი** – ეს პერიოდი საერთო ჯამში, პოზიტიური მოვლენებით ხასიათდება. გამოიჩინეთ ინიციატივა, რათა სასურველ შედეგს მიაღწიოთ. გელით სასიყვარულო ურთიერთობებში წარმატება. მეგობრების დახმარებით ბევრ პრობლემას მოაგვარებთ.

**მშვილდოსანი** – ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენს კარიერაზე დადებითად იმოქმედებს, რასაც შესაძლოა დაწინაურებაც მოჰყვეს. კარგი იქნება, თუ პროფილაქტიკურ მკურნალობას ჩაიტარებთ. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული სიტუაცია შენარჩუნდება.

**თხის რქა** – ადვილად ნურავის ენდობით. სიფრთხილე გმართებთ მეგობრებთან ურთიერთობისას. ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. ეს პერიოდი პირადი ცხოვრების მოწესრიგებას დაუთმეთ.

**მერწყული** – თქვენს ცხოვრებაში წარმატებული პერიოდი დადგა. გამოიჩინეთ მაქსიმალური შრომისუნარიანობა, რათა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიოთ. გელით რომანტიკული თავგადასავლები და პერსპექტიული წინადადებები. თავს იღბლიან შეყვარებულად იგრძნობთ.

**თევზები** – რთულ სიტუაციებში დახმარებისათვის მეგობრებს მიმართეთ, მათთან ურთიერთობა თქვენს ცხოვრებაზე კარგ ზეგავლენას მოახდენს. პირად ცხოვრებაში სასიამოვნო ცვლილებები გელით. შესაძლოა წვეულებაზე შეხვდეთ ადამიანის, რომელიც თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს. წარმატება გელით ფინანსურ ოპერაციებშიც.


**ქოზიფას მამათა მონასტრის**
**განვითარების ფონდი**

დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან
**0 901 500 540**
თიბისი ბანკი
ა/ნ GE88TB1117236080100001

გამოვიდა სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალ „რიწის“ ახალი ნომერი, რომელშიც იხილავთ ვახტანგ ხარჩილავას, გულო კოპიაშვილის, გურამ პეტრიაშვილის, ჯარჯი ფხოველის, დავით გაბუნიას, როლანდ ნიჟარაძის, თორნიკე გოგნიაშვილის, გიზო თავაძის, ილია ერქვანიას პოეტურ და პროზაულ ნაწარმოებებს, სხვა ქართველი მწერლების ნარკვევებს, კრიტიკულ წერილებს და ახალ თარგმანებს. აგრეთვე ლევან ანჯაფარიძის, ზაურ კალანდიასა და ლაშა იმედაშვილის კინოსცენარს მხატვრული ფილმისთვის.